სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

უსაფრთხოების ახალი გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში

NEW SECURITY CHALLENGES IN THE SOUTH CAUCASUS

სტუდენტური კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF PAPERS OF THE STUDENT CONFERENCE

გორი, 2023

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

უსაფრთხოების ახალი გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში

NEW SECURITY CHALLENGES IN THE SOUTH CAUCASUS

სტუდენტური კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF PAPERS OF THE STUDENT CONFERENCE

გორი, 2023

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი დავით რაზმაძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი

ალექსი ბურდულაძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

რომეო გალდავა — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ნანი არაბული — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი

ქეთევან ჭიაბრიშვილი — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი

რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი

ლევან გეგეშიძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი

კახა ფუტკარაძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების ასოცირებული პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2023

ISBN 978-9941-8-6126-0

ქეთევან კვესელავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ზურაბ სამხარაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

რედაქტორი/კორექტორი

ზურაბ მჭედლიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

სალომე პოპიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის მთავარი სპეციალისტი

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel David Razmadze	Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili	Head of the Scientific Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze	Head of Baccalaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Aleksi Burduladze	Acting Head of Informatics Program of Baccalaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Romeo Galdava	Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nani Arabuli	Associate Professors of Informatics Program of Baccalaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Ioseb Turashvili	Head of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chiabrishvili	Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Rusudan Dalakishvili-Chichinadze	Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze	Head of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Gegeshidze	Professor of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Kakha Putkaradze	Associate Professor of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2023

Ketevan Kveselava	Chief Scientist at the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Kropadze	Chief Scientist at the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nikoloz Esitashvili	Chief Scientist at the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Samkharadze	Chief Scientist at the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Editor/Corrector	
Zurab Mchedlishvili	Editor-in-Chief at the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Computer Designer	
Salome Popiashvili	Main Specialist at the Distance Learning Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

სარჩევი

ტრანსსასაზღვრო პროექტების მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიაში და დასავლური ალიანსების როლი მათ ფუნქციონირებაში
ანა ბურნაძე 11

ნატოს როლი საქართველოში - მოსახლეობის დამოკიდებულება და ნატოს გავლენის მოსალოდნელი შედეგები
ანა ბუცხრიკიძე 17

ევროკავშირის როლი სამხრეთ კავკასიაში
არჩილ დოლიძე 24

ინფორმაციული ომი, როგორც „სტრატეგიული ომის“ წარმოების ახალი ფორმა - საფრთხეები, რისკები და გამოწვევები
ბესიკ მსხალაძე 28

დემოკრატიული კონტროლის მნიშვნელობა უკრაინაში მიმდინარე უსაფრთხოების გამოწვევებისა და მილიტარიზაციის ფონზე
გიორგი ბერიძე 34

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი სამხრეთ კავკასიის ენერგოუსაფრთხოებისთვის
ზურაბ ბოსტოღანაშვილი 41

შეცვლილი „თამაშის წესები“ სამხრეთ კავკასიის რეგიონულ პოლიტიკაში და სავაჭრო გზები, როგორც ინსტრუმენტი კონფლიქტების მოსაგვარებლად
ზაზა მღებრიშვილი 47

თურქეთის რეგიონული გავლენის შეფასება: უსაფრთხოების გამოწვევები და პერსპექტივები კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში
თორნიკე ამაშუკელი 56

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე
კობა ჯელაძე 64

უსაფრთხოება პარტნიორობის მეშვეობით: საქართველო და ნატო, გამოწვევები და პერსპექტივები
კონსტანტინე შენგელია 72

რეკრუტინგი ტერორისტულ ორგანიზაციებში
მარიამ ჩიხლაძე 77

საქართველოს ნატოში გაწევრიანების პოლიტიკის ფორსირების მიზანშეწონილობა ქვეყნის დეოკუპაციისა და უსაფრთხოებისთვის
ნათია სუბარი 83

საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გავლენა ქვეყნის განვითარებაზე
ნინო ბარბაქაძე 90

საქართველოს რესურსების ოპტიმიზაცია: ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების გამოყენება საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის
ცოტნე კვარაცხელია 94

Content

The importance of trans-border projects in the South Caucasus and the role of Western alliances in their operation
Ana Burnadze 12

The Role of NATO in Georgia - Public Attitudes and Anticipated Outcomes of NATO's In Influence
Anna Butskhrikidze 18

The role of the European Union in the South Caucasus
Archil Dolidze 24

Information warfare as a new form of "Strategic Warfare" - threats, risks and challenges
Besik Mskhaladze 29

The importance of democratic control in the Ukraine during militarization and security challenges
Giorgi Beridze 35

Black Sea Submarine Cable Project for energy security of the South Caucasus
Zurab Bostoghanashvili 42

Changed "rules of the game" in South Caucasus regional politics and trade routes as a tool for conflict resolution
Zaza Mgebrishvili 48

Assessing Turkey's Regional Influence: Security Challenges and Prospects in the Caucasus and the Black Sea
Tornike Amashukeli 57

Impact of the Russia-Ukraine war on the economic security of Georgia
Koba Jeladze 65

Security through partnership: Georgia and NATO challenges and prospects
Konstantine Shengelia 73

Recruiting in terrorist organizations
Mariam Chikhladze 77

The expediency of forcing Georgia's NATO membership policy for Georgia's de-occupation and security
Natia Subari 84

Impact of Georgia's transit infrastructure on the country's development
Nino Barbakadze 91

Optimizing Georgia's resources: using NATO and EU standards for sustainable development of Georgia
Tsotne Kvaratskhelia 94

ტრანსსასაზღვრო პროექტების მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიაში და დასავლური ალიანსების როლი მათ ფუნქციონირებაში

ანა ბურნაძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, მაქსიმალურად გამოკვეთოს სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული როლი გლობალურ პოლიტიკაში, გაანალიზოს მასთან დაკავშირებული პრობლემები თუ მიღწევები და ხაზი გაუსვას ნატოსა და ევროკავშირის როლს რეგიონში ტრანს სასაზღვრო პროექტების განხორციელებასა და ფუნქციონირებაში. მოცემულ თემაში წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტრატეგიული და სატრანზიტო ფუნქციის ერთგვარი ანალიზი. ნაშრომში განხილულია სამხრეთ კავკასიაში ტრანს სასაზღვრო პროექტებთან დაკავშირებული პროცესები და მათი სარგებლიანობა როგორც რეგიონისთვის, ისე ევროპის კონტინენტის ქვეყნებისთვის. ასევე აღწერილია არსებული ენერგორესურსების მოცულობები და მათი ტრანსპორტირების სახეები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში.

ბოლო დროის მანძილზე, რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულმა საომარმა მოქმედებებმა, ევროპის მასშტაბით მნიშვნელოვნად და გრძელვადიან პერსპექტივაში შეცვალეს აქამდე არსებული უსაფრთხოების არქიტექტურა და საფრთხის ქვემ დააყენეს ევროპული მედეგობისა და სტაბილურობის მოდელი. რუსეთ - უკრაინის ომმა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა ევროპის კონტინენტის ენერგოუსაფრთხოება, რომელიც ძირითადად რუსეთზე იყო დამოკიდებული და რომ არა უკრაინაში განვითარებული მოვლენები, ალბათ ეს დამოკიდებულება კიდევ და კიდევ გაიზრდებოდა. აღნიშნული მოვლენების პარალელურად, ევროპისთვის მეტად აქტუალური გახდა რუსული გაზის ალტერნატიული წყაროებით ჩანაცვლება, რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის მეტად სარგებლიანია. კერძოდ, ტრანს ენერგეტიკული პროექტების საშუალებით ენერგორესურსების ექსპორტი იწვევს არა მხოლოდ დასავლურ ალიანსებთან დაახლოებასა და თანამშრომლობას, არამედ ეკონომიკურ სარგებელსა და რეგიონის პოპულარიზაციას ინვესტირების კუთხით. საინტერესოა, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, სავარაუდოდ ევროკავშირისა და ნატოს ჩართულობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში განუხრელად მოიმატებს. მოსალოდნელია, რომ იმ ქვეყნებს, რომლებთანაც ევროკავშირი აქტიურად ატარებს მოლაპარაკებებს, დაემატონ ცენტრალური აზიის ენერგორესურსებით მდიდარი პოსტ საბჭოთა ქვეყნები, რომლებიც სტაბილურ ბაზარზე ეძებენ გასაღებს.

ნაშრომში ხაზგასმულია ნატოს როლი სამხრეთ კავკასიაში ენერგოპროექტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. შავი ზღვის რეგიონი მიმზიდველი გახდა ნატოს წევრი ევროპელი მოკავშირეებისა და ამერკის შეერთებული შტატებისთვის, როგორც ენერგომატარებელი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. აღსანიშნავია, რომ ნატოს მთავარი ამოცანაა სტაბილურობის ჩამოყალიბება, რომელიც მიმართული იქნება რეგიონში საერთო უსაფრთხოების დასამკვიდრებლად მუდმივი რუსული საფრთხის ფონზე.

ნაშრომი შედგება ორი ძირითადი ნაწილისა და რამდენიმე ქვეთავისაგან. პირველი ნაწილი მოიცავს ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობას, კერძოდ, მათ სტრატეგიულ მნიშვნელობას რეგიონისთვის, ასევე აღნიშნული პროექტების საშუალებით ე.წ. დერეფნის შექმნასა და ფუნქციონირებას. ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს დასავლური ალიანსების, ნატოსა და ევროკავშირის მხარდაჭერის შესახებ ინფორმაციას, როგორც უსაფრთხოების, ასევე ფინანსური კუთხითა და ბაზარზე ინტეგრაციის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები:
ტრანსსასაზღვრო პროექტები, ენერგორესურსები, დერეფანი, ნატო, ევროკავშირი.

The importance of trans-border projects in the South Caucasus and the role of Western alliances in their operation

Ana Burnadze
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student of the Master's department Program of Security Studies

Abstract

The aim of this article is to highlight the strategic role of the South Caucasus in global politics, to analyze the problems and achievements related to it, and to emphasize the role of NATO and European Union in the implementation and operation of trans- border projects in the region. This topic presents a kind of analysis of the South Caucasus region.

In recent times, Russia's hostilities in Ukraine have significantly changed the existing security architecture across Europe and threatened the model of European resilience and stability in a long- term perspective. The Russia – Ukraine war put the energy security of the European continent in serious danger, which was mainly dependent on Russia, and if it were not for the events in Ukraine, this dependence would probably have increased even more.

In parallel with the mentioned events, it became more relevant for Europe to replace Russia gas with alternative sources, which is very beneficial for European countries. In particular, the export of energy resources through trans energy projects leads to both rapprochement and cooperation with Western alliances and economic benefits and promotion of the region in terms of investment.

It is interesting that due to the ongoing war in Ukraine, the involvement of the European Union and NATO in the South Caucasus region will increase steadily. It is expected that the post-Soviet countries rich in energy resources of Central Asia will be added to the countries with which the European Union is actively conducting negotiations, which are looking for the key to a stable market.

The paper emphasizes the role of NATO in connection with the operation of energy projects in the South Caucasus. The Black Sea region has become attractive to NATO's European allies and the United States as an energy carrier between East and West. It should be noted that the main task of NATO is establish stability aimed at establishing common security in the region against the backdrop of the constant Russian threat.

The paper consists of two main parts and several subsections. The first part includes information related to trans-border energy projects, in particular their strategic importance for the region, as well as the so- called creation and functioning of the corridor. The second part includes information about the support of Western alliances, NATO and the European Union, both from the point of view of security, financial and market integration.

Keywords:
Trans-border projects; energy resources; the corridor; NATO; European Union.

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონს, ისეთივე მისთვის დამახასიათებელი და ინდივიდუალური გეო-პოლიტიკური მდგომარეობა და ასპექტები ახასიათებს, როგორც სხვა რეგიონებს, თუმცა სამხრეთ კავკასიას ბევრად მნიშვნელოვანი როლი უჭირავს დასავლეთის რეგიონალურ პოლიტიკაში, ვინაიდან, მას გააჩნია მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა და ფაქტობრივად იმყოფება ე.წ. დერეფნის როლში, ევროპისა და აზიის დამაკავშირებლად. ეს უკანასკნელი მოცემულობა კი, ტრანს სასაზღვრო ენერგეტიკული პროექტების განხორციელების მიზნით, საკმაოდ მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია. დასავლეთის მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ენერგეტიკული პოლიტიკის გატარების კუთხით, ფაქტობრივად ძირითად საყრდენს წარმოადგენს. საქართველო ასოცირების შეთანხმებისა და ენერგეტიკული გაერთიანების ფორმატის ფარგლებში მოლაპარაკებების ფონზე, გრძელვადიან პერსპექტივაში ბევრ სარგებელს მიიღებს, რაც მიუხედავად გარე ზეწოლისა, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ რეგიონისთვისაც მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია.

თემის აქტუალურობას წარმოადგენს სწორედ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტრატეგიული როლი ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში დერეფნის ფუნქციის შესრულებისას. ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკული პროექტების მნიშვნელობა და დასავლური კავშირების მხარდაჭერის როლის ხაზგასმა ზემოთ ხსენებული ფუნქციის შესრულებაში.

წინამდებარე **კვლევის მიზანს** წარმოადგენს წარმოაჩინოს, თუ რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებენ ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკული პროექტების მნიშვნელობას სამხრეთ კავკასიის რე-გიონში. რა გავლენას ახდენს ამ პროექტების ჯეროვან ფუნქციონირებაზე, ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებასა და რეგიონალური თანამშრომლობის უზრუნველყოფაზე ნატოსა და ევროკავშირის ძალისხმევა.

ნაშრომის მეცნიერული **სიახლე** მდგომარეობს შემდეგში: ნაშრომში დეტალურად არის განხილული მსოფლიო პოლიტიკის წამყვანი მოთამაშეების ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში ენერგოდამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების კონტექსტში. ასევე, განხილულია დასავლური ღირებულებების მატარებელი ალიანსების მხარდაჭერის მზარდი როლი, რომლებიც რეგიონში სტაბილურობისა და საგარეო პოლიტიკის განხორციელების ბერკეტად, მექანიზმად გვევლინება. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით მრავალი ნაშრომისა და ლიტერატურული წყაროს მოძიებაა შესაძლებელი, თუმცა წინამდებარე ნაშრომში ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკული პროექტებისა და მათ გარშემო მიმდინარე მოვლენების გაანალიზებით, სამხრეთ კავკასიის რეგიონი წარმოჩინდება, როგორც დიდი მოთამაშეების ინტერესთა კონფლიქტის ობიექტი, სადაც განსაკუთრებით პოსტ-საბჭოთა ქვეყნები ირჩევენ უპირატესი გეზით მიტმასნების პოლიტიკას. ნატოსა და ევროკავშირის ჩართულობა ენერგოუსაფრთხოების ჭრილში, შესაძლოა ითქვას, ნაკლებადაა შესწავლილი, ვინაიდან ურთიერთთანამშრომლობა მიმდინარე და დინამიკური პროცესია, რაც ნაშრომს ერთგვარ სიახლეს სძენს.

ძირითადი ნაწილი
ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკული პროექტები და ენერგეტიკული უსაფრთხოება რეგიონში

სამხრეთ კავკასიაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტები

სამხრეთ კავკასია წარმოადგენს პატარა, თუმცა სტრატეგიულ რეგიონს შავ ზღვასა და კასპიის ზღვებს შორის. იგი აკავშირებს ცენტრალურ აზიას, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას. ენერგიის ალტერნატიული მარაგების ძიებამ სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ დასავლეთის დიდი ყურადღება გამოიწვია. სატრანზიტო დერეფნები მოიცავს აზერბაიჯანსა და საქართველოს კორიდორებს, ასევე, პოტენციურ მარშუტებს სომხეთთან ერთად. უსაფრთხოების გარანტიების შექმნის მიზნით, 90-იან წლებში, პრეზიდენტები - ალიევი, შევარდნაძე და პოსტსაბჭოთა ქვეყნების სხვა ხელისუფალნი აქტიურად გეგმავდნენ ახალ გეოპოლიტიკურ რუკას რეგიონში, გაზსადენებისა და ნავთობსადენების შექმნის ფონზე. ამავე დროს, დასავლეთს სურდა განხორციელებულიყო ისეთი ენერგეტიკული პროექტი, რაც რუსეთზე დამოკიდებულებას მაქსიმალურად შეამცირებდა. საინტერესოა, რომ ე.წ. ოქროს საწმისის გზის აღორძინების იდეა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში ჩაისახა. დიდი აბრეშუმის გზის პროექტის განხორციელების იდეა ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ედუარდ შევარდნაძე თავის წიგნში ,,დიდი აბრეშუმის გზა“ განმარტავს, რომ TRACECA -ს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც რეგიონში, ასევე ევროპის და აზიის სრული მასშტაბით. წიგნში ავტორი მოიხსენიებს სხვადასხვა ქვეყნების პირველ პირებსა და მაღალჩინოსნებს, რომლებსაც წვლილი მიუძღვით პროექტის განხორციელებაში, ასევე იმ ქვეყნების გამოცდილებებს, რომელთა პრაქტიკის საფუძველზე მოხდა აღნიშნული პროექტის გენერირება სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ტრასეკა წარმოადგენს ევროპა-კავკასია-აზიას შორის დამაკავშირებელ სატრანზიტო დერეფანს, ტვირთების გადაზიდვის ერთიან სისტემას, რაც უზრუნველყოფს სახელწიფოთა შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას. ტრასეკა 1993 წელს ბრიუსელში ევროგაერთიანების, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების კონსენსუსის შედეგად განხორციელდა და მისი

გაგრძელება გახლდათ ნავთობისა და ბუნებრივი აირების ტრანს კავკასიური მაგისტრალები[1].

დღეს დღეობით სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ამასთანავე საქართველოს ტერიტორიაზე, გადის ისეთი მნიშვნელოვანი გაზსადენები და ნავთობსადენები, როგორებიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი და რუსეთ-სომხეთის გაზსადენი.

ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის მილსადენი, ე.წ. BTC ათწლეულების უდიდეს საინჟინრო მიღწევად მიიჩნევა. ის ერთ-ერთი უდიდესი მილსადენია მსოფლიოში სიგრძის თვალსაზრისით, კერძოდ, აზერბაიჯანში მისი სიგრძე - 443 კმ-ს შეადგენს, საქართველოს ტერიტორიაზე - 249 კმ-ს, ხოლო თურქეთში, ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალამდე - 1076 კმ-ს. ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის მშენებლობა 2005 წელს დასრულდა. მოგვიანებით, 2006 წელს დაიწყო ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის, იგივე შაჰ დენისის, ან სამხრეთ კავკასიის მილსადენის მშენებლობა. სამხრეთ კავკასიის მილსადენის ფუნქციას წარმოადგენს გაზის მიწოდება რეგიონის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მისი სიგრძე 692 კმ-ს შეადგენს და მის ფუნქციას წარმოადგენს კასპიის ზღვაში, აზერბაიჯანში მდებარე შაჰ დენიზის საბადოდან, საქართველოს ტერიტორიაზე გავლით, საქართველო-თურქეთის საზღვრამდე გაზის ტრანსპორტირება. პასუხისმგებელი პირები, ადასტურებენ, რომ მას შემდეგ რაც სრულად და წარმა-ტებით ამუშავდება აღნიშნული პროექტი, წელიწადში ოცი მილიარდი კუბი ბუნებრივი აირის გატარებას შეძლებს. ამასთან ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსსადენი უერთდება თურქეთში აშენებულ შტოს, რის საფუძველზეც მარაგდება ადგილობრივი ერზრუმის მოსახლეობაც. ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, საქართველომ პირველი გაზის მარაგი 2007 წელს მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ევროკომიის მიერ სამხრეთის გაზის დერეფნის ინიცირება 2008 წელს განხორციელდა. 2009 წელს, ჩეხეთში ჩატარდა სამიტი დასახელებით - ,,სამხრეთის დერეფანი-ახალი აბრეშუმის გზა“, რაც ემსახურებოდა ახალი მილსადენის გაყვანას. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ევროკომისიის თავმჯდომარესთან ერთად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ამოქმედდა ,,სამხრეთის გაზის დერეფანი“. გაზსადენის სიგრძეა 3500 კმ და მისი მიზანია აზერბაიჯანიდან ევროპაში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება. ამ უკანასკნელი მიზნით, აღნიშნული პროექტი სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს, ესენია: სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოება, ტრანს ანატოლიის მილსადენი და ტრანსადრიატიკის მილსადენი. სამივე მილსადენი უზრუნველყოფს ევროპაში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას თურქეთისა და საბერძნეთის გავლით[2].

სამხრეთ კავკასიის, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფნის სტრატეგიული მნიშვნელობა

სატრანზიტო დერეფნის ჩამოყალიბებამ, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს და მათ შორის საქართველოსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა გლობალურ ენერგოპოლიტიკაში დანიშნულების კუთხით და რეგიონი განათავსა ღირსეულ, უბადლო ადგილას მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ ენერგოდერეფანს სტრატეგიული მნიშვნელობა გარკვ-ეულმა ფაქტორებმა მიანიჭეს. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე მათგანს.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რუსეთის ფედერაცია მისივე მონოპოლისტური სატრანზიტო კომპანიის - ,,გაზპრომის“ საშუალებით მუდმივად ცდილობს ხელისუფლებებზე გავლენის მოხდენასა და ბერკეტების შენარჩუნებას.

გარდა იმისა, რომ განხორციელებული პროექტები უზრუნველყოფს რეგიონში განთავსებული ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის აღიარებას საერთაშორისო სივრცეში, მათი არსებობა და წარმატებით ფუნქციონირება ფაქტობრივად ძირს უთხრის ჰეგემონობის ამბიციით შეპყრობილ რუსეთის ფედერაციის დომინირებას ამ არეალში განთავსებული ქვეყნების მიერ გატარებულ ენერგო პოლიტიკაში[3]. პოლიტიკაში. ამასთან, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს სტრატეგიულმა პარტნიორმა ამერიკის შეერთებული შტატების სახით, სწორი გათვლით, მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა. კერძოდ, შტატების მიზანი იყო მაქსიმალურად გაეთიშა თამაშიდან ენერგეტიკულ სექტორში მოღვაწე ორი დომინირებული ქვეყანა: რუსეთი და ირანი. მათი უგულებელყოფით თავიდან იქნებოდა არიდებული პოლიტიკური მიზნებით ე.წ. ენერგოსანქციების გამოყენება, რაც მნიშვნელოვანწილად შეასუსტებდა ამ უკანასკნელთა გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებას. ამისათვის, აშშ-მ შეიმუშავა დასავლური პოზიციებისა და ბერკეტების გაზრდის სტრატეგია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. მიუხედავად რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების შეშფოთებისა და გაღიზიანებისა, სწორედ კლინტონის ადმინისტრაციამ, ზემოთ ხსენებული მიზნების განსახორციელებლად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტების საფუძველზე საქართველო და აზერბაიჯანი ამერიკის შეერთებული შტატების საფარქვეშ პარტნიორებად აქცია, რითაც რუსეთი და ირანი თამაშგარე რეალობაში დატოვა, თანაც იმ რეგიონში, სადაც ამ უკანასკნელთ ისტორიული მიზნები ამოძრავებდათ საუკუნეების მანძილზე.

1 o. Antonenko, Towards a comprehensive regional security framework in the Black Sea region after the Russia–Georgia war. Southeast European and Black Sea Studies

2 ,,სამხრეთ კავკასიის როლი დასავლეთის რეგიონალურ პოლიტიკაში“, ხოზრევანიძე ლევან, 2019

3 Black sea security analitical magazine, centre for global studies strategy XXI, kyiv, 2017

გარდა პოლიტიკური მნიშვნელობისა, სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო დერეფანი ასრულებს უდიდეს ეკოლოგიურ და ეკომონიკურ როლს რეგიონში. კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტმა თურქეთის რესპუბლიკისთვის ეკოლოგიურ ჭრილში დიდი და მრავალწლიანი პრობლემა გადაჭრა. საყოველთაოდ ცნობილია ბოსფორის სრუტის დანიშნულება მსოფლიოს ქვეყნებს შორის და თურქეთისთვის მისი მნიშვნელობა, თუმცა ხშირ შემთხვევაში ბოსფორის სრუტეში ტანკერები სახიფათო და არასწორ მანევრებს ახორციელებდნენ თავად სრუტის სივიწროვიდან გამომდინარე. აღნიშნული პრობლემა თავსატეხად ექცა თურქეთის ხელისუფლებას, რომელიც სასტიკი წინააღმდეგი გახდა ნავთობით დატვირთული ტანკერების ბოსფორის სრუტეში გავლისა. შესაბამისად, თურქეთის მიზანი გახლდათ ენერგეტიკული მასალის ტრანსპორტირების მაქსიმალური დივერსიფიკაცია.

რაც შეეხება ეკონომიკურ მხარეს, გარდა იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში განთავსებული ქვეყნები თავიდან აიცილებენ რუსული გაზპრომის ფასებით თვითნებურ მანიპულაციას თავისი მძიმე შედეგებით, ბაზარზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენების ოპერირებით, ისინი მიიღებენ უდიდეს ეკონომიკურ სარგებელს. დასაფასებელია, რომ აღნიშნული პროექტების განხორციელების ფონზე, რეგიონში, მათ შორის განსაკუთრებით საქართველოში, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები და გაიზარდა დასაქმების პერსპექტივა.

,,სამხრეთ კავკასიის მილსადენი“ იძენს უდავოდ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას იმ ფონზე, რომ იგი აღიქმება რუსული გაზპრომის ალტერნატივად რეგიონში, რაც თავისთავად ქვეყნების რუსეთის ფედერაციაზე დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად ამცირებს. საგულისხმოა, რომ 2007 წლიდან, მკვეთრად შემცირდა საქართველოს დამოკიდებულება რუსულ ,,ცისფერ საწვავზე“, რაც გამოწვეულია აზერბაიჯანის მიერ შედარებით იაფი ტარიფების შეთავაზებით.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტრატეგიულმა სატრანსპორტო დერეფანმა მნიშვნელოვანი დიპლომატიური როლი ითამაშა, როგორც რეგიონში განთავსებულ ქვეყნებს შორის, ისე მიტმასნების პოლიტიკაშიც. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბილ კლინტონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, ასევე, აზერბაიჯანისა და თურქეთის ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს და დიდი ძალისხმევა გაიღეს მე- 20 საუკუნის უდიდესი პროექტის-ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის განხორციელებაში. შტატებმა გამოხატა აქტიური მხარდაჭერა ჯერ კიდევ განუხორციელებელი ენერგოპროექტის ფარგლებში და სწორედ ამ მხარდაჭერის საფუძველზე 1999 წელს, ეუთოს სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ რუსეთს გაეყვანა თავისი სამხედრო კონტიგენტი საქართველოს ტერიტორიიდან. აღნიშნული ცნობილია, როგორც ,,სტამბულის შეთანხმება“ და შედეგად 2001-დან 2007 წლამდე საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოხდა სამი უდიდესი სამხედრო ბაზის გაყვანა.

ნატოს და ევროკავშირის სინერგიული როლი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში

ნატოს როლის ანალიზი ენერგო სატრანზიტო მარშუტებზე უსაფრთხოების პოტენციური რისკების შემცირებაში.

ნატოს გააჩნია მზარდი როლი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ენერგოსატრანზიტო მარშრუტებზე უსაფრთხოების რისკების შემცირებაში. აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით; დავიწყოთ წარსულიდან, როდესაც სამხრეთ კავკასიის რეგიონი გახდა დაინტერესების არეალი და გამოწვევა ნატოსთვის მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა. პირველ რიგში ნატოსთვის მნიშვნელოვანი იყო რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა და სტრატეგიული მნიშვნელობა, ვინაიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონი ევროპასთან დაახლოებულია და სრულად შესაძლებელი იყო ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნატოსთვის მთავარი გამოწვევა შავი ზღვის რეგიონში რუსეთის ფედერაციაა და მისი აგრესიული ქმედებების წინააღმდეგ პასუხი საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან მაქსიმალურად პერმანენტული, დაახლოებული და პოზიტიური დი-ნამიკის შენარჩუნებაა. თურქეთი ისედაც ნატოს ინტერესების გატარების გარანტორია რეგიონში, შესაბამისად სამხრეთ რეგიონის დანარჩენი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ვექტორთა დასავლეთთან შესაბამისობა ნატოს და სხვა დასავლური ალიანსების გამოწვევად რჩება. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის სამიტის შედეგად, ენერგოპოლიტიკასთან დაკავშირებით განისაზღვრა ენერგოუსაფრთხოების ფაქტორი, ხოლო 2008 წელს კი ნატოს გენერალურმა მდივანმა სხეფერმა ენერგოუსაფრთხოება კოლე-ქტიურ საზრუნავად გამოაცხადა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნატოსთვის, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში მაქსიმალურად დაცული იყოს ენერგორესურსების ექსპორტი, თავად სატრანზიტო ქვეყნების მიმართ რუსეთის აგრესიული ქმედებები იქნეს შეკავებული, რაც თავისთავად განაპირობებს სტაბილურობას რეგიონში. სწორედ ეს უკანასკნელი მოიცავს, მათ შორის ისეთ კომპონენტებსაც, როგორებიცაა ბუნებრივი აირისა და ნავთობპროდუქტების მილსადენების უსაფრთხოების შენარჩუნება ინფრასტრუქტურული კუთხით, რაც თავად ტრანზიტორ ქვეყნებსაც მოაქცევს ნატოს საფარქვეშ[4].

ევროკავშირის მხარდაჭერა ენერგეტიკული პროექტების ინფრასტრუქტურის განვითარებასთან,

4 .,,ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში“, ირაკლი გაბელია, თბილისი,2019

ბაზარზე ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ბოლო ათწლეულების მანძილზე, ევროკავშირის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ენერგოუსაფრთხოება იქცა, რაც მიზნად ისახავდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ბუნებრივი აირისა და ნავთობსადენი სისტემების მხარდაჭერას, რუსული მომწოდებლების მაქსიმალურად თამაშიდან გათიშვის მიზნით. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ევროკავშირის სპეციალური პროგრამა - INOGATE, რომელიც მიმართულია კასპიის ზღვის რეგიონში ბუნებრივი აირისა და ნავთობსადენი სისტემების უზრუნველყოფისკენ. ევროკავშირის მხარდაჭერა არა მხოლოდ ფინანსურ და ინფრასტრუქტურულ ასპექტებში გამოიხატება ტრანსენერგეტიკული პროექტების მიმართ, არამედ იგი უზრუნველყოფს ბუნებრივი აირისა და ნავთობ სადენების სისტემების მშენებლობისა და მოვლა - პატრონობის კუთხით ერთიანი სტანდარტის შექმნასაც, რაც არა მხოლოდ უზრუნველყოფს საკანონმდებლო კუთხის მოწესრიგებას და პროექტების გარშემო გამტარი ქვეყნების მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების გამორიცხვას, არამედ სატრანზიტო ქვეყნებსაც ხდის მეტად მიმზიდველს ინვესტირების კუთხით, რითაც ხელს უწყობს როგორც რეგიონის სტაბილურობას, ისე მის განვითარებას[5].

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს, ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკული პროექტების საფუძველზე, შეუძლიათ ითამაშონ მთავარი და სტრატეგიული როლი კორიდორის შექმნის თვალსაზრისით, კასპიიდან და ცენტრალური აზიიდან ნავთობის შემოტანით, ინტეგრირებული ქსელის შექმნით რეგიონისა და ევროპის ქვეყნების მომარაგებისთვის. სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოებას, ტრანსანატოლიისა და ტრანსადრიატიკის მილსადენთან ერთად, ევროპისათვის, სამხრეთის კორიდორის გავლით, უმნიშვნელოვანესი დატვირთვა აქვს. ამ პროექტებში მონაწილე ქვეყნები სარგებლობენ დასავლეთის ნდობითა და მხარდაჭერით, ურთიერთკავშირს განამტკიცებენ რეგიონში და ნაკლებად დგებიან რუსული გაზპრომით პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების საშიშროების წინაშე.

იმისათვის, რომ ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკულმა პროექტებმა ჯეროვნად მოახერხონ ფუნქციონირება, აუცილებელია მაქსიმალურად იყოს დაცული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა, როგორც ფიზიკურად, ასევე კიბერ და ტერორისტული შეტევებისგან, რისი საფუძველიც ცალსახად ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ცენტრთან თანამშრომლობაა. ასევე, ევროკავშირის ჩართულობა და გაძლიერებული როლი ზემოთხსენებულ პროექტებთან მიმართებით დიდ მნიშვნელობას სძენს რეგიონალური და უფრო მასშტაბური ენერგეტიკული ბაზრის განვითარებას, პარტნიორი ქვეყნების დაახლოებას დასავლურ ღირებულებებთან. კუმულაციურად, ნატოსა და ევროკავშირის ჩართულობა მსგავსი ტიპის რეგიონალურ პროექტებში, უსაფრთხოებისა და საკანონმდებლო სტაბილიზაციის განვითარების კუთხით მეტად პერსპექტიულს ხდის ტრანსსასაზღვრო ენერგეტიუკული პროექტების ფუნქციონირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

გაბელია ირაკლი, ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში, გამომცემლობა თბილისი, 2019;

ხოზრევანიძე ლევან, სამხრეთ კავკასიის როლი დასავლეთის რეგიონალურ პოლიტიკაში, თბილისი, 2019;

Antonenko O., Towards a comprehensive regional security framework in the Black Sea, region after the Russia–Georgia war. Southeast European and Black Sea Studies, 2009;

Black sea security analitical magazine, centre for global studies strategy XXI, kyiv, 2017.

5 ,,ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში“, ირაკლი გაბელია, თბილისი, 2019.

ნატოს როლი საქართველოში - მოსახლეობის დამოკიდებულება და ნატოს გავლენის მოსალოდნელი შედეგები

ანა ბუცხრიკიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ნატო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში. პარტნიორ ქვეყნებს შორის საქართველო გამოირჩევა, როგორც ნატოში გაწევრიანების ძლიერი მისწრაფებების მქონე ქვეყანა. ეს ნაშრომი ეფუძნება ნატოს მრავალმხრივი როლის ყოვლისმომცველ შესწავლას საქართველოში, გვთავაზობს წარმოდგენას საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ ალიანსის მიმართ და ნატოს გავლენის მოსალოდნელ შედეგებს ქვეყანაში.

საქართველოში ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით არსებობს შეხედულებების სპექტრი, დაწყებული ენთუზიაზმით გამოწვეული მხარდაჭერით, რომელიც გამოწვეულია უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაზრდის სურვილით და უფრო ფრთხილი და სკეპტიკური პერსპექტივებით დამთავრებული, რომლებიც ხშირად ემყარება შეშფოთებას რუსეთის ანტაგონიზაციის ან ვრცელი შიდა რეფორმების საჭიროების მიმართ. ამ დინამიკის გასაგებად უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული კონტექსტი, მათ შორის კონფლიქტები რუსეთთან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და პოლიტიკური რეფორმებისა და დემოკრატიული მისწრაფებების სერია.

გარდა ამისა, ნაშრომი იკვლევს ნატოს გავლენის მოსალოდნელ შედეგებს საქართველოში, სცილდება უსაფრთხოების მოსაზრებებს და მოიცავს პოლიტიკურ, უსაფრთხოების და ეკონომიკურ განზომილებებს. საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზამ ხელი შეუწყო დემოკრატიულ რეფორმებს, ინსტიტუციურ გაძლიერებას და სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების გაუმჯობესებას. ეს ცვლილებები აუცილებელია არა მხოლოდ ნატოში ინტეგრაციისთვის, არამედ საქართველოს საერთო განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის.

გარდა ამისა, ნატოს ერთგულება კოლექტიური თავდაცვის მიმართ საქართველოს სთავაზობს უსაფრთხოების მნიშვნელოვან გარანტიას, განსაკუთრებით რუსეთის მხრიდან პოტენციური აგრესიის ფონზე, რომელიც ახლა რუსეთის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს უკრაინის მიმართ. ალიანსის უარი აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებაზე კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ეკონომიკურად ნატოში გაწევრიანების პერსპექტივას შეუძლია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. მას შეუძლია ინვესტორების ნდობა აღძრას, რაც გამოიწვევს უფრო მეტ ეკონომიკურ სტაბილურობას და განვითარების შესაძლებლობებს. ნატოს თანამშრომლობის ინიციატივები, მათ შორის პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის," უზრუნველყოფს შესაძლებლობების გაძლიერებას ისეთ კრიტიკულ სფეროებში, როგორიცაა კატასტროფებზე რეაგირება, კიბერთავდაცვა და სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობა, რითაც ხელს უწყობს საქართველოს ადამიანური კაპიტალისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

დასასრულს, ეს ნაშრომი გვთავაზობს სოციალური მოვლენების მთლიან პერსპექტივას ნატოს როლზე საქართველოში, ერის ისტორიული კონტექსტის, მისი მოსახლეობის მრავალფეროვანი დამოკიდებულების და ნატოში ღრმა ინტეგრაციის მრავალმხრივი შედეგების გათვალისწინებით. საქართველოს სწრაფვა ნატოში გაწევრიანებაზე, გამოწვევების მიუხედავად, წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ მისწრაფებას, რომელსაც აქვს პოტენციალი შეცვალოს ქვეყნის პოლიტიკური, უსაფრთხოების და ეკონომიკური მომავალი. ამ რთული დინამიკის შესწავლით, ეს ნაშრომი ხელს უწყობს საერთაშორისო ალიანსებსა და ეროვნულ ამბიციებს შორის ურთიერთქმედების გაგებას მსოფლიოში, სადაც უსაფრთხოება და დიპლომატია უმნიშვნელოვანესია.

საკვანძო სიტყვები:
ნატოს როლი, მოსახლეობის დამოკიდებულებები, ნატოში ინტეგრაცია, ტერიტორიული მთლიანობა, შეფერხება.

The Role of NATO in Georgia - Public Attitudes and Anticipated Outcomes of NATO's In Influence

Anna Butskhrikidze
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of State Recourse Management

Abstract

NATO, the North Atlantic Treaty Organization, has played a crucial role in shaping the geopolitical landscape of Eastern Europe and the South Caucasus region. Among the partner countries, Georgia aspires to join NATO. This article is based on a comprehensive study of NATO's multifaceted role in Georgia, offering insight into the attitudes of the Georgian population towards the Alliance and the expected influence of NATO in the country.

The possibilities for Georgia's NATO accession range from enthusiastic support fueled by a desire for security and long-term growth to a more cautious and hawkish perspective based on concerns about Russian antagonism or the need for extensive domestic reforms. To understand this dynamic, we must consider the historical context, including conflicts with Russia in Abkhazia and South Ossetia, and the series of political reforms and democratic aspirations that have marked Georgia's post-Soviet journey.

Additionally, the article examines the expected impact of NAzTO on Georgia. The nation's path towards joining NATO has contributed to democratic reforms, institutional strengthening, and a civil-military development plan. These changes are not only vital for NATO membership but also for the overall development and political security of Georgia.

Furthermore, NATO's commitment to collective defense is a significant factor. The alliance's refusal to recognize the separatist regions of Abkhazia and South Ossetia as independent states reaffirms Georgia's territorial integrity within its internationally recognized borders.

Economically, the prospect of joining NATO can stimulate foreign direct investment (FDI) and economic growth in Georgia. It can build investor confidence, leading to more significant economic structures and development. NATO partnerships, including the Partnership for Peace program, provide capacity-building opportunities in critical areas.

In conclusion, this article offers a holistic perspective on the role of NATO in Georgia, considering the historical context, the nation's aspirations, and the multifaceted consequences of NATO's deep involvement. Georgia's pursuit of NATO membership, despite the challenges, is an important geopolitical endeavor that has the potential to shape the country's politics, security, and economic future. By analyzing this complex dynamic, this article helps us understand the interplay between international alliances and national ambitions in a world where security and diplomacy are of paramount importance.

Keywords:
NATO's role, population attitudes, integration into NATO, territorial integrity.

შესავალი

1949 წელს, დაარსების დღიდან, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობაში[1]. ნატოს გაფართოება ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნების აღმოსავლეთ ევროპაში ჩართვით ევროპის გეოპოლიტიკის ცენტრალური თემა იყო და საქართველო, რომელიც მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში, არის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს ნატოში გაწევრიანების სურვილი და პერსპექტივა.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) დაარსების დღიდან მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში არის დასავლური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტი, რომლის ძირითადი ამოცანაა მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა - როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. თავდაპირველად ჩაფიქრებული, როგორც კოლექტიური თავდაცვის ალიანსი საბჭოთა კავშირის საფრთხის დასაძლევად, ნატოს როლი მნიშვნელოვნად განვითარდა ათწლეულების განმავლობაში. ამ ევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ასპექტი იყო ნატოს წევრობის გაფართოება ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების ჩათვლით, რაც მიზნად ისახავს დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობას აღმოსავლეთ ევროპაში.

აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის, რომლებსაც ნატოში გაწევრიანება აქვთ განზრახული, საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურყევი ერთგულების მქონე ქვეყანა, თუმცა ბოლო პერიოდში თითქოსდა ნატო ცდილობს მის მიერ გაკეთებული განცხადებებით ხაზი გაუსვას, რომ საქართველოს ურყევი ნება - გახდეს ალიანსის წევრი ქვეყანა - შენელდა. ნატოში საქართველოს პოტენციური გაწევრიანების საკითხი ღრმა გავლენას ახდენს არა მხოლოდ თავად ქვეყნისთვის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის უფრო ფართო გეოპოლიტიკურ ლანდშაფტზე.

ეს ნაშრომი ითვალისწინებს ისტორიულ კონტექსტს, რომელმაც ჩამოაყალიბა საქართველოს გეოპოლიტიკური მისწრაფებები, ქართული საზოგადოების მრავალფეროვნება ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და ალიანსში ღრმა ინტეგრაციის ნიუანსური შედეგები. ამით ის მიზნად ისახავს ნათელი მოჰფინოს იმ რთულ დინამიკას, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ალიანსებსა და ეროვნულ ამბიციებს შორის ურთიერთობას გლობალური უსაფრთხოებისა და დიპლომატიის მუდმივად განვითარებად სამყაროში.

აღნიშნული ნაშრომის კვლევის მიზანია საქართველოში ნატოს როლის გააზრება და საქართველოს ნატოში ინტეგრაციით შესაძლო მიღებული შედეგების გაანალიზება. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებულ იქნა ამოცანები, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა და კვლევის მეთოდოლოგია, რის შესაბამისად ნაშრომში არსებული შემდეგი თავები შეისწავლის ისტორიულ კონტექსტს, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ნატოს მიმართ და ნატოს საქართველოზე გავლენის მოსალოდნელ შედეგებს. ამ ანალიზის მეშვეობით ჩვენ მივიღებთ ღირებულ შეხედულებებს იმ სირთულეებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც მოჰყვება საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის უფრო ფართო გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ღრმა გაგებას.

ძირითადი ნაწილი

საკვლევი კითხვა

კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. საქართველო - ნატოს ისტორიისა და მოსახლეობის დამოკიდებულებების გათვალისწინებით, რამდენად სურს საქართველოს ნატოში ინტეგრაცია?
2. რა შედეგი შეიძლება მოყვეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას?

საკვლევი საკითხის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები:

1. გოგოლაშვილი, კორნელი. 2020 წლის ნაშრომი სახელწოდებით „საზოგადოებრივი აზრი ნატოს წევრობის შესახებ საქართველოში“, რომელშიც ასახულია საქართველოს დამოკიდებულება ნატოში იტეგრაციის შესახებ;
2. კაკაჩია, კორნელი. 2021 წლის ნაშრომი სახელწოდებით “საქართველო და ნატო: გრძელი გზა გაწევრიანებისკენ”, რომელშიც ასახულია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ისტორიული კონტექსტი.

სხვადასხვა ინტერნეტ წყარო, რომელშიც განხილულია საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ბოლოდროინდელი განწყობები და სხვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან.

1 საქართველო და ნატო საინფორმაციო ცენტრი https://old.infocenter.gov.ge/nato-georgia-history/ (6.10.2023)

ჰიპოთეზა

უნდა ითქვას, რომ ისტორიული კონტექსტის უცვლელი გაგრძელებით საქართველოს ნატოში ინტეგრაცია იქნება საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის, გაძლიერებული უსაფრთხოების და ეკონომიკური განვითარების მომტანი, რადგან ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) დაარსების დღიდან დასავლური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ქვაკუთხედია. აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში მნიშვნელოვანია შემოწმდეს აღნიშნული ჰიპოთეზა და პასუხი გაეცეს მოცემულ საკვლევ კითხვებს.

კვლევის მეთოდოლოგია

მეცნიერული კვლევა წარმოადგენს საკვლევი საკითხის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებას, გაანალიზებასა და დასკვნების გამოტანას ან როგორც მინიმუმ დასკვნის გამოტანის რეალურ მცდელობას. ნაშრომი მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება, რომელიც უფრო მოქნილია და კვლევის პროცესში კორექტირების საშუალებას იძლევა. უმეტესწილად დაფუძნებულია უკვე არსებულ ცოდნაზე. კერძოდ, მეორეულ სამეცნიერო ლიტერატურულ წყაროებზე. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევის მეთოდი, რომელიც დაგვეხმარა გვეწარმოებინა ცალკეული სტატიების, დოკუმენტების და ინტერნეტმასალის კლასიფიცირება, შესწავლა და გაანალიზება. დაკვირვების შედეგად გამოყენებულ იქნა კონტენტ-ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსის უკეთ გააზრებას, გაგებას და არგუმენტირებულ მსჯელობას.

ასევე გამოყენებულ იქნა ინდუქციური მეთოდი, რომელიც კონკრეტული მოვლენებიდან ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა, ვინაიდან გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები.

ისტორიული კონტექსტი

ნატო-საქართველოს ურთიერთობების თანამედროვე დინამიკის გასაგებად აუცილებელია ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება. საქართველომ, სამხრეთ კავკასიის პატარა ქვეყანამ, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა. მას შემდეგ იგი მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, მათ შორის რუსეთთან კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ამ კონფლიქტებმა ხანგრძლივი ნაწიბურები დატოვა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის უსაფრთხოების გარემოზე.

საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, მათ შორის ნატოში გაწევრიანებისკენ, 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. საქართველომ 2002 წელს პრაღის სამიტზე წარმოაჩინა ქვეყნის სურვილი გაწევრიანებულიყო ნატოში, ორ წელში კი საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP – Individual Partnership Action Plan), რაც გულისხმობდა გაწერილ სამოქმედო ნაბიჯებს აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ გარდამტეხი მომენტი იყო საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტში, სადაც ქვეყანა ახორციელებდა დემოკრატიულ რეფორმებს და პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას.

2008 წელს საქართველოს კონფლიქტმა რუსეთთან ცხინვალის რეგიონის გამო კიდევ უფრო გაუსვა ხაზი უსაფრთხოების გარანტიების საჭიროებას. 2004-2008 წლებში საქართველომ მიიღო 5 დადებითი შეფასება. 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე გაჟღერდა, რომ საქართველო აუცილებლად გახდებოდა ალიანსის წევრი. ამით ალიანსმა პოლიტიკური ვალდებულება აიღო და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ნატო - საქართველოს ისტორიაში, თუმცა აღნიშნული ნატოს მხოლოდ საქართველოსთვის არ უთქვამს - საქართველოსა და უკრაინას შეჰპირდა, რომ ისინი ალიანსის წევრები გახდებოდნენ. მას შემდეგ ამ ორი ქვეყნის გეოპოლიტიკური ბედი ერთმანეთთან ახლოს იდგა და საქართველო და უკრაინა ერთმანეთის მსგავსად ცდილობდნენ დასავლეთს შეერთებოდნენ.

2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტზე, საქართველომ თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის (Defence Capacity Building, DCB) ინიციატივის ფარგლებში, ნატო- საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) მიიღო. პაკეტი მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას, მდგრადობის გაძლიერებას, ნატოსთან თავსებადობის ამაღლებასა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მზადების პროცესის ხელშეწყობას[2].

2022 წლის 24 თებერვალს დაწყებული რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე ალიანსმა 11-12 ივლისს ვილნიუსში გამართულ სამიტზე ძირითადი აქცენტი გააკეთა უკრაინაზე, ხოლო რაც შეეხება საქართველოს, დაფიქსირდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების ერთგულება, ხოლო გაწევრიანების კონტექსტში კვლავ აუცილებელ პირობად დარჩა საქართველოსთვის მაპის მინიჭება (Membership Action Plan - MAP).

უკრაინის ომმა ბიძგი მისცა დისკუსიებს ნატოს ასპირანტების – უკრაინისა და საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების „შესაძლებლობის ფანჯრის“ გახსნის ალბათობის შესახებ. ამგვარი შესაძლებლობა უკვე შეიქმნა ევროკავშირში ინტეგრაციის შემთხვევაში.

2022 წელს თბილისში ნატოს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა ხავიერ კოლომინამ განაცხადა “In the last year- year-and-half, things have been stalled, and we are concerned, as an Alliance and the Allies themselves.[3]” (ბოლო ერთი წლის თუ წელიწადნახევრის განმავლობაში პროცესები გაჩერდა. ჩვენ შეშფოთებულები ვართ, როგორც მთლიანი ალიანსი, ისე თითოეული მოკავშირე). ეს

2 შინაგან საქმეთა სამინისტრო, ნატო-საქართველის არსებითი პაკეტი bit.ly/3PGNgxf (06.10.2023წ)

3 Georgia and NATO Ahead of Vilnius Summit: Where did the Spark Go? https://civil.ge/archives/546171 (06.10.2023წ)

იყო პირველი შემთვევა, როდესაც ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ოფიციალურად განაცხადა მისი აზრი, რომელშიც იკვეთებოდა საქართველოს მიერ ნატოში ინტეგრაციის გზაზე არსებული შეფერხებების და შეჩერებული პროცესების შესახებ. ამის შემდგომ კიდევ ერთხელ გამოხატა ნატოს წარმომადგენელმა შეშფოთება მიმდინარე მოვლენებზე და საქართველოს მიერ ნატოში ინტეგრაციის გზაზე პასიური დამოკიდებულების მიმართ, რითაც ოფიციალურად გამოხატა დამოკიდებულებები რიგი საკითხების მიმართ, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამგვარი განცხადებების მიუხედავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის საქართველო ძალიან ღირებული პარტნიორია.

საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებები

ნატოს მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების გააზრება გადამწყვეტია ქვეყანაში ალიანსის როლის შესაფასებლად. საქართველოს საზოგადოებრივი აზრი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით წლების განმავლობაში ვითარდებოდა და მასზე გავლენას ახდენდა სხვადასხვა ფაქტორი.

ქართული საზოგადოება ზოგადად მხარს უჭერს ნატოში გაწევრიანებას. ბევრი ქართველი ნატოს განიხილავს, როგორც უსაფრთხოების ქოლგას, რომელსაც შეუძლია დაიცვას ქვეყანა გარე საფრთხეებისგან, განსაკუთრებით რუსეთისგან. ნატოში გაწევრიანების სურვილი ხშირად ასოცირდება სტაბილურობის სურვილთან და იმედთან, რომ ალიანსში გაწევრიანება გააძლიერებს საქართველოს უსაფრთხოების მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ნატოში გაწევრიანებას დიდი მხარდაჭერა აქვს, ქართულ საზოგადოებაში ასევე არსებობს შეშფოთება, ზოგიერთი ქართველი წუხს ნატოში გაწევრიანების ძიების გზით გამოწვეული რუსეთის ანტაგონიზაციის პოტენციურ რისკებზე. 2008 წლის კონფლიქტი რუსეთთან ჯერ კიდევ დიდია ქვეყნის კოლექტიურ მეხსიერებაში და არსებობს შიში, რომ ნატოში გაწევრიანებამ შეიძლება გამოიწვიოს შემდგომი არასტაბილურობა რეგიონში. აღნიშნული აზრი თითქოსდა გაუმყარა საზოგადოებას რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტმა, ქვეყანაში გაკეთებულმა გარკვეულმა განცხადებებმა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი გამოიწვია უკრაინის სურვილმა ნატოში შესულიყო როგორც ალიანსის წევრი ქვეყანა და ნატოს სურვილმა, რომ გაფართოებულიყო.

გარდა ამისა, არსებობს შეშფოთება ნატოში ინტეგრაციისთვის საჭირო შიდა რეფორმების შესახებ. ზოგიერთი ქართველი ფიქრობს, რომ ნაადრევმა წევრობამ შეიძლება გამოიწვიოს გამოწვევები ალიანსის სტანდარტებისა და ვალდებულებების შესრულებაში.

აშშ-ის ეროვნულ - დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) ჩაატარა გამოკითხვა 2023 წლის 17-23 მარტის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით), 1032 სატელეფონო ინტერვიუს საფუძველზე, ქვეყნის სრულწლოვან მოსახლეობას შორის. კვლევის თანახმად 73%-ია მათი რაოდენობა, ვისთვისაც მისაღებია, რომ ქვეყანა გახდეს ნატოს წევრი. „ნატოსთვის მხარდაჭერა განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდებს შორის“.

კვლევის მიხედვით, „უმრავლესობას რუსეთთან ახლო ურთიერთობას ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია ურჩევნია“. გამოკითხულების 69% ამბობს, რომ საქართველო უფრო მეტ სარგებელს მიიღებს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციით. მხოლოდ 7%-ს მიაჩნია, რომ ქვეყანა უფრო მეტ სარგებელს რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების სანაცვლოდ მიიღებს. აგრეთვე თუ საქართველო უარს იტყვის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე[4].

ნატოს გავლენის მოსალოდნელი შედეგები

ნატოს გავლენა საქართველოზე სცილდება უსაფრთხოების საკითხებს და მოიცავს ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ასპექტს. ნატოს გავლენის მოსალოდნელი შედეგების გასაგებად, შესწავლილ უნდა იქნეს ამ საკითხის პოლიტიკური, უსაფრთხოების და ეკონომიკური განზომილებები.

რაც შეეხება პოლიტიკურ სტაბილურობას, სწორედ ნატოში გაწევრიანების შედეგია პოლიტიკური სტაბილურობა და დემოკრატიული რეფორმები. ნატოს გავლენამ წაახალისა საქართველო გააგრძელოს ის რეფორმები, რომლებიც აუცილებელია არა მხოლოდ ალიანსის წევრობისთვის, არამედ ქვეყნის საერთო განვითარებისთვის. ქვეყნის სხვადასხვა ეტაპზე რეფორმებისკენ სწრაფვა და რეფორმების განხორციელება ყოველთვის ენთუზიაზმით ხორციელდება.

გარდა ამისა, ნატო ემსახურება წევრ ქვეყნებსა და პარტნიორებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმას. საქართველოს მონაწილეობა ნატოს შეხვედრებსა და წვრთნებში აძლევს მას ღირებულ შესაძლებლობებს დასავლურ დემოკრატიებთან ურთიერთობისა და მართვისა და უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

საქართველოში ნატოს გავლენის ერთ-ერთი მთავარი მოსალოდნელი შედეგი უსაფრთხოების გაძლიერებაა. ნატოს კოლექტიური თავდაცვის ძირითადი პრინციპი ნიშნავს, რომ თავდასხმა ერთ წევრზე განიხილება თავდასხმად ყველა წევრზე. საქართველოსთვის ეს ნიშნავს უსაფრთხოების მნიშვნელოვან გარანტიას, განსაკუთრებით რუსეთის მხრიდან პოტენციური აგრესიის ფონზე.

ნატომ ასევე ითამაშა გარკვეული როლი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაში. ალიანსი არ ცნობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, რაც კიდევ

4 საზოგადოების განწყობა საქართველოში, bit.ly/3LMkMkv (06.10.2023წ)

ერთხელ ადასტურებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ნატო-ს წევრობას შესაძლებელია დადებითი ეკონომიკური ეფექტი ჰქონდეს პარტნიორ ქვეყნებზე. ეს ხშირად იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების FDI (Foreign direct investment) ზრდას და ეკონომიკურ განვითარებას. ნატოში გაწევრიანების პერსპექტივამ შეიძლება გააძლიეროს ინვესტორების ნდობა, რაც გამოიწვევს უფრო დიდ ეკონომიკურ სტაბილურობასა და ზრდას. ამის მაგალითები არიან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (CEEC): 1999 წელს ნატოში გაწევრიანების შემდეგ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის პოლონეთმა, უნგრეთმა და ჩეხეთმა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა განიცადა. ნატოში გაწევრიანებამ ამ ქვეყნებში უზრუნველყო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

საყურადღებოა სლოვენიის მაგალითი: 2004 წელს ნატოში და 2007 წელს ევროკავშირში გაწევრიანებამ ხელი შეუწყო სლოვენიის ეკონომიკურ წინსვლას. ქვეყანაში გაიზარდა უცხოური ინვესტიციები და გაუმჯობესდა ეკონომიკური პირობები, ნაწილობრივ ნატოსა და ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებული აღქმული სტაბილურობის გამო.

საბერძნეთი და ესპანეთი: ორივე ქვეყანამ, 1950-იანი წლების დასაწყისში ნატოში გაწევრიანების შემდეგ, განიცადა ეკონომიკური განვითარებისა და მოდერნიზაციის პერიოდები.

ქემოთ აღნიშნულ ქვეყნებში ნატოში გაწევრიანებამ მოიტანა პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება, შექმნა ხელსაყრელი გარემო ეკონომიკური რეფორმებისთვის.

უფრო მეტიც, ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამა და სხვა თანამშრომლობის ინიციატივები იძლევა განვითარების შესაძლებლობებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: კატასტროფებზე რეაგირება, კიბერთავდაცვა და სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობა. ამ საქმიანობას შეუძლია ხელი შეუწყოს საქართველოს ადამიანური კაპიტალისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მართალია, რომ რუსეთი მუდმივად გამოხატავდა ძლიერ წინააღმდეგობას ნატოს გაფართოების მიმართ, განსაკუთრებით მისი გავლენის ყოფილ სფეროში. რამდენადაც საქართველო უახლოვდება ნატოს, რუსეთის რეაქციის კრიტიკული ფაქტორი ნამდვილად გასათვალისწინებელია, თუმცა ეს არ შეიძლება გახდეს მიზეზი ნატოსკენ ინტეგრაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯების შეფერხებაში. ისტორიულად, რუსეთის პასუხი საქართველოს ნატო-ში მისწრაფებებზე კონფრონტაციული იყო, როგორც ეს 2008 წელს ცხინვალის რეგიონის გამო ომში დაფიქსირდა.

რუსეთი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მცდელობებზე შეიძლება რამდენიმე გზით რეაგირებდეს:

გაზრდილი დაძაბულობა: ნატო-სთან უფრო ღრმა ინტეგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობა საქართველოსა და რუსეთს შორის. რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს პოლიტიკური, ეკონომიკური ან სამხედრო ზეწოლა საქართველოს ნატოში გაწევრიანების აცილების მიზნით.

სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერა: რუსეთს შეუძლია გააგრძელოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერა, რაც პოტენციურად ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ნატოსკენ მისი გზის შერყევას.

რუსეთი შეიძლება ჩაერთოს დეზინფორმაციულ კამპანიებში და პროპაგანდაში, რათა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას საქართველოში და ნატოს წევრ ქვეყნებში, რაც მიზნად ისახავს შექმნას განხეთქილება და ეჭვი საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

რუსეთმა შესაძლოა განახორციელოს დიპლომატიური ზეწოლა ნატოს წევრ ქვეყნებზე და შეეცადოს ამით ხელი შეუშალოს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მცდელობებს.

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ ნატოს როლი საქართველოში რთული და მრავალმხრივია, როგორც შესაძლებლობებით, ასევე გამოწვევებით. საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოს წევრობის მიმართ ასახავს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის სურვილს, პოტენციურ რისკებთან და შიდა რეფორმების საჭიროებასთან ერთად. საქართველოში ნატოს გავლენის მოსალოდნელი შედეგები მოიცავს პოლიტიკურ სტაბილურობას, გაძლიერებულ უსაფრთხოებას და ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოს მოგზაურობა ნატოში გაწევრიანებისკენ აღინიშნა პროგრესით. მათ შორისაა 2008 წლის დეკლარაცია ნატოს საბოლოო გაწევრიანების ვალდებულების შესახებ, თუმცა, გამოწვევები რჩება, მათ შორის მოუგვარებელი კონფლიქტები, რეგიონალური დაძაბულობა და ბოლო პერიოდში ნატოს ხედვა საქართველოში განხორციელებულ მიმდინარე მოვლენებზე. ნატოს ჩართულობა საქართველოსთან კვლავ რჩება ალიანსის უფრო ფართო სტრატეგიის კრიტიკულ ელემენტად აღმოსავლეთ ევროპაში, რაც ხელს უწყობს რეგიონულ სტაბილურობასა და დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაციას.

აუცილებელია, რომ საქართველომ გააგრძელოს გზა ნატოში გაწევრიანებისკენ, ქვეყანა უნდა გაუმკლავდეს რეგიონული გეოპოლიტიკის სირთულეებს, გააგრძელოს არსებული შიდა რეფორმების განხორციელება და გააქარწყლოს ალიანსში გაჩენილი მოსაზრება საქართველოს მიერ ალიასში გაწევრიანების სურვილის შენელების შესახებ. ალიანსი, თავის მხრივ, უნდა დარჩეს საქართველოს

ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისა და ნატოს გავლენის მოსალოდნელი შედეგების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს უფრო უსაფრთხო და განვითარებული ქვეყნის ჩამოყალიბებას. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია ნამდვილად იქნება საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის, გაძლიერებული უსაფრთხოების და ეკონომიკური განვითარების მომტანი, რადგან ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) დაარსების დღიდან დასავლური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ქვაკუთხედია.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი, კორნელი. „საზოგადოებრივი აზრი ნატოს წევრობის შესახებ საქართველოში“. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები, 2020 წ.

კაკაჩია, კორნელი. “საქართველო და ნატო: გრძელი გზა გაწევრიანებისკენ”. ჯეიმსთაუნის ფონდი, 2021 წელი.

Lang, David Marshall. “NATO’s Partnership Relations: An Opportunity for Georgia.” Atlantic Council, 2020.

Luke Coffey , NATO Membership for Georgia: In U.S. and European Interest, საქართველო და ნატო საინფორმაციო ცენტრი https://old.infocenter.gov.ge/nato-georgia-history/ (6.10.2023)

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ნატო-საქართველის არსებითი პაკეტი bit.ly/3PGNgxf (06.10.2023წ)

Georgia and NATO Ahead of Vilnius Summit: Where did the Spark Go? https://civil.ge/archives/546171 (06.10.2023წ)

საზოგადოების განწყობა საქართველოში, bit.ly/3LMkMkv (06.10.2023წ)

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ https://infocenter.gov.ge/about/ (06.10.2023წ)

North Atlantic Treaty Organization https://www.nato.int/ (06.10.2023წ)

ევროკავშირის როლი სამხრეთ კავკასიაში

არჩილ დოლიძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

აღნიშნულ ნაშრომში განხილული იქნება ევროკავშირის (EU) როლი სამხრეთ კავკასიის რეგიონში. სამხრეთ კავკასია მოიცავს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ევროკავშირი სხვა ორგანიზაციებთან ერთად სხვადასხვა მექანიზმებით თანამშრომლობს აღნიშნულ რეგიონთან. იგი მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს უსაფრთხოებასა და თანამშრომლობის განვითარებაში. ეს ნაშრომი აანალიზებს ევროკავშირის მოტივებს, სტრატეგიებს და პრობლემებს, ხაზს უსვამს აღნიშნული ორგანიზაციის განსხვავებულ მიდგომებს სამხრეთ კავკასიის კომპლექსური გამოწვევების გადასაჭრელად.

ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოგვცემს შესაძლებლობას პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რა როლი აქვს ევროკავშირს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რელურად არის ეს რეგიონის კეთილდღეობაზე ზრუნვა თუ მხოლოდ პირადი ინტერესები, ვინადაინ მოგვეხსნება, რომ აღნიშნული რეგიონი უდაოდ გამოირჩევა თავისი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობით. იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონს ემუქრება აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტები, ევროკავშირის პოლიტიკა რეგიონის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, სავარაუდოდ, ორიენტირებული უნდა იყოს ამ კონფლიქტების მოგვარების გზების ძიებასა და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაზე.

ნაშრომში, აგრეთვე საუბარი იქნება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შესახებ, რომელიც 2009 წელს დაიწყო და მოიცავს ექვს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს: სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელორუსს, საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას. იგი შეიქმნა ამ ქვეყნებში პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რეფორმების მხარდასაჭერად, დემოკრატიზაციისა და კარგი მმართველობის, ენერგეტიკული უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გაზრდის მიზნით.

საკვანძო სიტყვები:
ევროკავშირი, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, აღმოსავლეთ პარტნიორობა.

The role of the European Union in the South Caucasus

Archil Dolidze
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of State Recourse Management

Abstract

In the paper we have discussed t role of the European Union (EU) in the South Caucasus region. South Caucasus includes such countries as Georgia, Armenia and Azerbaijan. The European Union, together with other organizations, cooperates with the mentioned region through various mechanisms, it aims to contribute to the development of security and cooperation. This paper analyzes the motives, strategies and problems of the European Union, highlighting the different positions of the said organization in solving the complex challenges of the South Caucasus.

The paper will focus on issues that will give us the opportunity to answer the question of what role the European Union has in the South Caucasus region, is it actually caring for the welfare of the region or just personal interests, but we will be told, that the mentioned region is undeniably distinguished by its geographical and geopolitical importance. Given that the South Caucasus region is threatened by the conflicts of Abkhazia, South Ossetia and Nagorno-Karabakh, the EU's policy towards the region should primarily be focused on ways to resolve these conflicts, ensuring peace and stability in the region.

The paper will also discuss the Eastern Partnership policy of the European Union, started in 2009 and includes six post-Soviet states: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova and Ukraine. It aimed to support political, social and economic reforms in these countries, to promote democratization and good governance, energy security, environmental protection and economic and social development.

Keywords:
European Union, South Caucasus region, geographical and geopolitical importance, Eastern Partnership.

შესავალი

სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკური მნიშვნელობით, სტრატეგიული მდებარეობით, კულტურული მრავალფეროვნებით და სხვადასხვა ისტორიული კონფლიქტებით ყოველთვის იყო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. გამომდინარე აქედან, საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანების-ევროკავშირის როლი აღნიშნული რეგიონის უსაფრთხოებისთ-ვის და სატაბილურობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც ვიცით, ევროკავშირის არსებობის მიზანს წარმოადგენს „მშვიდობის შენარჩუნება“ და „საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება“. მას, ასევე მიზნად აქვს დასახული საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განვითარება და განმტკიცება, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის გაძლიერება. პარტნიორ წევრებში, ასევე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში კრიზისის ან მშვიდობის დროს, გადაუდებელი პრევენციული ქმედებების განხორციელება.

სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ნაწილებში, ევროკავშირი მხარს უჭერს ორი ტიპის უსაფრთხოებას: ერთი მხრივ, შიდა უსაფრთხოებას, რომელსაც ემუქრება სეპარატიზმი და სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობა და, მეორეს მხრივ, გარე უსაფრთხოება.[1]

ძირითადი ნაწილი

სამხრეთ კავკასიის ისტორია საკმაოდ მრავალფეროვანია. მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო რეგიონი ყოველთვის იპყრობდა გარეშე მტრების ყურადღებას.

აღნიშნული რეგიონი მდებარეობს აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გზაჯვარედინზე. მისი გეოგრაფიული მნიშვნელობა სწორედ სტრატეგიული მდებარეობის, მრავალფეროვანი ლანდშაფტებისა და მდიდარი ისტორიით არის განპირობებული.

რეგიონი გადამწყვეტია ენერგიის სატრანზიტო მარშრუტებისთვის. აქ არის მნიშვნელოვანი ნავთობისა და გაზის მილსადენები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიის მილსადენი, რომლებსაც კასპიის ზღვის ენერგორესურსები გლობალურ ბაზრებზე გადააქვთ. ეს მილსადენები ევროპას რუსული ენერგიის წყაროების ალტერნატივას აძლევს.

სამხრეთ კავკასია სტრატეგიულად მდებარეობს ჩრდილოეთით რუსეთს და სამხრეთით ირანს შორის, რის გამოც იგი წარმოადგენს დიდი ძალების კონკურენციისა და გეოპოლიტიკური ინტერესების ფოკუსს. ამიტომ, სხვადასხვა რეგიონული და საერთაშორისო აქტორები იბრძვიან გავლენის მოსაპოვებლად.

რეგიონში ხშირია სხვადასხვა კონფლიქტები და დავები, განსაკუთრებით აღსანიშნავია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. ამ კონფლიქტებზე გავლენას ახდენს რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ეთნიკური დაყოფა, რასაც შეიძლება ჰქონდეს უფრო ფართო რეგიონალური გავლენა.

სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიული მნიშვნელობა ნამდვილად უდაოა მისი სტრატეგიული მდებარეობის, მრავალფეროვანი ლანდშაფტებისა და ისტორიული კონტექსტის გამო, რამაც განსაზღვრა მისი როლი რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.[2]

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი მეზობელი სამხრეთ კავკასიაში

აღმოსავლეთ პარტნიორობა არის ევროკავშირის (EU) ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთობების დამყარებას და გაღრმავებას აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან.

სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა საქართველო, სომხეთი და აზრბაიჯანი ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, რადგან ევროკავშირის მიზანია გააძლიეროს პოლიტიკური დიალოგი, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ინტეგრაციას და ხელი შეუწყოს ხალხთა შორის კონტაქტებს აღმოსავლეთ მეზობლებთან.

სომხეთი:სომხეთს აქვს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ევროკავშირთან 1999 წლიდან. ეს თანამშრომლობა მოიცავს სხვადასხვა ტიპის შეთანხმებებს, ვაჭრობას, ეკონომიკურ თანამშრომლობას, კულტურულ გაცვლასა და პოლიტიკურ დიალოგს.

2017 წელს სომხეთმა და ევროკავშირმა წამოიწყეს მოლაპარაკებები ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის შეთანხმებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

აზერბაიჯანს ასევე აქვს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება ევროკავშირთან, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს. სომხეთის შეთანხმების მსგავსად, შეთანხმება მოიცავს თანამ-

1 Helly, Damien. “The Role of the EU in the Security of the South Caucasus: A Compromised Specificity?” Connections 1, no. 3 (2002): 67–76. http://www.jstor.org/stable/26322955.

2 Bob Deen Wouter Zweers Camille Linder. „The EU in the South Caucasus Navigating a geopolitical labyrinth in turmoil“ . Clingendael Report. March 2023 https://www.clingendael.org/sites/default/files/2023-03/the-eu-in-the-south-caucasus.pdf

შრომლობის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის პოლიტიკურ დიალოგს, სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს. ენერგეტიკული თანამშრომლობა ევროკავშირი-აზერბაიჯანის ურთიერთობების მნიშვნელოვანი აქცენტია, აზერბაიჯანი არის ბუნებრივი გაზის მთავარი მიმწოდებელი ევროპისთვის სამხრეთ გაზის დერეფნის მეშვეობით.

საქართველომ არსებითი პროგრესი მიაღწია ევროკავშირთან ურთიერთობაში. 2014 წელს მან ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირთან, ეს შეთანხმება ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის ზონას. ეს შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოს დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან და რეგულაციებთან, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ევროკავშირმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწია საქართველოს ისეთ სფეროებში, როგორიცაა მმართველობის რეფორმები, ინსტიტუციების მშენებლობა და ვიზალიბერალიზაცია. საქართველომ ასევე ისარგებლა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტებით, რომლებიც დაკავშირებულია ინფრასტრუქტურასთან, განათლებასთან და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასთან.

2009 წელს დაწყებული აღმოსავლეთ პარტნიორობით, როგორც ჩანს ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შესთავაზა გაძლიერებული სახელშეკრულებო ჩარჩო ასოცირების შეთანხმებების, ღრმა ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონების, ასევე სავიზო რეჟიმის ეტაპობრივი ლიბერალიზაციისა და სექტორული თანამშრომლობის გაზრდის მიზნით. აღნიშნული შეთავზება ეფუძნებოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის დაახლოებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების წესებთან და სტანდარტებთან.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ამ შეთავაზებამ ვერ გააძლიერა ევროკავშირის როლი რეგიონში კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით. ევროკავშირი ვერ იქცა სასარგებლო პოლიტიკური ცვლილებების ხელმშემწყობ ორგანიზაციად სამხრეთ კავკასიაში. გამომდინარე აქედან , ჩდება კითხვ-ები, აქვს თუ არა ევროკავშირს საკამარისი უნარი და სურვილი მოახდინოს აღნიშნულ რეგიონში უსაფ-რთხოების და სტაბილურობის შენარჩუნება და გაუხსნას გზა ამ ქვეყნებს ევროკავშირისკენ. ასეთმა შე-უსაბამო ნა-ბიჯებმა შესაძლოა შეაფერხოს ევროკავშირის შაბლონების მიღება და გამოყენება და შეამციროს მისი ტრანსფორმაციული ძალის გამოყენება სამხრეთ კავკასიაში.[3]

ევროკავშირის როლი სამხრეთ კავკასიაში

ევროკავშირი გასულ წლებში გააკრიტიკეს სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების სტრატეგიის არარსებობის გამო. მართლაც, ევროკავშირს არასოდეს შეუმუშავებია აშკარა, მორგებული და ყოვლისმომცველი სტრატეგია რეგიონისთვის. სანაცვლოდ, მან კავკასიის რეგიონი 2000-იანი წლების დასაწყისში გააერთიანა მის უფრო ზოგად ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში და მოგვიანებით ზემოთ ხსენებულ აღმოსავლეთ პარტნიორობის ჩარჩოში. თუმცა ეს პოლიტიკის ჩარჩოები არ აჩვენებს ევრო-კავშირის ჩართულობის სრულ სურათს რეგიონის ქვეყნებთან. სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მისი რეალური ჩართულობიდან თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ გამოვყოფთ რეგიონში ევროკავშირის მიზნებისა და ინტერესების რამდენიმე ჯგუფს.[4]

კონფლიქტის გადაწყვეტა: სამხრეთ კავკასია გამოირჩევა რამდენიმე მოუგვარებელი კონფლიქტით, განსაკუთრებით მთიანი ყარაბაღის კონფლიქტით სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ევროკავშირი აქტიურად იყო ჩართული რეგიონში მშვიდობიანი მოლაპარაკებებისა და კონფლიქტების მოგვარების მცდელობებში. ასევე, იგი ცდილობდა რუსეთის ფედერაციის გავლენის შეკავებასა და უკან დახევას, საქართველოს გამძლეობის ხელშეწყობას და სომხეთზე რუსეთის კონტროლის შემცირებას.

პარტნიორობის შეთანხმებები: ევროკავშირმა ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებებს საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან, რომელიც მოიცავს დებულებებს პოლიტიკური ასოცირების, ეკონომიკური ინტეგრაციისა და სხვადასხვა სექტორში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. ეს შეთანხმებები აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ნაწილია, რომლის მიზანია გააძლიერ-ოს კავშირები ევროკავშირსა და მის აღმოსავლეთ ევროპის მეზობლებს შორის, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში.

ეკონომიკური თანამშრომლობა: ევროკავშირი არის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი და უცხოური ინვესტიციების წყარო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის. სხვადასხვა პროგრამებითა და ინი-ციატივებით ევროკავშირი მხარს უჭერს ეკონომიკურ განვითარებას, ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას რეგიონში. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფოკუსირება ეკონომიკურ ინტეგრაციაზე მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას და სიღარიბის შემცირებას.

დემოკრატია და მმართველობა: ევროკავშირი მხარს უჭერს დემოკრატიულ ღირებულებებს, კარგ მმართველობას და კანონის უზენაესობას სამხრეთ კავკასიაში. ის ეხმარება და ხელს უწყობს პოლიტიკურ და ინსტიტუციურ რეფორმებს, საარჩევნო პროცესებს და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

ადამიანთა შორის კონტაქტები: ევროკავშირი ხელს უწყობს ადამიანებს შორის კონტაქტებს,

3 Florian Carmona , Michal Jiráček. „Three Eastern Partnership neighbours in the South Caucasus“ (04-2023) https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/172/three-eastern-partnership-neighbours-in-the-south-caucasus

4 Bob Deen Wouter Zweers Camille Linder. „The EU in the South Caucasus Navigating a geopolitical labyrinth in turmoil“ . Clingendael Report. March 2023 p 26-27 https://www.clingendael.org/sites/default/files/2023-03/the-eu-in-the-south-caucasus.pdf

საგანმანათლებლო გაცვლებს და კულტურულ თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიაში.

ენერგეტიკული უსაფრთხოება: სამხრეთ კავკასია სტრატეგიულად განლაგებულია, როგორც სატრანზიტო რეგიონი ნავთობისა და გაზსადენებისთვის, რომლებსაც კასპიის ზღვიდან ევროპაში ენერგორესურსები გადააქვთ. ევროკავშირს აქვს ინტერესი ენერგომომარაგების უსაფრთხოებისა და დივერსიფიკაციის უზრუნველსაყოფად, რაც ხშირად გულისხმობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ჩართულობას ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის პროექტების ხელშეწყობისთვის.

რეგიონული თანამშრომლობა: ევროკავშირი ხელს უწყობს რეგიონულ თანამშრომლობას და ნდობის აღდგენის ღონისძიებებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი პლატფორმები წარმოადგენს ერთგავრ ფორუმს დიალოგისა და თანამშრომლობისთვის სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ენერგეტიკის და სხვა მნიშვნელოვან რესურსებზე.

უსაფრთხოება და სტაბილურობა: ევროკავშირი მხარს უჭერს სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერების მცდელობებს, მათ შორის ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს. ის ასევე ხელს უწყობს კონფლიქტების პრევენციას და პოსტკონფლიქტურ რეკონსტრუქციას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსნებული მიზნები და ინტერესები არ არის ყველაფერი, რაც შეიძლება მოიძებნოს ევროკავშირის დოკუმენტებსა და საჯარო წყაროებში, მაგრამ ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, როგორიცაა რუსეთის გავლენის შემცირება სამხრეთ კავკასიაში, შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ევროკავშირის ფარული ინტერესი, ვიდრე აშკარა მიზანი.[5]

დასკვნა

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი უდაოდ არის მდიდარი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის. სწორედ ამიტომ ყოველთვის იყო კონკურენციის ობიექტი სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოების მხრიდან და მუდმივად საჭირეობდა დაცვას საერთაშოორისო ორგანიზაციებისგან. ევროკავშირს აღნიშნული რეგიონის დაცვასა და უსაფრთხოებაში ნამდვილად დიდი როლი ეკისრება. მან აიღო პასუხისმგებლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის შეთანხმებით და ვალდებულება ეკისრება, რომ შეთანხმების პირობები შეასრულოს. თუმცა ცხადია, რომ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირი თავისი გეოპოლიტიკური ამბიციების გაძლიერებით ამკვიდრებს საკუთარ ფარულ ინტერესებსა და ახორციელებს დასახულ მიზნებს,რომლებიც ზოგჯერ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ევროკავშირი აქტიურად ცდილობბს რეგიონში ევროპული ღირებულებების დამკვიდრებასა და ენერეგეტიკული და სავაჭრო ინტერესების დაცვას. ევროკავშირი ვალდებულია იმოქმედოს, როგორც მიუკერძოებელმა შუამავლმა დაუსრულებელ კონფლქტებში, შეაკავოს და აიძულოს უკან დაიხიოს რუსეთის გავლენამ, განსაკუთრებით სომხეთთან და საქართველოსთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოთ ხსენებულმა ნათლად აჩვენა, რომ ევროკავშირს ნამდვილად აქვს მიზნები, თუმცა მათი რეალიზაცია უნდა შეეძლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მიზნები არის თანმიმდევრული, პრიორიტეტული და სარგებლის მომტანი სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Helly, Damien. “The Role of the EU in the Security of the South Caucasus: A Compromised Specificity?” Connections 1, no. 3 (2002): 67–76. http://www.jstor.org/stable/26322955.

Florian Carmona , Michal Jiráček. „Three Eastern Partnership neighbours in the South Caucasus“ (04-2023) https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/172/three-eastern-partnership-neighbours-in-the-south-caucasus

Delcour, L. & Hoffmann, K. (2018). The EU’s Policy in the South Caucasus. L’Europe en Formation, 385, 7-25. https://doi.org/10.3917/eufor.385.0007

Bob Deen Wouter Zweers Camille Linder. „The EU in the South Caucasus Navigating a geopolitical labyrinth in turmoil“ . Clingendael Report. March 2023 https://www.clingendael.org/sites/default/files/2023-03/the-eu-in-the-south-caucasus.pdf

5 Bob Deen Wouter Zweers Camille Linder. „The EU in the South Caucasus Navigating a geopolitical labyrinth in turmoil“ . Clingendael Report. March 2023 https://www.clingendael.org/sites/default/files/2023-03/the-eu-in-the-south-caucasus.pdf

ინფორმაციული ომი, როგორც „სტრატეგიული ომის“ წარმოების ახალი ფორმა - საფრთხეები, რისკები და გამოწვევები

ბესიკ მსხალაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

„ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს მსოფლიოს“ - მაიერ როტშილდის (მსოფლიოში ცნობილი ბანკირი) ეს ცნობილი გამონათქვამი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს XXI საუკუნეში, რომელსაც ინფორმაციულ საუკუნეს უწოდებენ.

ინფორმაციული ომი და კიბერუსაფრთხოება ორი ცალკეული სფეროა, მაგრამ ისინი მჭიდროდ გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. თანამედროვე პოლიტიკური პროცესები ხასიათდება მასობრივი კომუნიკაციების სფეროებში საზოგადოების ფართო მონაწილეობით, რასაც ხელს უწყობს ინფორმაციული ნაკადების გლობალიზაციის პროცესი, რომელიც ხშირად თავისუფლად აღწევს სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. სწორედ თავიანთი ინფორმაციული უპირატესობის გამოყენებით აწარმოებენ საინფორმაციო ომს ცალკეული სახელმწიფოები ან მათი ალიანსები ნაკლებად ძლიერ კონკურენტებთან.

ძალაუფლების განხორციელების ეფექტურობა ნებისმიერ სახელმწიფოში, დიდწილად დამოკიდებულია მის საინფორმაციო მხარდაჭერაზე. ინფორმაციის გარეშე წარმოუდგენელია დადებითადმოქმედი პოლიტიკური სტრუქტურა, მასობრივი პოლიტიკური ცნობიერების განვითარება, პოლიტიკის სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთქმედება. ინფორმაციისა და კომუნიკაციის გავლენის პროცესში ხალხის გონებაში ყალიბდება სახელმწიფო ხელისუფლების, მისი პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ლიდერების იმიჯი.

ინფორმაციული ომი იყენებს როგორც უახლეს ტექნოლოგიებს, კომუნიკაციის ძირითად ელემენტებსა და მეთოდებს, ასევე სოციალური პროცესების მართვის სხვა საშუალებებს. ამრიგად, ადამიანზე მიზანმიმართული ინფორმაციული ზემოქმედება წარმოადგენს სოციალური ურთიერთობების სახესხვაობას, რაც განსაკუთრებული საფრთხის მატარებელია.

დღეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას ესაჭიროება ზემოქმედების ეფექტური სისტემა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის წინააღმდეგ. საიდუმლო არ არის, რომ ჩვენს დროში ბევრი სახელმწიფო ინფორმაციულ ომს საგარეო პოლიტიკის განხორციელების ეფექტურ იარაღად იყენებს. საინფორმაციო ომი შესაძლებელს ხდის კონკრეტულმა სახელმწიფომ ინტენსიური ზემოქმედება მოახდინოს ნებისმიერ ქვეყანაში ან რეგიონში არსებულ სხვადასხვა პროცესებზე ხელისუფლების თითქმის ყველა დონეზე და მათ შორის სოციალურ სტრუქტურებზეც.

აღნიშნულ სფეროში არსებული მზარდი პრობლემები აიხსნება ასეთი სისტემის შექმნის ობიექტურ აუცილებლობასა და თანამედროვე საზოგადოების მხრიდან საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირების ნებისმიერი მცდელობისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის მზადყოფნის ხარისხს შორის შეუსაბამობით. საქმე იმაშია, რომ მოქალქეთა მასობრივ ცნობიერებაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ ხდება იმ საფრთხეების აღქმა და გაცნობიერება, რომლებიც შესაძლოა გაჩნდეს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით მათი ფარული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად, განსაკუთრებით კი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში.

სტატიაში განხილულია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაჩქარებულ განვითარებასთან დაკავშირებული ახალი საფრთხეები, რომლებიც განსაკუთრებულ შესაძლებლობებთან ერთად, დიდი გამოწვევების წინაშე აყენებენ კაცობრიობას და გავლენას ახდენენ მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობებსა და სტაბილურობაზე, რაც პირდაპირ აისახება როგორც საბრძოლო მოქმედებების მეთოდებზე, ისე ომის ბუნებაზე.

ამდენად, ინფორმაციული ომი ჩვენი ცხოვრების რეალობად იქცა, იგი წარმოადგენს კომპლექსურ მოვლენას, რომელიც სავადასხვა მეთოდებითა და საშუალებებით მუდმივ რეჟიმში ხორციელდება და ყოველთვის საკვანძო ინფორმაციის ფლობას გულისხმობს, რომელსაც შეუძლია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შეცვლა თავის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფენომენის შესწავლა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების გაანალიზება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის.

საკვანძო სიტყვები:
კიბერუსაფრთხოება, ინფორმაციული ომი, ტექნოლოგიური უპირატესობა, ეროვნული უსაფრთხოება, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, თავდაცვითი ინფორმაციული ოპერაციები.

Information warfare as a new form of "Strategic Warfare" - threats, risks and challenges

Besik Mskhaladze
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of State Recourse Management

Abstract

"He who owns the information owns the world" - this famous saying of Mayer Rodschild (a world-famous banker) becomes especially relevant in the 21st century, which is called the information age, as one of the important issues in the modern world in the light of new threats and challenges in global politics is precisely the phenomenon of information struggle as a new form of political conflict. "Information war" has turned into one of the main directions, which has been transformed into a kind of "soft power" and today, it already represents an important component of every war or conflict.

Information warfare and cyber security are two separate fields, but they are closely intertwined. Modern political processes are characterized by broad public participation in the fields of mass communications, which is facilitated by the process of globalization of information flows, which often freely reach the territories of sovereign states. It is by using their information advantage that individual states or their alliances wage information war against less powerful competitors.

The effectiveness of the exercise of power in any state largely depends on its information support. Without information, a positively functioning political structure, the development of mass political consciousness, and the interaction between the subject and the object of politics are unthinkable. In the process of influence of information and communication, the image of the state government, its political institutions and leaders is formed in people's minds.

Information warfare uses the latest technologies, basic elements and methods of communication, as well as other means of managing social processes. Thus, targeted informational impact on a person is a type of social relations, which carries a special danger.

Today, any country in the world needs an effective system of influence against information-psychological warfare. It is no secret that in our time, many states use information warfare as an effective tool for implementing foreign policy. Information warfare makes it possible to have an intense impact on various processes in any country or region at almost all levels of government, including social structures.

The growing problems in the mentioned field are explained by the discrepancy between the objective necessity of creating such a system and the level of readiness of modern society to resist any attempt to manipulate public consciousness. The point is that the mass consciousness of the citizens still does not adequately perceive and realize the dangers that may arise through modern communication technologies as a result of their hidden informational-physiological effects. Especially if it is used for political purposes.

The article discusses the new threats associated with the accelerated development of information and communication technologies, which along with special opportunities, present humanity with great challenges and affect the world, international relations and stability directly affecting both the methods of combat operations and the nature of war. Nowadays, the fourth generation, the so-called One of the main constituent parts of the hybrid war is the informational war, which acquired a strategic function and assumed the importance of unconditional necessity in this war, as it created additional opportunities for intentional destructive effects on the opponent.

Thus, the information war has become the reality of our life, it is a complex event that is carried out continuously with various methods and means, and it always involves the possession of key information that can change the current processes in society in one's favor. Therefore, the study of the mentioned phenomenon and the analysis of threats related to it are of special importance for ensuring the national security and stability of any state.

Keywords:
cyber security, information warfare, technological superiority, national security, critical infrastructure, defense information operations.

შესავალი

ინფორმაციული ომი სწრაფად განვითარებად სფეროს წარმოადგენს, რომლის მიმართაც მსოფლიო ლიდერები და თავდაცვის ექსპერტები დიდ ინტერესს იჩენენ. აღნიშნულ საკითხს კიდევ უფრო საინტერესოსა და სახიფათოს ხდის მსოფლიოში მიმდინარე ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც გამოწვეულია კიბერსივრცის, მიკროკომპიუტერებისა და ზოგადად, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სწრაფი ტემპით.

ინფორმაციული ომი წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას თავდაცვითი ან თავდასხმითი მიზნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციული ომი არცთუ ისე ახალი სფეროა და შეიძლება ითქვას მისი ისტორია სამხედრო ისტორიის ექვივალენტია, მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიურმა ევოლუციამ მისი ბუნება შეცვალა. ინფორმაცია იქცა ორლესულ მახვილად, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოების ისე დამოუკიდებელი ექსპერტებისთვის.

ზემოთ ხსენებულ ცვლილებებთან ერთად, ტრადიციული ბრძოლის ველიც შეიცვალა. ხმელეთის, წყლისა და ჰაერის გარდა საინფორმაციო ბრძოლის ველიც წარმოიქმნა. ,,ინფორმაციული ომი", ტერმინი, რომელიც ოდესღაც სამხედრო დოქტრინისა და დაზვერვის დისკუსიების ფსკერზე იყო, დღესდღეობით თანამედროვე სტრატეგიული დისკურსის წინა პლანზეა წამოწეული.

ინფორმაციული ომი საქმიანობის საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს, რომელიც ინფორმაციას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად იყენებს. იგულისხმება ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: პროპაგანდა, დეზინფორმაცია, კიბერშეტევები და ფსიქოლოგიური გავლენის მქონე ოპერაციები. ჩვეულებრივი, ტრადიციული ომისგან განსხვავებით, რომელიც ხშირად ფიზიკურ ძალასა და განადგურებას გულისხმობს, საინფორმაციო ომი ძირითადად არაკინეტიკური საშუალებებით მოქმედებს. იგი ცდილობს გავლენა მოახდინოს მანიპულირების საფუძველზე, რათა ჩამოაყალიბოს აღქმა, რწმენა და ქცევა, რომელიც სასურველი შედეგის მიღწევაში დაეხმარება.[1]

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ინფორმაციული ომი არ არის შორეული ან ჰიპოთეტური „საზრუნავი". აღნიშნული წარმოადგენს დღევანდელ რეალობას კონკრეტული შედეგებით. მაგალითად, არჩევნებში უცხოური ძალების ჩარევის ბრალდებები და დეზინფორმაციული კამპანიები, რომლებიც თესავენ განხეთქილებასა და უნდობლობას საზოგადოებაში. აშკარაა ინფორმაციული ომის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე.

ძირითადი ნაწილი

დროსთან ერთად იცვლება პრიორიტეტები და საბრძოლო იარაღები. ალბათ გასაკვირი არ არის, რომ ინფორმაციულ ეპოქაში უმნიშვნელოვანესი იარაღი სწორედ ინფორმაციაა. რა თქმა უნდა, აღნიშნულმა გარკვეული ცვლილებები განაპირობა გლობალურ ასპარეზზე. სახელმწიფოები სულ უფრო და უფრო ხშირად ცდილობენ ღია თუ ფარული თავდასხმების შედეგად კრიტიკული მნიშვნელობის ინფორმაცია მოიპოვონ ოპონენტებზე. სწორედ აღნიშნულის კვალდაკვალ მოხდა ინფორმაციული ომის მეთოდებისა და ხერხების ჩამოყალიბება და განვითარება.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ინფორმაციული ომი საკმაოდ დიდი მნიშვნელობის საკითხია თანამედროვე ეპოქაში. აღნიშნულს თან ახლავს გარკვეული რისკები და საფრთხეები. ინფორმაციული ომით გამოწვეული ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საფრთხე არის მისი პოტენციალი გავლენა იქონიოს დემოკრატიებზე. გარე ძალებს შეუძლიათ კონკრეტულ ქვეყანასა და ერში არსებული განხეთქილების გამწვავება. აღნიშნულის მიღწევაში და საზოგადოებით მანიპულირებაში კი მათ ყალბი ნარატივების გავრცელება და პროპაგანდის გამოყენება დაეხმარებათ. აშშ-ში 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ამ ყველაფრის ნათელი მაგალითია. აშშ-ს სადაზვერვო სამსახურმა დაასკვნა, რომ რუსეთის მხარე აქტიურად იყო ჩართული დეზინფორმაციის გავრცელებაში და ისინი ცდილობდნენ ამერიკელ ამომრჩევლებში ეჭვის დათესვას დემოკრატიული პროცესების სანდოობასთან დაკავშირებით.[2]

აქვე აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი რუსეთ - უკრაინის მიმდინარე ომს. მთელი კონფლიქტის განმავლობაში სოციალური მედია გახლდათ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორების ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ველი. ომთან ერთად ციფრული „ეკოსისტემა" დეზინფორმაციით დაიტბორა. სტრატეგიული პროპაგანდისტული კამპანიები, მათ შორის დეზინფორმაციის გავრცელება სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს ომის პერიოდში, თუმცა აშკარა გადანაცვლება სოციალური მედიისკენ, როგორც ძირითადი საბრძოლო ფრონტისკენ, განსაზღვრავს ინფორმაციული ომის მნიშვნელობასა და პოტენციალს.

რუსეთიც და უკრაინაც აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიას, რათა განვითარებული მოვლენების საკუთარი ვარიაციები შესთავაზონ დაინტერესებულ პირებს, რაც, თავის მხრივ, კონტრასტული ნარატივების სიმრავლეს იწვევს. ჩნდება განსხვავებული შეხედულებები ომის დაწყების მიზეზების, შედეგებისა და მიმდინარეობის შესახებ. მთავრობის წარმომადგენლები, მოქალაქეები, სახელმწიფო უწყე-

1 Arquilla, J. (2020). Information Warfare: A New Name for an Old Game? Strategic Studies Quarterly, 14(1), 3-19. file:///C:/Users/x/Downloads/444698%20(1).pdf

2 Office of the Director of National Intelligence. (2017). Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections. https://www.dni.gov/files/documents/ICA_2017_01.pdf

ბები ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებენ ისეთ პლატფორმებს, როგორებიცაა: Facebook, Twitter, TikTok, YouTube და Telegram. რთულია იმაზე საუბარი, თუ რამდენი კონტენტია შექმნილი აღნიშნული სუბიექტების მიერ, თუმცა ცალსახაა, რომ ომის შესახებ სოციალურ მედიაში ატვირთული ინფორმაციის მასშტაბები უზარმაზარია. მაგალითად, ომის მხოლოდ პირველ კვირაში ვიდეოებს TikTok-ზე სხვადასხვა წყაროებიდან #Russia და #Ukraine ჰქონდათ 37,2 მილიარდი და 8,5 მილიარდი ნახვა.[3]

მათი არსით, რუსეთისა და უკრაინის მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. რუსეთი უკრაინაში მიმდინარე ომს „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ უწოდებს, როგორც აუცილებელ თავდაცვით ოპერაციას აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს გაფართოების საპასუხოდ. ასევე ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს აღნიშნული აუცილებელია „დენაციფიკაციისა“ და სავარაუდო გენოციდის დასასრულებლად, რომელსაც უკრაინის მთავრობა ატარებდა რუსების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, აღნიშნულის საპასუხოდ უკრაინული მხარე ამტკიცებს, რომ ომი არის აგრესია, ასევე ხაზს უსვამენ უკრაინელებს, როგორც სუვერენულ ერს, როგორც გმირებს, რომლებიც თავს იცავენ გაუმართლებელი თავდასხმისგან.

უკრაინა და რუსეთი არ არიან ერთადერთი სახელმწიფო აქტორები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ომის საკუთარი პერსპექივის წარმოჩენით. ჩინეთი და ბელორუსიაც აქტიურად არიან ჩართულნი დეზინფორმაციის გავრცელებაში. აღნიშნულის შედეგი კი რუსეთის პასუხისმგებლობის შემცირება გახდა ომზე და ხელი შეუწყო ანტიამერიკული პროპაგანდის გავრცელებას.

სოციალური მედიაპლატფორმები და სახელმწიფოები ცდილობენ გაატარონ გარკვეული რეფორმები დეზინფორმაციის გავრცელების შესაჩერებლად, თუმცა მათი შედეგები ფრაგმენტულია. სოციალური პლატფორმების მიდგომები და ბრძოლის მექანიზმები ერთმანეთისგან განსხვავებულია, ასევე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტიც თუ ვის მფლობელობაში არიან ისინი.

სოციალური მედიასაშუალებების მზარდი როლი გეოპოლიტიკურ საკითხებში, მათ შორის კონფლიქტებთან დაკავშირებული შეხედულებების ჩამოყალიბებაში, საკმაოდ დიდ უკუკავშირს იწვევს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ზოგიერთი მთავრობის მიერ შეზღუდვების დაწესებას საზოგადოების მიერ სოციალური ქსელების გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, რუსეთმა 2012 წლიდან შეზღუდა ინტერნეტაქტივობა, მაგრამ გაზარდა დისიდენტების დარბევის ინტენსივობა, განსხვავებული აზრისა და დამოკიდებულების მედიასა და სოციალურ ქსელებში გაშუქება.

რუსეთმა მიიღო კანონები, რომლებიც ეხება უცხოურ ინტერნეტკომპანიებს, როგორიცაა 2019 წლის სუვერენული ინტერნეტის კანონი და ფედერალური „სადესანტო კანონი“, რომელსაც ხელი 2021 წლის ივნისში მოეწერა. აღნიშნული კანონის ფარგლებში რუსეთს შესაძლებლობა აქვს ფართო მეთვალყურეობა აწარმოოს ონლაინ აქტივობებზე. გარდა ამისა, რუსეთმა მთლიანად აკრძალა Facebook, Twitter და Instagram თავის საზღვრებში. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა ომის დაწყებამდე დიდად არ გამოირჩეოდა სოციალური ქსელებისადმი ინტერესით, შეჭრის დაწყების შემდეგ, უკრაინამ ღიად მიმართა სოციალურ მედიას, როგორც საშუალებას მის საზღვრებს გარეთ მესიჯების გასავრცელებლად და წინააღმდეგობის მცდელობებისთვის საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

ინფორმაციულ ომთან დაკავშირებული კამპანიები ხშირად მიზნად ისახავენ მნიშვნელოვან ინსტიტუტებზე, მათ შორის სამთავრობო უწყებებზე, მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გავლენის მოპოვებას. ამ კამპანიების მიზანია შეარყიოს ნდობა ამ ინსტიტუტების მიმართ, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლების შესუსტებას. საფრანგეთში, 2018-2019 წლებში „ყვითელი ჟილეტების“ პროტესტი აღნიშნულის საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქციები თავდაპირველად ეკონომიკური პრობლემებით იყო განპირობებული, დეზინფორმაციულმა კამპანიებმა გააძლიერა დაძაბულობა და გაზარდა უნდობლობა მედიისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. ცრუ ინფორმაცია და ფოტოსურათები გავრცელდა სოციალურ მედიაში, რამაც კიდევ უფრო დიდი განხეთქილება გამოიწვია თვითონ საზოგადოების წევრებშიც კი. ასეთმა „ეროზიამ“ კი შეიძლება შორსმიმავალი შედეგები გამოიწვიოს, რაც ხელს შეუშლის ხელისუფლებას კრიტიკული საკითხების მყისიერად გადაჭრაში.

საინფორმაციო ომი, მხოლოდ დეზინფორმაციით არ შემოიფარგლება. სახელმწიფოების მიერ დაფინანსებული კიბერშეტევები და ეკონომიკური მანიპულაციები ამ სტრატეგიის კიდევ ერთ ასპექტს წარმოადგენს. რიგი სახელმწიფოები ხშირად ახორციელებენ კიბერშეტევებს, რათა მოიპოვონ უმნიშვნელოვანესი რამ ამ ეპოქაში - ინფორმაცია, ასევე გაანადგურონ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა ან მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა გლობალურ ეკონომიკაში. Stuxnet-ის კიბერშეტევა აღნიშნულის საკმაოდ კარგი მაგალითია, რომელიც შეერთებული შტატებისა და ისრაელის ერთობლივ ოპერაციას წარმოადგენდა. Stuxnet-ი მიზნად ისახავდა ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერებას ცენტრიფუგების დაზიანებით, რის შედეგადაც ირანის ბირთვულ ამბიციებს აჭიანურებდა. ასეთ კიბერშეტევებს შეიძლება ჰქონდეს მძიმე ეკონომიკური და გეოპოლიტიკური შედეგები. [4]

ყველაფერთან ერთად, ინფორმაციული ომის ერთ-ერთი თანდაყოლილი რისკი გაუთვალისწინებელი ესკალაციაა. მკაფიო ატრიბუციის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოებმა

3 Perez, C. & Nair, A. (2022) “Information Warfare in Russia’s War in Ukraine”, https://foreignpolicy.com/2022/08/22/information-warfare-in-russias-war-in-ukraine/

4 A. Hassan., T. Fazal, S. Adam, & M. Lyons,.. The Digital Firehose of Falsehood: Can Democracy Cope? Carnegie Endowment for International Peace. https://shorturl.at/eCN02 (2020).

შეიძლება არასწორად მოახდინონ კიბერ თავდასხმის ან დეზინფორმაციის წყაროს ინტერპრეტაცია, რაც გამოიწვევს არასწორად გათვლილ ქმედებებსა და შედეგებს. ასევე, მან შეიძლება ზიანი მიაყენოს უდანაშაულო მოქალაქეებს. კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის დაზიანებამ, როგორებიცაა ელექტროგადამცემი ქსელები ან ჯანდაცვის სისტემები, შეიძლება მსხვერპლად აქციოს მილიონობით ადამიანი. 2017 წელს WannaCry ransomware შეტევა ზემოთ ხსენებული რისკის ნათელი მაგალითია. იგი გავრცელდა გლობალურად, გავლენა მოახდინა საავადმყოფოებზე, სატრანსპორტო ქსელებსა და ბიზნესებზე, რაც აჩვენებს კიბერთავდასხმების პოტენციური ზიანის მასშტაბებს (US-CERT, 2017).

ინფორმაციული ომის ტექნიკის გამოყენება, განსაკუთრებით კი ის, რაც მანიპულირებასა და მოტყუებას გულისხმობს, იწვევს ეთიკურ შეშფოთებასაც. მოგეხსენებათ, დეზინფორმაციულ კამპანიებში ჩართვა გულისხმობს ცრუ ინფორმაციის მიზანმიმართულ გავრცელებას საზოგადოების მარტივად სამართავად. რა თქმა უნდა, აღნიშნული აჩენს კითხვებს მთავრობებისა და ორგანიზაციების მორალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც იყენებენ ასეთ ტაქტიკას გლობალურ ნორმებსა და ღირებულებებზე გავლენის მოსაპოვებლად. Cambridge Analytica-ს სკანდალი, რომელიც გულისხმობდა პერსონალური მონაცემების უნებართვო შეგროვებას პოლიტიკური პროფილირებისთვის და მანიპულაციისთვის, წარმოადგენს საინფორმაციო ომის თანმდევი ეთიკური დილემების მკაფიო ილუსტრაციას (Cadwalladr & Graham-Harrison, 2018).

რაც შეეხება ინფორმაციული ომის წინააღმდეგ ბრძოლას, სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აღნიშნული საკმაოდ რთული საკითხია. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კი წყაროების დადგენის სირთულეა. „დამნაშავის“ გამოვლენა საკმაოდ რთულია დახვეწილი კიბერტექნიკის გამოყენების გამო. მაგალითად, 2014 წლის კიბერ თავდასხმა Sony Pictures-ზე თავდაპირველად ჩრდილოეთ კორეას მიაწერეს, მაგრამ მოგვიანებით გაჩნდა კითხვები დამნაშავეების ნამდვილ ვინაობასთან დაკავშირებით. ატრიბუცია გადამწყვეტია ეფექტური პასუხების და მომავალი თავდასხმების შესაჩერებლად.

საინფორმაციო ომის განვითარებამ წარმოშვა კითხვები არსებული სამართლებრივი ჩარჩოების ადეკვატურობის შესახებ. საერთაშორისო სამართალი ფეხს ვერ უწყობს ტექნოლოგიურ განვითარებას, რის გამოც ხარვეზებია რეგულირებასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით. ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, რომელიც მართავს სახელმწიფოს ქცევას კიბერ სივრცეში და საინფორმაციო ომში, რთული და მუდმივი გამოწვევაა. ტალინის სახელმძღვანელო 2.0 კიბერ ოპერაციებისთვის მოქმედი საერთაშორისო სამართლის შესახებ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მცდელობა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად[5].

საინფორმაციო ომის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა გადამწყვეტია. ეს გულისხმობს მოქალაქეების განათლებას დეზინფორმაციის რისკების შესახებ, მედიაწიგნიერების გაუმჯობესებასა და კრიტიკული აზროვნების უნარების ხელშეწყობას. მთავრობები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც აძლიერებენ საზოგადოების ცნობიერებას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ფინეთის “Kohti Mediaa” (მედიისკენ) ინიციატივა, რომელიც ასწავლის სტუდენტებს მედიაწიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების შესახებ, ამის თვალსაჩინო მაგალითია[6].

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო ომი წარმოიშვა როგორც ძლიერი და მრავალმხრივი საფრთხე ჩვენს ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში. მისი შესაძლებლობები, მოახდინოს დემოკრატიის დესტაბილიზაცია, შეამციროს ნდობა ინსტიტუტების მიმართ, განახორციელოს ეკონომიკური შპიონაჟი და გამოიწვიოს გლობალური ზიანი, მოითხოვს მისი შედეგების ყოვლისმომცველ ანალიზს. საინფორმაციო ომთან დაკავშირებული რისკებისა და გამოწვევების მოგვარება მოითხოვს კოორდინირებულ ძალისხმევას მრავალ ფრონტზე, მათ შორის გაუმჯობესებული ატრიბუციის შესაძლებლობებს, განახლებულ საკანონმდებლო ჩარჩოსა და გაძლიერებულ საზოგადოებრივ ცნობიერებას[7].

დასკვნა

საინფორმაციო ომი, როგორც „სტრატეგიული ომის“ ახალი ფორმა, წარმოადგენს საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების უზარმაზარ სპექტრს ჩვენი სამყაროსთვის. მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაკლებად „სისხლისმღვრელია“ გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მისი შედეგები გაცილებით გრძელვადიანია ვიდრე „კლასიკური, ტრადიციული“ ომის, რადგან იგი გავლენას ახდენს საზოგადოების შეხედულებებსა და აზროვნებაზეც კი. ინფორმაციული ომის არეალი გაცილებით ფართოა, ხოლო დამნაშავისა და მსხვერპლის გამიჯვნა ერთმანეთისაგან ძალიან რთული, რაც საპასუხო რეაქციის ეფექტურობას ამცირებს. სწორედ აღნიშნული ხდის ინფორმაციულ ომს სახიფათოს საზოგადოებისთვის.

ამიტომაც აღნიშნული საკითხის მოგვარების აქტუალობა არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს. საინფორმაციო ომი არ არის შორეული ან ჰიპოთეტური საზრუნავი, ეს არის დღევანდელი რეალობა ხელშესახები შედეგებით. შედეგებით, რომლებიც სახარბიელო მხოლო ერთეულებისთვის შეიძლება აღმოჩნდეს, სწორედ ამიტომ არის საჭირო ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლა და ეფექტური გზების ძიება მის მოსაგვარებლად. ინფორმაციული ომი ცალსახად გავლენას ახდენს საზოგადოებრივ

5 M. N. Schmitt,. Manual 2Tallinn.0 on the International Law Applicable , 2017. https://shorturl.at/flPV8

6 Finnish National Agency for Education. Kohti Mediaa - Media Education in Finland, 2020. https://www.oph.fi/en/search?keyword=kohti

7 Khan, Khurshid. “Understanding Information Warfare and Its Relevance to Pakistan.” Strategic Studies 32/33 (2012): 138–59. https://www.jstor.org/stable/48527630.

აზრზე, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის კი ყველაზე სახიფათო „ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის“ არქონაა.

გამოყენებული ლიტერატურა

Arquilla, J. (2020). Information Warfare: A New Name for an Old Game? Strategic Studies Quarterly, 14(1), 3-19. file:///C:/Users/x/Downloads/444698%20(1).pdf;

Finnish National Agency for Education. (2020). Kohti Mediaa - Media Education in Finland. https://www.oph.fi/en/search?keyword=kohti;

Hassan, A., Fazal, T., Adam, S., & Lyons, M. (2020). The Digital Firehose of Falsehood: Can Democracy Cope? Carnegie Endowment for International Peace. https://shorturl.at/eCN02;

Office of the Director of National Intelligence. (2017). Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections. https://www.dni.gov/files/documents/ICA_2017_01.pdf;

Perez, C. & Nair, A. (2022) “Information Warfare in Russia’s War in Ukraine”, https://foreignpolicy.com/2022/08/22/information-warfare-in-russias-war-in-ukraine/ ;

Schmitt, M. N. (2017). Tallinn Manual 2.0 on the International Law Applicable , https://shorturl.at/flPV8 ;

Khan, Khurshid. “Understanding Information Warfare and Its Relevance to Pakistan.” Strategic Studies 32/33 (2012): 138–59. https://www.jstor.org/stable/48527630.

დემოკრატიული კონტროლის მნიშვნელობა უკრაინაში მიმდინარე უსაფრთხოების გამოწვევებისა და მილიტარიზაციის ფონზე

გიორგი ბერიძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია სწორად წარმოაჩინოს დემოკრატიული კონტროლის მნიშვნელობა რეგიონში მიმდინარე უსაფრთხოების გამოწვევებისა და მილიტარიზაციის ფონზე. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყოველთვის თავს იჩენდა ძალოვან უწყებებზე დემოკრატიული კონტროლის ფაქტობრივად არარსებობა, ვინაიდან ძალოვანი უწყებები ხშირ შემთხვევებში ხელისუფლების, მმართველი რგოლის ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ, რაც თავისთავად მათ განსაკუთრებულ და პრივილეგირებულ მდგომარეობაში წარმოაჩენდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში ეს პრობლემა არა მხოლოდ ომისა და კონფლიქტების პერიოდში არსებობს, არამედ მშვიდობიანობის დროსაც, ვინაიდან, როდესაც ვახსენებთ ძალოვან უწყებებს-მოიაზრება არა მხოლოდ სამხედრო უწყებები, არამედ სხვა გასამხედროებული უწყებებიც, რომლებიც ასევე პასუხისმგებელნი არიან ქვეყანაში უსაფრთხო გარემოსა და წესრიგის უზრუნველყოფაზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ თუ ძალოვან უწყებას თუნდაც მცირე დროით მიეცემა უკონტროლო ძალაუფლება, შესაძლოა ამან გამოუსწორებელ შედეგამდეც კი მიიყვანოს ქვეყანა. გამომდინარე იქი-დან, რომ ხსენებული საკითხი ყველა ქვეყნისათვის აქტუალურია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვინაიდან მუდმივად არსებობს როგორც გარე ასევე შიდა საფრთხეების გამწვავების რისკი. შესაბამისად. ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყებების მუდმივი პროგრესი და გა-ძლიერება არის საჭირო, ხოლო დემოკრატიული კონტროლის განხორციელების გარეშე ამ პროცესებმა შესაძლოა მძიმე შედეგები გამოიწვიოს, რისი არაერთი მაგალითი არსებობს. გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონში მიმდინარეობს დიდი მასშტაბის სამხედრო კონფლიქტი, სწორად გააზრებისა და ჩატარებული კვლევების მიხედვით, შესაძლებელია გამოტანილი იქნეს სწორი დასკვნები. შესაბამისად, პრობლემის სწორად წარმოჩენა და შესწავლა შემდგომი პოლიტიკის დაგეგმვის მიზნით უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში საუბარია თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიმართ სწორი კონტროლის განუხორციელებლობას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი ეფექტური ფუნქციონირების გარეშე სახელმწიფოს არსებობას და განვითარებას დიდი საფრთხე შეექმნება. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია, მაგრამ ამავდროულად მგრძნობიარეც.

ნაშრომში ძირითად განსახილველ თემებს წარმოადგენს დემოკრატიული კონტროლის მნიშვნელობა, ფორმები და მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები:
დემოკრატია, კონტროლი, სამხედრო ძალა, მილიტარიზაცია, უსაფრთხოება, ომი, ჰიბრიდული ომი.

The importance of democratic control in the Ukraine during militarization and security challenges

Giorgi Beridze
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of Security studies

Abstract

The purpose of the thesis is to correctly demonstrate the importance of democratic control in the context of current security challenges and militarization in the region. It is worth noting, that in post-Soviet countries, there was always a lack of democratic control over law enforcement agencies, since law enforcement agencies are often the mainstay of the government, the governing body.which in itself presented them in a special and privileged position. Therefore, it can be said that this problem exists in the region not only during times of war and conflicts, but also during times of peace, because when we mention law enforcement agencies, we mean not only military agencies, but also other paramilitary agencies, which are also responsible for a safe environment in the country and ensuring order. It is also important that if the law forcement agency is given uncontrolled power even for a short time, it may lead the country to irreparable consequences. Due to the fact that the mentioned issue is relevant for all countries, it is especially important for Georgia, since there is a constant risk of aggravation of both external and internal threats to the security of the country. Constant progress and strengthening of the responsible agencies is necessary, and without the exercise of democratic control, these processes may lead to severe consequences, and there are many examples of such experience. Based on the fact that there is a large-scale military conflict in the region, it is possible according to the correct understanding and conducted studies The correct conclusions will be drawn, therefore, the correct presentation and study of the problem in order to formulate further policies is the most important issue, because despite the fact that the paper considers the negative consequences of the non-implementation of the correct control over the agencies responsible for security, we must not forget, that without effective functioning, the existence and development of the state will be in great danger, that is why I think that this issue is particularly important and urgent, but at the same time sensitive.

The work consists of three main and several auxiliary sub-chapters, in which the main discussed topics are the meaning, forms and mechanisms of democratic control.

Keywords:
democracy, control, military power, militarization, safety, war, hybrid war.

შესავალი

მიმდინარე პროცესების ფონზე ნაშრომში განსახილველი თემა მეტად აქტუალური ხდება, გამომდინარე იქიდან რომ დემოკრატიული კონტროლის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა არსებული გამოწვევებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, ძალოვან უწყებებს მოქმედების ფართო არეალი ეხსნებათ, რაც დემოკრატიული პროცესებისათვის საფრთხის შემქმნელია, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სივრცეში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, უკრაინას საკმაოდ მკაფიოდ ჰქონდა არჩეული დასავლური კურსი, ხოლო რუსეთის მხრიდან მუდმივად იყო მცდელობა შეენარჩუნებინა საკუთარი გავლენები. აქედან გამომდინარე, რუსეთის მხრიდან მუდმივად მიმდინარეობდა ჰიბრიდული ომის წარმოება და მეზობელი ქვეყნების შიდა პოლიტიკურ მოვლენებში ჩარევა. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც უკრაინა ყოფილა. 2014 წელს, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან ერთად, რუსეთის აქტიურობაც გაიზარდა[1]. გამომდინარე იქიდან, რომ უკრაინელმა ხალხმა მკაფიოდ გამოხატა თავისი სწრაფვა დასავლური სამყაროსკენ, რუსეთი აქტიურად ცდილობდა ამის საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა აქტიური ქმედებები. კერძოდ, უკრაინის სათავეში მოეყვანა საკუთარი გავლენის ქვეშ მყოფი პოლიტიკური ძალა, რამაც უკრაინა თითქმის სამოქალაქო ომამდე მიიყვანა, თუმცა საბოლოოდ მოხდა ისე, რომ უკრაინელი ხალხის ნებამ გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, რუსეთმა კარგად ისარგებლა შექმნილი ვითარებით და მოახდინა უკრაინის ტერიტორიების ნაწილის ოკუპაცია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ პროცესებმა არ შეცვალა უკრაინელი ხალხის სწრაფვა გამხდარიყო დასავლური სამყაროს ნაწილი. აქედან გამომდინარე, რუსეთს დაუდგა საჭიროება დაეწყო სამხედრო მოქმედებები უკრაინის წინააღდეგ, რაც საბოლოოდ რუსეთის მხრიდან ვაბანკზე წასვლას ჰგავდა-გამომდინარე იქიდან, რომ ამ გადაწყვეტილებით იგი სრულიად დასავლურ სამყაროს დაუპირისპირდა. ზემოაღნიშნულმა პროცესებმა ხელი შეუწყო უკრაინული ძალოვანი უწყებების უპრეცენდენტო გაძლიერებას რუსეთისგან მომავალი საფრთხეების გასამკლავებლად, რასაც თან სდევს გარკვეული სირთულეები. კერძოდ, ხსენებული მოცემულობა დემოკრატიულ პროცესებს უქმნის პრობლემებს-გამომდინარე იქიდან, რომ ძალოვანი უწყებების გაძლიერება და მათთვის მოქმედების ფართო არეალის გახსნა საფრთხის შემცველია დემოკრატიული პროცესებისათვის[2].

ძირითადი ნაწილი

უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე გამოწვევები და მათი აღქმა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

ჰიბრიდული ომით გამოწვეული საფრთხეები

რუსეთის მხრიდან მეზობელი ქვეყნების მიმართ გავლენის გასაფართოებლად ჰიბრიდული ომის წარმოება სიახლეს არ წარმოადგენს და ამის საკმაოდ დიდი გამოცდილება საქართველოსაც აქვს. ისევე, როგორც საქართველოში, რუსეთი უკრაინის მიმართაც აქტიურად აწარმოებდა ჰიბრიდულ ომს, რისი ძირითადი გამოხატულებაც უკრაინაში მმართველ ხელისუფლებაზე გავლენის მოპოვება იყო. ამ ფაქტორმა განაპირობა სწორედ ის, რომ უკანასკნელ პერიოდში ორი რევოლუცია მოხდა. რევოლუცია ქვეყნისათვის საკმაოდ დამაზიანებელია, ვინაიდან ნებისმიერი დესტაბლიზაციის დროს ძალოვანი უწყებები, შეიძლება ითქვას, გადადიან მუშაობის საგანგებო რეჟიმზე, რასაც თან სდევს მათთვის უფრო მეტი ძალაუფლების მინიჭება, ვინაიდან ასეთ დროს გადაწყვეტილებების მიღება და შედეგების დაყენება ხდება დროის უმოკლეს ვადაში. აქედან გამომდინარე, შეცდომის დაშვების რისკები იმატებს, თუმცა, როგორც წესი, ასეთ პირობებში დაშვებული შეცდომები, ასე ვთქვათ, საპატიო შეცდომებად ითვლება, რაც აგრეთვე დამაზიანებელია დემოკრატიული განვითარების პროცესებისათვის. სწორედ ამიტომაც, დასავლურ სამყაროში დიდი ხნის მანძილზე არათუ რევოლუცია, არამედ რევოლუციის მსგავსი მოვლენაც კი არ გვხვდება და ხელისუფლებისა თუ სხვა რაიმე ძირეული ცვლილებისათვის არსებობს დემოკრატიული პროცესები, კერძოდ არჩევნები. უკრაინაში მიმდინარე რევოლუციებით კი საკმაოდ კარგად იხეირა რუსეთის ფედერაციამ, განსაკუთრებით 2014 წელს მიმდინარე მოვლენებისას, როდესაც მოახდინა უკრაინის ტერიტორიების ოკუპაცია, რაც რუსული ჰიბრიდული ომის ყველაზე ეფექტური ხელწერაა, გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რუსეთი საკმაოდ აქტიურად იყენებდა კონფლიქტური ზონების შექმნის პოლიტიკას, როგორც საქართველოს, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ. შესაბამისად, უკვე ნაცადი მეთოდის გამოყენებით რუსეთს მხრიდან მოხდა ყირიმის ანექსია, ასევე დონეცკისა და ლუგანსკის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ჩამოყალიბება, რაც აშკარად მიზნად ისახავდა უკრაინის დასავლეთში ინტეგრაციის შეფერხებას.

რუსეთის მხრიდან რბილი ძალის გამოყენების პირობებშიც კი უკრაინაში ძალოვანი უწყებების გაძლიერება და გააქტიურება მოხდა. გამომდინარე იქიდან, რომ რბილი ძალის გამოყენება და ჰიბრიდული ომის წარმოება საკმაოდ დიდ საფრთხეებს უქმნის ქვეყნებს, ამის საპირისპიროდ პოტენციური აგრესიის

1 https://press-files.anu.edu.au/downloads/press/p33231/mobile/ch01s02.html

2 Freedman., L, Strategy: A History. 2013

ობიექტის მხრიდან ხდება სადაზვერვო თუ კონტრსადაზვერვო, ასევე შინაგან საქმეთა სამსახურების გაძლიერება და აქტიურ მოქმედებებზე გადასვლა. ბოლო წლების მანძილზე უკრაინის სპეცსამსახურებმა არაერთი გახმაურებული ოპერაცია ჩაატარეს და რუსული ინტერესების გატერებაში არაერთი მხილებული პიროვნება დააკავეს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული გარემოება შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე წარმოადგენდა აუცილებლობას, იგი გარკვეულ საფრთხეს ქმნიდა თავად უკრაინისათვის იმ კუთხით, რომ ძალოვანი უწყებების გაძლიერება და მათი გავლენების გაფართოება ქვეყნის დემოკრატიულ პროცესებზე, რიგ შემთხვევებში, საკმაოდ უარყოფით გავლენას ახდენს, რის მაგალითებსაც და სხავადასხვა ქვეყნის გამოცდილებებსაც მოგვიანებით განვიხილავთ აღნიშნულ ნაშრომში.

რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიული ქმედებების გავლენა დემოკრატიულ პროცესებზე

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ ძალოვანი უწყებების გაძლიერებით გამოწვეული საფრთხეების გავლენას ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესზე. ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი უკრაინისათვის არის დემოკრატიული კონტროლის მექანიზმებისა და პრინციპების ინსტიტუციონალიზაცია, რომელიც ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ქვეყნის ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. სწორედ ამის უზრუნველსაყოფად უკრაინის მხრიდან უზარმაზარი ძალისხმევა იქნა გაწეული, ვინაიდან, შექმნილი გარემოებების ფონზე ნებისმიერი ქმედება, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას დემოკრატიულ პროცესებს, თითქმის ისეთივე დიდი კოლაფსი იქნება უკრაინისათვის, როგორც ომში დამარცხება. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა თავად არ ყოფილა რუსეთთან ომის დაწყების ინიციატორი, თუმცა გამოუვალი მდგომარეობის გამო უკრაინას მოუწია თავის დაცვა ყველა არსებული რესურსის გამოყენებით, რაც ყოველთვის იწვევს დილემის წინაშე დადგომას. კერძოდ. ერთის მხრივ, როგორც აღინიშნა, საჭიროა თავდაცვის მაქსიმალური გაძლიერება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თუმცა ამავდროულად საჭიროა ამ პროცესის კონტროლი, რათა არ მოხდეს საბოლოო მიზნისგან გადახვევა, ვინაიდან ამხელა მსხვერპლის გაღება ხდება იმისათვის, რომ უკრაინამ შეინარჩუნოს სუვერენიტეტი და დაცული იქნეს უკრაინელი ხალხის ნება-იყოს დასავლური სამყაროს ნაწილი. თუმცა, თუ დემოკრატიულ პროცესებს ამით ხელი შეეშლება, გამოდის რომ ტყუილად მოხდება ამხელა მსხვერპლის გაღება და საბოლოოდ სახელმწიფო ვერ მიაღწევს იმ მიზანს, რისთვისაც იბრძოდა. ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში კი მოგებული მოწინააღმდეგე მხარე დარჩება.

დემოკრატიული კონტროლის მნიშვნელობა მიმდინარე მილიტარიზაციის ფონზე, დემოკრატიული კონტროლის არსი და მნიშვნელობა

დემოკრატიული კონტროლის განხორციელება თითოეულ სტრუქტურაზე, რომელიც დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნებაში უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვსურს რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით განვიხილოთ ხსენებული საკითხი. ამის ნათელ მაგალითს ამერიკის შეერთებული შტატების ჩამოყალიბების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს. ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მონაწილებდნენ ის ადამიანები, რომლებმაც დატოვეს ევროპის კონტინენტი და აქტიურად იყვნენ ჩართულნი სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოს მშენებლობაში. მათ უკვე ჰქონდათ ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ისტორიული მოვლენებიდან გარკვეული გამოცდილება; აქედან გამომდინარე, შეერთებული შტატების ჩამოყალიბების პროცესში მსჯელობის დიდ საგნად იქცა სამხედრო ძალის ყოლის საკითხი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ძლიერი სამხედრო ძალის ჩამოყალიბება საფრთხეს შეუქმნიდა ქვეყნის დემოკრატიული პროცესების განვითარებას[3], ვინაიდან ევროპის კონტინენტზე არაერთი მაგალითი იყო იმისა, რომ ძლიერმა სამხედრო ლიდერებმა გადატრიალება მოახდინეს რიგ ქვეყნებში, რამაც საბოლოოდ ეს ქვეყნები დიქტატურისკენ წაიყვანა. სწორედ ამიტომ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება მცირე სამხედრო ძალის ჩამოყალიბების შესახებ; კერძოდ, საზღვაო ძალების შექმნის, რომელთაც ძირითადად საზღვაო საზღვრების დაცვისა და საზღვაო ტვირთების გაცილების ფუნქცია უნდა შეესრულებინათ. სწორედ ამ მიმდგომით ხელმძღვანელობდა ამერიკის შეერთებული შტატები საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, თუმცა შემდგომ ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა და შემდგომ უკვე მეორე მსოფლიო ომმაც ჩამოაყალიბა იმის მოსაზრება და გამოცდილება, რომ ქვეყანაში სამხედრო პოტენციალის მნიშვნელოვანი გაძლიერება უნდა მომხდარიყო. იაპონიის მხრიდან პერლ ჰარბორზე თავდასხმამ კი ამერიკის შეერთებული შტატების მიმდგომა ამ საკითხის მიმართ რადიკალურად შეცვალა და ფაქტობრივად ამ მოვლენის შემდგომ ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდებოდა მისი შეიარღებული ძალებისა და სადაზვერვო სამსახურების ბიუჯეტი. ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა ტექნოლოგიურ განვითარებას და პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის ზრდას. რიგი ექსპერტების შეფასებით ამ გარემოებებმა გავლენა იქონია აშშ-ს დემოკრატიულ პროცესებზე, რასაც აღიარებდა კიდეც ამერიკელ პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილი. მაგალითისთვის

3 Berkin., C, Miller., C, Cherny., R and Gornly., J Making America: A History of the United

რომ ავიღოთ, უფლებადამცველების ხშირი კრიტიკის ობიექტს წარმოადგენდა ამერიკელების მიერ შექმნილი ე.წ. სამხედრო დანიშნულების „გუანტანამოს“ ციხე, რომელშიც ათავსებდნენ ტერიროზმში და მსგავს მძიმე დანაშაულებში მხილებულ პირებს. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ციხეში განთავსებული იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ბრალი არ უმტკიცდებოდათ, თუმცა აშშ-ს ძალოვანი უწყებების შეფასებით ეს ადამიანები საფრთხეს წარმოადგენდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. შესაბამისად დემოკრატიული პროცესების გვერდის ავლით ხდებოდა ამ საფრთხის თავიდან აცილება.

დემოკრატიული კონტროლის მექანიზმები

დემოკრატიულ ქვეყნებში კონსტიტუციის დონეზე ხდება ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლის განხორციელების მექანიზმების ჩამოყალიბება. გამომდინარე იქიდან, რომ ძალოვანი უწყებები, როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებს მიეკუთნებიან და ემორჩილებიან აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველს, იქნება ეს პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი, ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს უწევთ ანგარიშის წარდგენა პარლამენტის წინაშე, სადაც მიმოიხილავენ უწყებების მიერ გაწეულ სამსახურს, ბიუჯეტის დაგეგვმისა და აღსრულების პროცესებს, აგრეთვე უწყებების მოქმედების არეალის გაფართოებისა და შევიწროების საკითხებს. თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც არსებობს საფრთხეები იმისა, რომ დემოკრატიულ პროცესებს საფრთხე თავად ქვეყნის ძალოვანმა უწყებებმა შეუქმნან, ნებით თუ უნებლიედ. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დასვლურ ქვეყნებში იმის პრაქტიკაც კი ინერგება, რომ უწყებები ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ სამსახურებად, რომლებიც არ იქნებიან აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში და მათი ხელმძღვანელების დანიშვნა მოხდება პარლემენტის მიერ და არა აღამასრულებელი ხელისუფლების მართველი პირის მიღებული გადაწყვეტილებით. ამასთანავე მნიშვნელოვანია არსებობდეს სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ძალოვანი უწყებების კონტროლზე. თუმცა ამ შემთხვევაშიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადამეტებულმა კონტროლმა შესაძლოა ასევე მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანოს. მაგალითად, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ ორგანოებში ხშირ შემთხვევვაში ბევრი ისეთი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია იყრის თავს, რომელზეც გარეშე პირების წვდომამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს, მაგრამ სხვა კუთხიდან თუ შევხედავთ, ინფორმაციის გასაიდუმლოება სწორედაც რომ დემოკრატიული კონტროლის გვერდის ავლის კარგი მექანიზმია.

მილიტარიზაციის პროცესების გამომწვევი მიზეზები

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ბოლო წლებში არსებული ტენდეცია იქითკენ იხრებოდა, რომ უკრაინა უფრო და უფრო უახლოვდებოდა დასავლეთს-როგორც ნატოს, ასევე ევროკავშირს. რუსეთი, თავის მხრივ, მკაფიოდ აფიქსირებდა, რომ არ დაუშვებდა ნატოს საკუთარ საზღვრებთან მოახლოებას. შესაბამისად, აღნიშნულმა სიტუაციამ საკმაოდ მწვავე კრიზისი გამოიწვია, რასაც მოჰყვა როგორც უკრაინის, ასევე რუსული მხარის მილიტარიზაცია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთის შეიღარაღებული ძალები რეგრესს განიცდიდა; ცნობილი ფაქტია, რომ კორუფციის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო. თუმცა შემდგომ მიმდინარე მოვლენებმა, როდესაც რუსეთის მეზობელმა ქვეყნებმა-უკრაინამ და საქართველომ აქტიურად დაიწყეს თანამშრომლობა დასავლურ ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან, გამოიწვია ის, რომ რუსეთმა დაიწყო სამხედრო პოტენციალის გაზრდა, როგორც ბიუჯეტირების კუთხით, ასევე ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მიმართულებითაც, ვინაიდან ნატოს მოახლებას საკუთარ საზღვრებთან რუსეთი განხილავს ეგზისტენციალურ საფრთხედ. უკრაინაში შეჭრამდე რუსეთის მიერ გაწეულმა დანახარჯებმა, რომლებიც სამხედრო მიზნებისთვის იქნა გამოყენებული, უმაღლეს ნიშნულს მიაღწია, რამაც სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, მსოფლიოს მასშტაბით სამხედრო დანახარჯების დაახლოებით 13 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო ქვეყნის მილიტარიზაცია[4]. აგრეთვე ყურადსაღებია ის გარემოება, რომ რუსული სპეცსამსახურები, მათ შორის „ეფსბე,“ აქტიურად მუშაობდნენ უკრაინის ტერიტორიაზე, რათა შეექმნათ საკმაოდ დიდი აგენტურული ქსელი. ისინი უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომშიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი, რაც აგრეთვე დიდ ფინანსურ რესურსებთან და დანახარჯებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ამ პროცესების ფონზე რუსეთში მუდმივად ხდებოდა იმის პროპაგანდირება, რომ ნატო აპირებს რუსეთის განადგურებას და უახლოვდება რუსეთის საზღვრებს, ამის გათვალისწინებით კი ხდებოდა ქვეყნის ძალოვანი უწყებების უპრეცედენტო გაძლიერება, რამაც საბოლოოდ იქამდე მიგვიყვანა, რომ რუსეთი გასცდა ყოველგვარ დემოკრატიულ ღირებულებებს, საინფორმაციო წყაროები სრულად მოექცა სპეც სამსახურების გავლენის ქვეშ და ფაქტობრივად ქვეყანა გადავიდა ერთი ადამიანის მიერ გადაწყვეტილებების მიღების რეჟიმში, მათ შორის სამხედრო კუთხითაც კი. თავისთავად, ამ გარემოებებმა მაქსიმალურად უარყოფითი გავლენა იქონიეს დემოკრატიულ პროცესებზე და ქვეყანა აშკარად ტოტალიტარულ რეჟიმზე გადავიდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უკრაინა საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა; ერთის მხრივ მას უნდა ეპასუხა სამხედრო ძალით მსოფლიოს უდიდესი ქვეყნისთვის და აგრეთვე არ უნდა დაეშვა ის გარემოება,

4 Y. Gursoy, Between Military Rule and Democracy 2017.

რომ მილიტარიზაციის ფონზე არ დამსგავსებოდა რუსეთის ფედერაციას, რაც მას მიზნის მიღწევაში ცხადია ხელს შეუშლიდა. მიზანი კი, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამ ეტაპზე უკრაინისათვის დასავლურ სამყაროსთან დაახლოებაა, ხოლო ამის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას კი ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის განხორციელებაწარმოადგენს[5].

რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ფართომასშტაბიანი ომით გამოწვეული შედეგები

უკრაინის პოლიტიკა რუსული აგრესიის წინააღმდეგ

უკრაინის პოლიტიკა ომის დაწყების დღიდან საკმაოდ მკაფიო იყო რუსული აგრესიის წინააღმდეგ. ცხადი იყო, რომ უკრაინა უბრძოლველად დანებებას არ აპირებდა. რუსული მხარის გათვლა და სტრატეგია კი სწორედ იმაზე იყო აგებული, რომ უეცარი თავდასხმით ისინი აპირებდნენ სტრატეგიული ქალაქებისა თუ ობიექტების დაკავებას და უკრაინაში სუვერენული ხელისუფლების დამხობას. გამომდინარე იქიდან, რომ უკრაინის ხელისუფლება ომის დაწყების პირველ დღეებში არ ჩამოიშალა და გააგრძელა გეგმაზომიერი მუშაობა, თანდათან უფრო ნათელი ხდებოდა, რომ რუსეთს ამ ომში გამარჯვება ძალიან გაუჭირდებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ უკრაინას სწორედ შემუშავებული საგარეო პოლიტიკა გააჩნდა, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ პარტნიორ ქვეყნებთან და სწორ მესიჯებს უგზავნიდნენ დახმარების მისაღებად. სწორედ ამგვარი პოლიტიკის წარმოებამ უკრაინას მისცა საშუალება მოეზიდა პარტნიორი ქვეყნებისგან შეიარაღება და აგრეთვე ფინანსები თავდაცვის გასაძლიერებლად და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებებმა უკრაინის ძალოვანი უწყებების უპრეცენტო გაძლიერება გამოიწვიეს. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ომის საწყის ეტაპზე პარტნიორი ქვეყნები უკრაინელებს თავდაცვითი იარაღით ამარეგებდნენ, თუმცა რუსეთის ხელისუფლების მოქმედებებმა და უკრაინელთა მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ ამ ეტაპზე უკრაინისათვის გაცილებით ფართო გამოყენების იარაღის მიწოდება ხდება, რაც მას უკვე საშუალებას აძლევს შეტევებიც განახორციელოს რუსულ პოზიციებზე. აღნიშნული გარემოებები, რა თქმა უნდა, დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული და ალბათ სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ უკრაინას ბევრი რამის დამტკიცება მოუწია საკუთარი პარტნიორებისათვის, ვიდრე ამგვარ იარაღს და რესურსებს მიიღებდა[6].

განვითარებული მოვლენების ანალიზზე დაყრდნობით შეიზლება ითქვას, რომ ხელისუფლების მიერ არჩეულმა პოლიტიკურმა კურსმა მკაფიო მხარდაჭერა მოიპოვა საზოგადოებაში. საზოგადოების ამგვარმა განწყობამ ასევე უფრო თამამი მოქმედებების საშალება მისცე ხელისუფლებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთ სიტუაციებში ჩნდება ყველაზე დიდი რისკი დემოკრატიული კონტროლის განხორციელებისა, ვინაიდან საზოგადოების განწყობა და მხარდაჭერა ომის პირობებში პირველ რიგში ძალოვანი უწყებების ძალაუფლების გაზრდას იწვევს, ხოლო თუ რა სირთულეები შეიძლება გამოიწვიოს ამ გარემოებებმა მომდევნო თავში განვიხილავთ.

დემოკრატიული კონტროლის სირთულეები უკრაინაში

ომსა და კონფლიქტურ სიტუაციებში ურთულეს ამოცანას წარმოადგენს დემოკრატიული კონტროლის შენარჩუნება, გამომდინარე იქიდან, რომ ზედმეტად აქტიურმა კონტროლმა შესაძლოა სამხედრო თუ უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე პროცესების წარუმატებლობა გამოიწვიოს. მაგრამ სხვა მხრიდან თუ შევხედავთ, უკონტროლო ძალაუფლების გადაცემამ უსაფრთხოებაზე პასუხიმსგებელ პირთათვის შეიძლება საკმაოდ მძიმე შედეგები გამოიწვიოს დემოკრატიული განვითარების კუთხით. უკრაინას აქტიურად უწევს დახმარებას დასავლეთი, რომელიც, თავის მხრივ, ამ დახმარებების სანაცვლოდ გარკვეული ვალდებულებების შესრულებას მოითხოვს, რაც პირველ რიგში სწორედ დემოკრატიული განვითარებისკენ არის მიმართული. ის წარმატებები, რომლებიც დასავლეთთან დაახლოების კუთხით უკრაინამ მოიპოვა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ვგულისხმობთ კანდიდატის სტატუსის მოპოვებას, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია იგივე კურსის შენარჩუნება, რათა ეს სტატუსი მხოლოდ სტატუსად არ დარჩეს. გარდა ამისა, უკრაინაში, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყანაში, უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს ძალოვან უწყებებზე კონტროლის შენარჩუნება, გამომდინარე იქიდან, რომ დღესაც კი მრავლად არიან ადამიანები, რომლებმაც განათლება მიიღეს საბჭოთა კავშირში და შესაძლოა გარკვეულ თანამდებობებსაც კი იკავებდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს. აქედან გამომდინარე, მაღალია კორუფციისა და ჯაშუშობის რისკები; ამის მაგალითები კი მრავლად იყო სხვადასხვა ქვეყნებში[7].

5 Everts, P. Philip, Democracy and Military Force 2002

6 Grewal., SSoldiers of Democracy? 2023

7 L. Freedman., Strategy: A History. 2013

დასკვნა

ზემოთ განხილული თემების შესაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლოა დიდი რისკები მოუტანოს უკრაინას. როგორც უკვე ავღნიშნეთ ნაშრომში, დახმარებასთან ერთად დასავლეთი უკრაინას ვალდებულებების შესრულებასაც აკისრებს. მაგალითად, თუ უკრაინა არ დაიცავს ჟენევის კონვენციას და ტყვეებსა თუ პატიმრებს სათანადოდ არ მოეპყრობა, ამ ფაქტორს დასავლეთის მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვება, ხოლო რუსეთს ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ კონტროლი არ გააჩნია. ბრძოლის ველზე კი რთულია ადამიანის უფლებების და კანონისა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებების იმ ნორმების დაცვა, რომელსაც აშკარად უგულებელყოფს მოწინააღმდეგე. ასევე შეგვიძლია განვიხილოთ თურქეთის მაგალითი, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია ჩრდილოატალნტიკური ალიანსის წევრია და ასევე მოპოვებული აქვს კანდიდატის სტატუსი, თუმცა ევროკავშირში მისი ინ-ტეგრაცია ჭიანურდება, გამომდინარე იქიდან, რომ თურქეთში არსებული დემოკრატიული პროგრესი არ არის დამაკმაყოფილებელი დასავლეთისათვის. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი უკრაინაში მკაცრად იქნეს დაცული დემოკრატიული პროცესების კონტროლი, რათა უკრაინაც არ ჩავარდეს მოლოდინის რეჟიმში. შესაბამისად, უკრაინა დგას ურთულესი ამოცანის წინაშე; ერთის მხრივ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უნდა ეცადოს მაქსიმალურად გააძლიეროს თავდაცვა და ამავდროულად არ გაცდეს დემოკრატიული განვითარების კურსს. ვინაიდან, ომის გამომწვევი მიზეზი, შეიძლება ითქვას, არის სწორედ ის, რომ უკრაინამ მკაფიოდ დააფიქსირა, რომ აქვს სურვილი იყოს დასავლური სამყაროს შემადგენელი ნაწილი და ამის გამო უამრავ რესურსს ხარჯავს და რაც ყველაზე მთავარია ამ მიზნის მიღწევას უამრავი უკრაინელი სამხედროსა თუ სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეეწირა. შესაბამისად, დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფით ეს დანაკარგები შესაძლოა ამაო იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

Berkin., C, Miller., C, Cherny., R and Gornly., J Making America: A History of the United States
Freedman., L, Strategy: A History. 2013
Biddle., S and Long,. S, Ddemocracy and Military Effectivness: A Deeper look
Tzu., S, Porter., M, and Beyond The art of Strategy. 2018
Gursoy., Y, Between Military Rule and Democracy 2017
Grewal., SSoldiers of Democracy? 2023
Everts, Philip P. Democracy and Military Force 2002
https://press-files.anu.edu.au/downloads/press/p33231/mobile/ch01s02.html

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი სამხრეთ კავკასიის ენერგოუსაფრთხოებისთვის

ზურაბ ბოსტოღანაშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის“ მიმოხილვა სამხრეთ კავკასიისა და პირველ რიგში საქართველოს ენერგოუსაფრთხოების, ენერგოდამოუკიდებლობის ჭრილში.

კვლევის მიზანია, მიმოიხილოს რა ახალ შესაძლებლობასა და სარგებელს მოუტანს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ელექტროენერგეტიკულ სექტორს აღნიშნული ამბიციური, ინოვაციური და ამავდროულად, ძვირადღირებული პროექტი.

2022 წლის 17 დეკემბერს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოს, რუმინეთის და უნგრეთის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმებას მწვანე ენერგიის განვითარების და გადაცემის შესახებ. შეთანხმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წარმოადგენდა - პროექტის განხორციელების შემთხვევაში 1. 195 კილ-ომეტრის სიგრძის კაბელი საქართველოდან რუმინეთს დაუკავშირდება (1100 კმ. წყალქვეშა და 95 კმ. სახმელეთო), რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და ევროპას საშუალებას მისცემს ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ვაჭრობა. შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი სტრატეგიული პროექტია და უდიდესი საინვესტიციო შესაძლებლობაა საქართველოსთვის და მისი მეზობელი ქვეყნებისთვის. ის ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგეტიკის სექტორის განვითარებას, გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს და ორმხრივი ვაჭრობის პოტენციალს ევროკავშირსა და სამხრეთს კავკასიის რეგიონს შორის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს რეგიონების სტაბილურ და საიმედო ენერგეტიკულ მომავალს.

ამ ეტაპზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ იტალიური საკონსულტაციო კომპანია CESI-ს დახმარებით ახორციელებს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას, რომელიც 2023 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. სამომავლოდ, პროექტის ფარგლებში, ასევე, ჩატარდება გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების შეფასებისა და შავი ზღვის ფსკერის გეოფიზიკური და გეოტექნიკური კვლევები.

საქართველო 2017 წლიდან ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრია, „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის“ განხორციელებით იგი აღნიშნული გაერთიანების სისტემის ნაწილი ხდება, რაც ქვეყნის ევროპული ინტეგრაციისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობისთვის უმნიშვნელოვანესია. ენერგეტიკის სექტორი სწორედ ის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რაშიც საქართველო და ევროკავშირი თანამშრომლობენ.

შავი ზღვის ფსკერზე ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობა, ფაქტობრივად, რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების მოხსნის საფუძველი გახდება. ევროპაში მწვანე ენერგიაზე მზარდი მოთხოვნაა და ეს ტენდენცია შეუქცევადია. საქართველო უახლოეს მომავალში აპირებს განახლებადი ენერგორესურსების მაქსიმალურად ათვისებას - აშენდება ჰიდრო, მზისა და ქარის სადგურები, რის შედეგადაც მიღებული ჭარბი ელექტროენერგია სწორედ „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის“ საშუალებით გავა ექსპორტზე ევროპაში, სადაც ევროგაერთიანების ენერგეტიკული ბაზრის სახით საქართველოს მუდმივი და სტაბილური მყიდველი ეყოლება, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ელექტროენერგიის იმპორტის შემთხვევაში კი საქართველოს ფართო და უკეთესი არჩევანის საშუალება ექნება.

საკვანძო სიტყვები:
სტრატეგიული პროექტი, ევროგაერთიანება, ენერგოუსაფრთხოება, ენერგოდამოუკიდებლობა, სამხრეთ კავკასია.

Black Sea Submarine Cable Project for energy security of the South Caucasus

Zurab Bostoghanashvili
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of State Recourse Management

Abstract

The purpose of this work is to review the "Black Sea Submarine Cable Project" in terms of energy security and energy independence of the South Caucasus and, first of all, Georgia.

The purpose of the study is to review what new opportunities and benefits the aforementioned ambitious, innovative and at the same time expensive project will bring to the electric energy sector of Georgia and the South Caucasus.

On December 17, 2022, the governments of the Republic of Azerbaijan, Georgia, Romania and Hungary signed a strategic cooperation agreement on the development and transmission of green energy. One of the important issues of the agreement was the Black Sea submarine cable project - if the project is implemented, a 1,195-kilometer long cable will connect to Romania (1,100 km underwater and 95 km terrestrial cable), which will allow the countries of the South Caucasus and Romania to take advantage of expanded export opportunities and Trade based on the hourly prices of the electricity market. The Black Sea submarine cable is a strategic project and a great investment opportunity for Georgia and its neighboring countries. It will contribute to the development of the renewable energy sector, increase transit opportunities and bilateral trade potential between the EU and the South Caucasus region, which in turn will ensure a stable and reliable energy future for the regions.

At this stage, the "Georgian State Electric System" with the help of the Italian consulting company CESI is carrying out a technical and economic study of the project, which should be completed by the end of 2023. In the future, within the framework of the project, environmental and social impact assessment and geophysical and geotechnical studies of the Black Sea bed will also be carried out.

Georgia has been a member of the European Energy Union since 2017, with the implementation of the "Black Sea Submarine Cable Project" it becomes a part of the mentioned union system, which is of the utmost importance for both European integration and geopolitical situation of the country. The energy sector is one of the priority directions in which Georgia and the European Union cooperate.

The establishment of a high-voltage electricity transmission network on the bottom of the Black Sea will, in fact, become the basis for removing energy dependence on Russia. There is a growing demand for green energy in Europe, and this trend is irreversible. In the near future, Georgia intends to utilize renewable energy resources to the maximum extent - hydro, solar and wind stations will be built, as a result of which the excess electricity obtained will be exported to Europe through the "Black Sea Submarine Cable Project", where Georgia will have a permanent and stable buyer in the form of the EU energy market, which is the most important challenge for the economic development of the country. In case of electricity import, Georgia will have a wide and better choice.

Keywords:
Strategic project, European Union, energy security, energy independence, South Caucasus.

შესავალი

მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა, კოვიდპანდემიამ, ეკონომიკურმა კრიზისმა, რუსეთ - უკრაინის მიმდინარე ომმა ცხადყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია ენერგოდამოუკიდებლობა.

დღესდღეობით, საქართველოს არ გააჩნია ისეთი სიმძლავრის ენერგეტიკული სისტემა, რომელიც საკუთარ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ამიტომ წელიწადში, დაახლოებით, 70 მილიონ დოლარს ხარჯავს ელექტროენერგიის იმპორტზე. ამავდროულად, ყოველ წელს იზრდება მოთხოვნა და თუ საკუთარი გენერაცია არ გაიზარდა, 2030 წლისთვის ქვეყანას ელექტროენერგიის იმპორტში 600 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს, რაც საკმაოდ დიდი თანხაა.

საქართველოს სჭირდება კონკრეტული გეგმა და ქმედითი ნაბიჯები, რათა შეამციროს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, აწარმოოს საკუთარი მოთხოვნის საკმარისი ელექტროენერგია და გაიტანოს იმპორტზეც ევროპაში. სწორედ, აღნიშნულ მიზანს ემსახურება ამბიციური, ინოვაციური და ძვირადღირებული „მომავლის პროექტად“ შეფასებული „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი“, რომელსაც ქვეყნისთვის უდიდესი ეკონომიკური - პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ძირითადი ნაწილი

„21-ე საუკუნის სტრატეგიული პროექტი“, „საქართველოს უდიდესი წამოწყება“, - ასე უწოდებენ „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტს“, რომლის ინოვაციური იდეა საქართველოს ეკუთვნის. პროექტმა საქართველოსა და ევროპის ენერგოსისტემები ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს, რაც სამხრეთ კავკასიისა და ევროპის ქვეყნებს საშუალებას მისცემს ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით, ასევე, ხელს შეუწყობს მათ ენერგოუსაფრთხოებას. აღნიშნული პროექტი საქართველოსთვის ენერგოდამოუკიდებლობის საწინდარი და ერთგვარი პოლიტიკური წონის მქონე დივიდენდია.

2022 წლის 17 დეკემბერს, ბუქარესტში, საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმებას მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის შესახებ. შეთანხმების მნიშვნელოვან საკითხს, სწორედ, „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი“ წარმოადგენდა.

დეტალურად განვიხილოთ „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი“ შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

1.პროექტის ტექნიკური მახასიათებლები;
2.პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევა;
3.პროექტის ბიუჯეტი;
4.პროექტთან დაკავშირებული რისკი;
5.პროექტის სარგებელი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიისთვის.

პროექტის ტექნიკური მახასიათებლები

პროექტი გულისხმობს 1195 კმ-მდე სიგრძის 1000 მეგავატამდე სიმძლავრის 500 კილოვატიანი ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მშენებლობას, რომლის 1100 კმ შავი ზღვის ფსკერზე იქნება, 95 კმ კი რუმინეთისა და საქართველოს ხმელეთზე. კაბელის საწყისი წერტილი იქნება ანაკლია - „ჯვარი 500“ ქვესადგური, სადაც შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის საქართველოს ენერგოსისტემასთან მიერთებაა დაგეგმილი. კაბელის ბოლო წერტილი კი რუმინეთის პორტი კონსტანცაა, საიდანაც მოხდება ელექტროენერგიის ევროპის ბაზარზე განაწილება.

სურათი N1

კაბელში, შესაძლებელია, დაინსტალირდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენიც, რო-მელიც ტელე-კომუნიკაციისა და ინტერნეტ არხის ჩამოსაყალიბებელი დამატებით პირდაპირი საშუალებაა. ეს იქნება ტელესაკომუნიკაციო ტრაფიკის დამატებითი არხის ფორმირების შესაძლებლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიას/ცენტრალურ აზიას შორის.

პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევა

პროექტის სრულყოფილი კვლევა და შეფასება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და მსოფლიო ბანკის აქტიური ჩართულობით, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ არის ინიცირებული. „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის“ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მოწვევით იტალიური საკონსულტაციო კომპანია „CESI“ განახორციელებს. ხელშეკრულება, რომელიც კომპანია „CESI“- სთან საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე გაფორმდა, საქართველო-რუმინეთის დამაკავშირებელი წყა-ლქვეშა ელექტროგადამცემი ხაზისა და ციფრული კავშირის მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკო-ნომიკურ კვლევას, ასევე, საკონსულტაციო მომსახურების გაწევას ითვალისწინებს. კვლევის მეშვეობით დადგინდება პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები და საუკეთესო გზები, კაბელის მარშრუტი, გარემოს დაცვისა და სოციალური სკრინინგის საკითხები და ა.შ. საკონსულტაციო კომპანიამ კვლევა 2022 წლის 11 მაისს დაიწყო და მისი დასრულება 18 თვის ვადაშია დაგეგმილი.

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ თანამშრომლობს რუმინეთის გადამცემი სისტემის ოპერატორთან - „Transelectrica“. საქარ-თველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან პროექტის თაობაზე პერიოდული კონსულტაციები ტარდება რუმინეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების შესაბამის სამინისტროებთან, ხოლო სსე-ის მხრიდან - ზემოაღნიშნული ქვეყნების შესაბამის ენერგეტიკულ კომპანიებთან.

„ზუსტი საინვესტიციო ხარჯი უნდა განვსაზღვროთ და თავად კვლევის ფარგლებში უნდა მოხდეს პროექტის ფინანსური მოდელის ოპტიმალური სტრუქტურის შერჩევა. ასევე საკონსულტაციო კომპანია დაგვეხმარება ტენდერის სტრატეგიის შემუშავებასა და მართვაში, რადგანაც ეს საერთაშორისო პროექტია და მასში შესაბამისი სტანდარტები უნდა იყოს გათვალისწინებული”, - აცხადებს სახელმწიფო ელექტროსისტემის დირექ-ტორთა საბჭოს წევრი ზვიად გაჩეჩილაძე[1].

პროექტის ბიუჯეტი

„შავი ზღვის კაბელის პროექტი“ საკმაოდ ძვირადღირებულია და მის განსახორციელებლად აუცილებელი იქნება კონსორციუმის ჩამოყალიბება, სადაც, სავარაუდოდ, გაერთიანდებიან დაინტერე-სებული მთავრობები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსხვილი ენერგეტიკული კო-რპორაციები. გეოგრაფიულად და ინსტიტუციურად სხვადასხვა წარმომავლობის ფინანსური რესურსის აკუმულირება ამ პროექტს იმთავითვე მისცეს წარმატების დამატებით გარანტიებს.

პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევის დასრულების შემდეგ ცხადი იქნება მისი განხ-ორციელებისთვის საჭირო თანხის მოცულობა.

პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევის დასრულების შემდეგ ცხადი იქნება მისი განხორციელებისთვის საჭირო თანხის მოცულობა.

„ამ პროექტის განხორციელებისთვის ფინანსები პრობლემა არ არის, პირიქით, რამდენიმე მილიარდის მობილიზებისთვის თავად ევროკავშირი არის მზად. პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ წარადგინა და წლების განმავლობაში საქართველოში მუშავდებოდა, ცალსახად ჩვენი ინი-ციატივა იყო და საწყის ეტაპზე არც ისე აქტუალურად განიხილებოდა, თუმცა, დღეს ნამდვილად ფლაგმანი პროექტია ევროპასთან ურთიერთობის საკითხში“[2], - განაცხადა მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებს აკეთებს იტალიური საერთაშორისო კომპანია „CESI“ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. მსოფლიო ბანკისგან აღებული სესხით სწორედ სახელმწიფო აფი-ნანსებს ამ პროექტს და მსოფლიო ბანკის ექსპერტებიც აქტიურად არიან ჩართულნი. შემდეგი ეტაპებიც სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსდება ამავე ინსტიტუტის მხარდაჭერით.

პროექტის მთლიანი ბიუჯეტი, წინასწარი გათვლებით, 2,3 მილიარდი დოლარია.

პროექტთან დაკავშირებული რისკი

ზოგადად, ყველა წამოწყებას, ინიციატივასა თუ იდეას ახლავს განხორციელების რისკი და ფაქტორები, რაც შესაძლოა ხელის შემშლელი გახდეს ნებისმიერი კარგად დაგეგმილი პროექტისთვის.

1 https://bm.ge/news/shavi-zgvis-kabelis-proeqti-saqartvelos-energetikul-usafrtxoebas-gaadzlierebs---sse/123440 შავი ზღვის კაბელის პროექტი საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას გააძლიერებს - სსე, მარიამ ვარდაშვილი, BM.GE, (12.09.2023)

2 https://bm.ge/news/shavi-zgvis-wyalqvesha-kabelis-proeqtis-iniciativac-da-ideac-saqartvelos-ekutvnis---davitashvili/123082 - შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის ინიციატივაც და იდეაც საქართველოს ეკუთვნის, ინგა მურუსიძე, BM.GE, (12.09.2023)

თავისთავად, ცხადია, რომ არც „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტია“ გამონაკლისი და მასთან დაკავშირებითაც არსებობს რამდენიმე სახის რისკ - ფაქტორი:

1. პროექტის მასშტაბი - წყალქვეშა კაბელი არის ძალიან გრძელი (1100 კმ), რაც იწვევს გადაცემის დროს ე.წ. „დაკარგვის ფუნქციონირებას“. ანალოგიური პროექტია North Sea Link, რომელიც ნორვეგია - დიდ ბრიტანეთს აკავშირებს და ამ კაბელის სიგრძეა 750 კმ, რის გამოც ენერგიის, დაახლოებით, 3,4 % იკარგება. შესაბამისად, ეს დანაკარგი კაბელის სიგრძის ზრდასთან ერთად პროპორციულად გაიზრდება.
2. პროექტის ფიზიკური დაუცველობა - როგორც 1.1. რუკაზე ვხედავთ, კაბელმა 150 კმ-ის რადიუსში უნდა გაიაროს ყირიმის ნახევარკუნძულთან, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის ანექსირებული ტერიტორიაა, შესაბამისად, არსებობს მოსალოდნელი საშიშროება რუსული მხრიდან წყალქვეშა სპეცტექნიკის საშუალებით კაბელზე დივერსიების მოწყობის, რაც მთლიანად პროექტის არსებობას უქმნის საფრთხეს.
3. კაბელის წყალქვეშ მშენებლობის სირთულე - შავი ზღვა საშუალოდ 1 კმ სიღრმისაა და ამ მანძილზე კაბელის მშენებლობა დიდ სირთულეებსა და უზარმაზარ თანხებთანაა დაკა-ვშირებული. როგორც უახლოესი წარსულიდან ცნობილია, ნაღმი გამოირიყა სანაპიროზე, ასე რომ, ბევრი გაუთვალისწინებელი „სიურპრიზის“ შემოთავაზება შეუძლია შავ ზღვას.
4. კაბელის გამტარი ქვეყნების ფაქტორი - გაეროს კონვენციის თანახმად, ქვეყნის სანაპიროდან 200 საზღვაო მილის რადიუსში ვრცელდება მისი უფლებამოსილება, გასარკვევია თურქეთი და რუსეთი რამდენად თანახმა არიან კაბელის მათ კონტროლირებად ზონაში გასატარებლად, ეს ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.
5. გაეროს კონვენციის მიხედვით, ხმელეთიდან საზღვაო სივრცეში კონტროლირებადი მანძილი განისაზღვრება 200 საზღვაო მილით, ანუ აღნიშნული პროექტის კაბელის გატარებაზე უნდა დათანხმდნენ თურქეთი და რუსეთი, რაზეც ინფორმაცია არაა ჯერჯერობით. არ დათანხმების შემთხვევაში საქართველოს მოუწევს ალტერნატიული ტრაექტორიით კაბელის გატარება.

პროექტის სარგებელი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიისთვის

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება არის ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანია ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის და ბაზრის პრინციპების გავრცელება. მისი ამოცანებია: წევრ ქვეყნებში საინვესტიციო გარემოს შექმნა ბუნებრივი გაზის/ ელექტროენერგიის ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მოსაზიდად და ენერგიის სტაბილური, უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად; ენერგეტიკულ ქსელში ფართო ვაჭრობისთვის ერთიანი მარეგულირებელი სივრცის შექმნა; საბაზრო კონკურენციის უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალში გავრცელება; მიწოდების უსაფრთხოების გაზრდა ინვესტიციების ზრდით და ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების განვითარებით; გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესება; ენერგოეფექტური ღონისძიებებისა და განახლებადი ენერგიის გამოყენების ხელშეწყობა.

ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველო 2017 წლის 1 ივლისს გაწევრიანდა. ევროგაერთიანების ენერგეტიკული ბაზრისთვის საქართველო, პირველ რიგში, სწორედ განახლებადი ენერგიის პოტენციალით არის და იქნება საინტერესო.

„შავი ზღვის კაბელის პროექტის“ მეშვეობით ელექტროენერგიის გაცვლა ევროპის ენერგეტიკულ სისტემასთან შეეძლება მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონს. ეს კავშირი, არსებული ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე (საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის უკვე არსებული 500 და 300 კილოვოლტიანი ხაზები და თითქმის დასრულებული მესამე, ასევე 330 კილოვოლტიანი ხაზი), უკვე პროექტის ჩაშვების საწყის ეტაპზევე დიდ შესაძლებლობას აძლევს აზერბაიჯანს, რომელიც ბოლო პერიოდში აქტიურად არის დაკავებული საკუთარი რესურსების ელექტროენერგეტიკული პოტენციალის საექსპორტო ბაზრებზე გატანით. აქ იგულისხმება, როგორც აზერბაიჯანში არსებული და დაგეგმილი თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია, ასევე პერსპექტივაში დაგეგმილი ქარის ენერგეტიკის განვითარების შედეგად მიღებული ელექტროენერგეტიკული რესურსიც.

ევროპაში მწვანე ენერგიაზე მზარდი მოთხოვნაა. „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტში“ საქართველოს არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ გამტარის ფუნქცია, იგი უნდა აწარმოებდეს განახლებად ენერგიას, რომელიც ექსპორტზე გავა, რაც, სამწუხაროდ, დღესდღეობით, შეუძლებელია. ქვეყანას ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მხოლოდ 22 % აქვს ათვისებული, დასათვლელია ქარისა და მზის პოტენციალიც. საქართველოს ელექტროენერგიის ექსპორტი მხოლოდ ზაფხულში, ჭარბი გენერაციის დროს შეუძლია. სწორედ ამიტომ, უახლოეს მომავალში იგეგმება განახლებადი რესურსების მაქსიმალურად შესწავლა - ათვისება. დაწყებულია ჰიდრო, მზისა და ქარის სადგურების აშენება. შესაბამისად, პროექტი უმნიშვნელოვანესი იქნება საკუთრივ საქართველოში გენერირებული ჭარბი ელექტროენერგიის ევროკავშირის ბაზარზე გატანის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაშიც, ფაქტობრივად, გარანტირებული მყიდველი არსებობს ევროგაერთიანების ენერგეტიკული ბაზრის სახით. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ქსელში სატრანზიტო ელექტროენერგიის ადგილი აღარ დარჩეს და სრულად იქნეს ათვისებული საქართველოს მიერ წარმოებული წყაროების ტრანზიტით, რაც მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო პერსპექტივაა.

აღნიშნული პროექტის კიდევ ერთი სარგებელი იქნება ის, რომ კაბელში, შესაძლებელია, დაინსტალირდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენიც, რომელიც ტელეკომუნიკაციის/ინტერნეტ არხის ჩამოსაყალიბებლად დამატებით პირდაპირ საშუალებას მოგვცემს. ეს იქნება ტელესაკომუნიკაციო ტრაფიკის დამატებითი პირდაპირი არხის ფორმირების შესაძლებლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიას/ცენტრალურ აზიას შორის.

პროექტი საშუალებას მისცემს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ვაჭრობა ევროპასთან.

„საკუთრივ ეს პროექტი გახდება ახალი დიდი შესაძლებლობა მთლიანად რეგიონისთვის, მათ შორის ჩვენთვის. ევროპასთან 2 საათიანი ე.წ. წანაცვლებაც ჩვენს წისქვილზე ასხმს წყალს. როცა ჩვენთან პიკი გადადის, იქ სწორედ მაშინ იწყება პიკი და ეს კარგად გამოსაყენებელი ფაქტორი იქნება. ასევე, შესაძლებელია, ძალიან კარგად გამოვიყენოთ ევროპის ღამის იაფი რესურსის მიღების საშუალება. გარდა ამისა, მე ვხედავ ამ პროექტის პერსპექტივაში აღმოსავლეთით განვითარების საშუალებას, ვგულისხმობ კასპიის ფსკერზე გადამცემი ხაზის მოწყობით ერთიან ქსელში აზიის ქვეყნების ჩართვის შესაძლებლობას. კერძოდ, აზერბაიჯანის კავშირს ყაზახეთის ენერგოსისტემასთან. საათობრივი ცვალებადობის გამოყენება აქაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება“, – განაცხადა საქართველოს დიდი კაშხლების ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა დავით მირცხულავამ[3].

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ევროპისა და კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას, რუსეთის ენერგეტიკულ ბაზარზე დამოკიდებულების მოსპობას, განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარებას და გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს მითითებულ რეგიონებს შორის.

დასკვნა

დაგეგმილი პროექტი, მისი განხორციელების შემთხვევაში, ქვეყანას ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქციას შესძენს და საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობამდე მისვლას შეუწყობს ხელს.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ევროპისა და კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას, განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარებას და გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს მითითებულ რეგიონებს შორის.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი უაღრესად სტრატეგიული პროექტია, რომელიც ენერგეტიკულ უსაფრთხოებას მოუტანს არამხოლოდ საქართველოს, არამედ უფრო ფართოდ - სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და ევროპას.

„ვფიქრობ, რომ საქართველო-რუმინეთის დამაკავშირებელი პროექტი, რომელიც განახლებად ენერგიას საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და იმედია, მალე სომხეთიდანაც ევროპაში შემოიტანს, დიდ სარგებელს მოუტანს ქართველ ხალხს და უზრუნველყოფს ძალიან ძლიერ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და ევროპის ქვეყნებს შორის“, - აღნიშნა სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონალურმა დირექტორმა სებასტიან მოლინეუსმა.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, https://www.economy.ge/?page=news&nw=1893 (გახსნილია 2023 წლის 9 სექტემბერს)

საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაცია https://www.greda.ge/ (გახსნილია 2023 წლის 9 სექტემბერს)

,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ https://www.gse.com.ge/comunikatsia/akhali-ambebi/2022/Savi-zgvis-kabelis-proeqtis-kvlevis-ganxilva (გახსნილია 2023 წლის 9 სექტემბერს)

ბიზნეს მედია, https://bm.ge/news/shavi-zgvis-kabelis-proeqti-saqartvelos-energetikul-usafrtxoebas-gaadzlierebs---sse/123440 (გახსნილია 2023 წლის 11 სექტემბერს)

Bussines Insider Georgia, https://www.businessinsider.ge/ka/product/2055

კომერსანტი, https://old.commersant.ge/ (გახსნილია 2023 წლის 11 სექტემბერს)

https://for.ge/view/242378/Savi-zRvis-wyalqveSa-kabeli---saqarTvelos-udidesi-wamowyeba.html (გახსნილია 2023 წლის 11 სექტემბერს)

Energy Monitor, https://www.energymonitor.ai/tech/networks-grids/submarine-electricity-cable-under-black-sea/ (გახსნილია 2023 წლის 12 სექტემბერს)

German Economic Team, https://www.german-economic-team.com/en/newsletter/the-black-sea-submarine-cable-project-update-from-tbilisi/ (გახსნილია 2023 წლის 13 სექტემბერს)

https://www.radiotavisupleba.ge/ (გახსნილია 2023 წლის 15 სექტემბერს)

https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=4&id_artc=172205 (გახსნილია 2023 წლის 2სექტემბერს)

https://publika.ge/shavi-zghvis-wyalqvesha-eleqtrokabeli-saqartvelos-eleqtroenergiis-habad-aqcevs-laieni/ (გახსნილია 2023 წლის 3 სექტემბერს)

https://europetime.eu/ka (გახსნილია 2023 წლის 5 სექტემბერს) გაჩეჩილაძე, ზვიად. Black Sea Submarine Cable Project, თბილისი, 2022.

3 https://www.greda.ge/post/- გახდება თუ არა შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამეცმი ქსელი ახალი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი(12.09.2023).

შეცვლილი „თამაშის წესები“ სამხრეთ კავკასიის რეგიონულ პოლიტიკაში და სავაჭრო გზები, როგორც ინსტრუმენტი კონფლიქტების მოსაგვარებლად

ზაზა მღებრიშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ევროპის, აზიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის მოქცეული სამხრეთ კავკასიის რეგიონი იქცა კრიტიკულ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინად გლობალური ვაჭრობის, უსაფრთხოებისა და კონფლიქტების პრევენციის შესაძლებლობების შორსმიმავალი პერსპექტივებით, რასაც მისი უნიკალური სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს. ისტორიული დაძაბულობის, ენერგო-რესურსების, სატრანსპორტო მარშრუტებისა და კულტურული მრავალფეროვნების უნიკალური ნაზავი ხაზს უსვამს მის სტრატეგიულ მნიშვნელობას როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური საზღვრები იცვლება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვასთან და ახლო აღმოსავლეთთან კავშირების გამყარებასთან ერთად.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და შემდეგში დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები გამოიწვია თანმდევ მოუგვარებელ „გაყინულ კონფლიქტებთან“ ერთად, რაც უარყოფითად აისახება რეგიონის განვითარებასა და სტაბილურობაზე. თუმცა, წლების შემდეგ, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა შორის საგრძნობლად გაზრდილია თანამშრომლობის დონე და საერთო სარგებლის მიმართ ინტერესი. საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების ჩა-რთულობამ, გეოპოლიტიკური პრიორიტეტების შეცვლამ და ეკონომიკური განვითარებისკენ სწრაფვამ პოლიტიკის პარადიგმების ცვლილება გამოიწვია.

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები მიუთითებს კონფლიქტის დინამიკიდან კოოპერატიული თანამშრომლობის მცდელობაზე გადასვლის სურვილს. ბოლო პერიოდის განმავლობაში ამ ქვეყნებთან ურთიერთობები ყველაზე დინამიურად ვითარდება: ვაჭრობის ზრდის ტემპი იზრდება, ეკონომიკური კავშირები ფართოვდება, ცვლილებები ხდება ენერგეტიკულ ბაზრებზე და იხსნება ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პერსპექტივები. სამწუხაროდ, რეგიონში არსებული საერთო პრობლემი და გამოწვევები, რომელთანაც სამივე ქვეყანას უწევს გამკლავება, აფერხებს განვითარების შემდგომ პერსპექტივებს, თუმცა, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების პრიორიტიზირებით, იკვეთება უფრო პერსპექტიული და აყვავებული რეგიონის ჩამოყალიბების სურათი, როგორც სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წინაშე არსებული გამოწვევების საპირწონე. სწორედ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები შეიძლება აღმოჩნდეს ის ეფექტური იარაღი, რომელიც ასე საჭიროა რეგიონში უსაფთხოებისა და სტაბილურობის დასამყარებლად.

სტატიაში განხილულია, თუ როგორ ახორციელებს სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო მზარდი დივერსიფიკაციის საგარეო და ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელთა ძალისხმევა რუსეთთან კავშირების შესუსტებისა და მათ მიმართ აშშ-სა და ევროკავშირის ინტერესის შემცირების ფონზე მიმდინარეობს. აქცენტირება ხდება შესაძლებლობების იმ ახალ ფანჯარაზე, რომელიც ყარაბაღის მეორე ომის შედეგად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებით იხსნება. საუბარია სამხრეთ კავკასიის რეგიონის შეცვლილი სატრანსპორტო რუკის ფარგლებში ახალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და სატრანსპორტო დერეფნების შექმნის პერსპექტივებზე, გამოწვევებსა და იმ შესაძლებლობებზე, რომლებმაც რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტანა უნდა შეძლონ.

საკვანძო სიტყვები:
სამხრეთ კავკასია, სატრანსპორტო რუკა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ინფრასტრუქტურა, ნავთობსადენი, ღრმაწყლოვანი პორტი, საავტომობილო გზები, პერსპექტიული პროექტი.

Changed "rules of the game" in South Caucasus regional politics and trade routes as a tool for conflict resolution

Zaza Mgebrishvili
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of Security Studies

Abstract

The South Caucasus region, located between Europe, Asia and the Middle East has become a critical geopolitical crossroads with far-reaching prospects for global trade, security and conflict prevention opportunities due to its unique transportation-geographical location. The unique mix of historical tensions, energy resources, transport routes and cultural diversity underscores its strategic importance both regionally and internationally.

After the end of the "Cold War", the existing geopolitical boundaries in the South Caucasus region are changing, along with the strengthening of ties with the Eastern Mediterranean Sea and the Middle East.

The collapse of the Soviet Union and the subsequent formation of independent states caused political and economic problems, along with the subsequent unresolved "frozen conflicts", which negatively affected the development and stability of the region. However, years later, the level of cooperation and interest in common benefits between the South Caucasus states has significantly increased. The involvement of international stakeholders, changing geopolitical priorities and the drive for economic development have led to a change in policy paradigms.

Recent developments in the politics of the South Caucasus indicate a desire to move from the dynamic of conflict to an attempt at cooperative cooperation. Recently, relations with these countries have been developing most dynamically: the growth rate of trade is increasing, economic ties are expanding, changes are taking place in the energy markets, and prospects for the implementation of new infrastructure projects are opening up. Unfortunately, the common problem and challenges in the region, which all three countries have to deal with, hinder further development prospects, however, by prioritizing trade and economic relations, a picture of the formation of a more promising and prosperous region is emerging, as faced by the three states of the South Caucasus - Georgia, Armenia and Azerbaijan A counterbalance to existing challenges. It is the trade and economic ties that can turn out to be the effective weapon that is so needed to establish security and stability in the region.

The article discusses how the three South Caucasus states are increasingly diversifying their foreign and economic policies, whose efforts are taking place against the backdrop of weakening ties with Russia and declining US and EU interest in them. Emphasis is placed on the new window of opportunity opened by the cease-fire agreement as a result of the second Karabakh war. It is about the prospects, challenges and opportunities of creating new trade and economic relations and transport corridors within the framework of the changed transport map of the South Caucasus region, which should be able to bring stability and security to the region.

Keywords:
South Caucasus, transport map, trade-economic relations, infrastructure, oil pipeline, deep-water port, highways, prospective project.

შესავალი

გეოგრაფიული სიახლოვისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობების ფაქტი. ჯერ კიდევ პრესაბჭოთა ეპოქაში კავკასია იყო ტერიტორია, სადაც ოსმალეთის, სპარსეთისა და რუსეთის იმპერიები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს მიწებისა თუ გავლენების მოსაპოვებლად. თითოეული მათგანი დროის გარკვეულ მომენტში დომინირებდა რეგიონში და ქმნიდა მთავარ პლატფორმას ყველაზე მნიშვნელოვან სატრანზიტო მარშრუტზე კულტურების შეხვედრისთვის[1]. XX საუკუნის უმეტესი პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირი აკონტროლებდა კავკასიას და ცდილობდა საკუთარი გავლენების კიდევ უფრო გაფართოვებას, მათ შორის ირანსა და თურქეთზეც. სსრკ-ს დაშლამ მოსკოვის პოზიციები შეასუსტა რეგიონში, მაგრამ თავდაპირველად არსებული ვარაუდები იმასთან დაკავშირებით, რომ ირან-რუსეთ-თურქული კონკურენცია გამოიწვევდა კავკასიის რეგიონში შესაბამისი გავლენის ზონების გაჩენას - არ დადასტურდა.

1990-იანი წლები მძიმე პერიოდი აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოსთვის. 1991 წელს, სსრკ-ს დაშლის შედეგად, სამხრეთ კავკასიის სამმა რესპუბლიკამ - სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ შეძლეს რა საერთაშორისო საზღვრების გახსნა და ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება მეზობელ თურქეთთან და ირანთან, სამხედრო კონფლიქტების შედეგად რეგიონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილები დაიხურა.

ირანს ასევე შეექმნა ეკონომიკური პრობლემები 1990-იან წლებში, დაზარალდა როგორც სანქციებით, ასევე ერაყთან თითქმის ათწლიანი ომის შედეგად. მსოფლიო ასპარეზზე ღრმად იზოლირებულს, არაფერი ჰქონდა შესათავაზებელი სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოსთვის, რომლებიც ვაშინგტონის მხრი-დან გარკვეული ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ, რამდენადაც თეთრი სახლი დაჟინებით მოითხოვდა სამხრეთ მეზობელთან კონტაქტების შემცირებას.

თურქეთი კი უფრო მეტად ევროპასთან ინტეგრაციაზე იყო ორიენტირებული, ვიდრე აღმოსავლელ მეზობლებთან ურთიერთობაზე. ანკარას მცდელობები ევრაზიის მასშტაბით პანთურქული დღის წესრიგის წინ წაწევისთვის თავდაპირველად იმედის მომცემი ჩანდა, მაგრამ ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია[2], თუ არ ჩავთვლით აზერბაიჯანს. თუმცა, ანკარასა და ბაქოს შორის დამყარებულმა კავშირებმა დიპლომატიურ და უსაფრთხოების სფეროში, მთიანი ყარაბაღის პირველი ომის დროს მხოლოდ გაძლიერა სომხეთის მიერ პანთურქული საფრთხის სერიოზულობის აღქმა, რამაც სომხურ-თურქული ურთიერთობების გაციება და ეკონომიკური ბლოკადა გამოიწვია, რომელიც დღემდე გრძელდება.

1990-იან წლებში დასავლეთს ჰქონდა ფული, ბაზარი და გეოპოლიტიკური გავლენა. რეგიონის ყველა ლიდერი ეიფორიულად იყო განწყობილი აშშ-სთან და ევროპასთან ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობით. საქართველომ, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან მალევე გამოაცხადა ქვეყნის დასავლური კურსი. ქვეყანაში საკანონმდებლო რეფორმებისა და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ახალი ტალღა დაიწყო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ შევარდნაძის ხელისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს, როგორც მსოფლიო დონის სატრანზიტო ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენას[3].

დასავლეთის გავლენა განაგრძობდა ზრდას 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებისა და საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რამაც გაადლიერა რეგიონის როლი ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. აზერბაიჯანი და საქართველო გახდა მნიშვნელოვანი კვანძი სამხრეთ კავკასიის გავლით ცენტრალურ აზიასა და ავღანეთში მომარაგების მარშრუტებისთვის[4]. საქართველომ დიდი რაოდენობით ჯარისკაცი გაგზავნა ერაყში, რამაც მის მიმართ შეერთებული შტატების მხრიდან კეთილგანწყობა გამოიწვია. ექსტრემიზმთან ბრძოლამ ასევე ხელი შეუწყო ნატოსა და სამივე სახელმწიფოს შორის უსაფრთხოების კავშირების განმტკიცებას. მაგრამ ერთია უსაფრთხოების საკითხებში სამხრეთ კავკასიასთან მჭიდრო კავშირების ხელშეწყობა და მისი პოტენციალის განმტკიცება კრემლისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წლის შემდეგ კვლავაც განაგრძობს და არ ერიდება მეზობლებზე ზეწოლას როგორც მსოფლიო დონის სატრანზიტო ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენას და სულ სხვაა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრირება მათი სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ პერიმეტრის გასწვრივ მდებარე სავაჭრო და სატრანსპორტო კავშირების მზარდ ქსელში.

ძირითადი ნაწილი

საბჭოთა კავშირის დაშლითა და შემდეგ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები, ისევე, როგორც გაყინული კონფლიქტები, წლების განმავლობაში წარმოადგენდნენ გამოწვევებს და თავის კვალს ტო-

1 Charles King, The Ghost of Freedom: A History of the Caucasus (Oxford: Oxford University Press, 2008); Thomas de Waal, The Caucasus, an Introduction (Oxford: Oxford University Press, 2010).

2 Firuza Nahmadova Perspectives | Turkey and China: Can Azerbaijan be the bridge? Mar 22, 2021 https://eurasianet.org/perspectives-turkey-and-china-can-azerbaijan-be-the-bridge

3 ნეტგაზეთი. მითები და რეალობა ედუარდ შევარდნაძეზე, ინტერვიუ ზვიად ქორიძესთან. 2020.

4 Sokolsky, and Paul Stronski, „U.S Policy Toward the South Caucasus Take Three Eugene Rumer“, Richard Washington, 2017;

ვებდნენ რეგიონის განვითარებაზე.

ბოლო პერიოდში კი სამხრეთ კავკასიის რეგიონი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, რაც დაკავშირებულია რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე არსებული ცვლილებების დინამიკასთან, განსაკუთრებით, ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, აცნობიერებენ რა ერთმანეთთან თანამშრომლობის მნიშვნელობას, ეძებენ გზებს ურთიერთობების დასალაგებლად, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში. ერთ-ერთ ასეთ გზას სავაჭრო ურთიერთობები და თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა ეფექტური იარაღი აღმოჩნდეს დაძაბულობის შემცირებისა და სტაბილურობის ხელშეწყობისთვის ისტორიული კონფლიქტებით გამორჩეულ რეგიონებში. მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებული რამდენიმე შემთხვევის კვლევა და ისტორიული გამოცდილება აჩვენებს სავაჭრო ხელშეკრულებების პოზიტიურ გავლენას დაძაბულობისა და კონფლიქტების შემცირებაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპული ეკონომიკების ინტეგრაციამ ისეთი ინიციატივებით, როგორიცაა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, საფუძველი ჩაუყარა გრძელვადიან მშვიდობას. ანალოგიურად, შეერთებულ შტატებს, კანადასა და მექსიკას შორის ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (NAFTA) დამყარებამ გამოიწვია არამხოლოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ ხელი შეუწყო რეგიონულ სტაბილურობას. ამიტომ, ძველ კონფლიქტებზე ფოკუსირების ნაცვლად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ახლა ცდილობენ უფრო მეტად ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

სავაჭრო და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე აქცენტირება მიზნად ისახავს ისტორიული დაძაბულობის შემცირებასა და ხელ უწყობს სტაბიულური გარემოს ჩამოყალიბებას. სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები იძლევა რამდენიმე უპირატესობას ამ ტრანსფორმაციაში. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ქმნის საერთო დამოკიდებულებას, რომელიც ხელს უშლის მტრული ურთიერთობების გაღვივებასა და დიპლომატიური საშუალებებით პრობლემის აღმოფხვრის ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

ამასთან, განვითარებული სავაჭრო გზები და ეკონომიკური კორიდორები უფრო მეტად ხდის ურთიერთდამოკიდებულს სახელმწიფოებს საზიარო ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკური ქსელების თვალსაზრისით, რაც აღვივებს ერთიანობასა და საერთო მიზნის მიღწევის განცდას. უფრო მეტად ხდება რა რეგიონული ეკონომიკის ინტეგრაცია - მეტ მიმზიდველობას იძენს ტრანსსასაზღვრო ინვესტიციებისა და რესურსების ერთობლივი მართვის პოტენციალიც. ასეთი მიდგომა მოითხოვს ნულოვანი ჯამის მენტალიტეტიდან გასვლას და აყალიბებს დიდი მიზნებისთვის კომპრომისზე წასვლის სურვილს.

საზღვრისპირა თანამშრომლობისა და ორმხრივად მომგებიანი საწარმოების პოტენციალი ხაზს უსვამს რეგიონის მნიშვნელობას, როგორც თანამშრომლობის შუქურას უფრო ფართო გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში.

კავკასიის სახელმწიფოები ადრე სუსტი და არასტაბილურნი იყვნენ, ახლა კი მათ შესაძლებლობა აქვთ აშენონ მშვიდობა დასავლელ პარტნიორებთან ერთად თანამშრომლობითა და უზრუნველყონ უსაფრთხოება ერთობლივი ძალისხმევით, რასაც ხელს უწყობს ევროკავშირის გაზრდილი ინტერესი რეგიონის მიმართ, რომელსაც სურს შექმნას ჯანსაღი და მეგობრული გარემო მის საზღვრებთან, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) საშუალებით (Wider Europe – Neighborhood - Brussels, 2003), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა ინსტრუმენტს, რომელშიც ნათქვამია, რომ „ევროკავშირს აქვს მტკიცე ინტერესი სამხრეთ კავკასიაში და დაინტერესებულია მისი სტაბილურობითა და განვითარების შემდგომი პერსპექტივებით“[5].

საქართველო ყოველთვის წარმოჩინდებოდა როგორც მთავარი რგოლი ევროპის ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელ პროექტებში. ევროკავშირი საქართველოს ეხმარება შავი ზღვის მიღმა კავშირების დამყარებაში. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შემდეგი ეტაპის ფარგლებში, ევროკავშირმა საქართველოს გადასცა გრანტებისა და სესხების საინვესტიციო პაკეტი მინიმუმ 3,9 მილიარდი ევროს ოდენობით[6].

ამ გეგმის ხუთი ძირითადი პროექტიდან ორი მიზნად ისახავს საქართველოს სივრცითი და ციფრული კავშირების გაუმჯობესებას ევროკავშირის ქვეყნებთან შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. 2021 წლის ივლისში თბილისში სიტყვით გამოსვლისას ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ოლივერ ვარჰეიმ განაცხადა: „საქართველოს ეკონომიკისა და საზოგადოების მთავარი პრობლემური სფერო და სუსტი წერტილი განუვითარებელი კავშირებია. იქნება ეს მაგისტრალები თუ რკინიგზა, შავი ზღვის გამოუყენებელი პოტენციალი თუ ელექტრო ქსელების ჩართვა თუ ფართოზოლოვანი ინტერნეტი“[7]. ერთ-ერთი პროექტი ზღვის ქვეშ ახალი ელექტრო და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გაყვანას გულისხმობს.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ნავთობის, გაზისა და სხვა საქონლის ტრანსპორტირების სატრანზიტო მარშრუტი კასპიიდან ევროპასა და ხმელთაშუა ზღვაში, როგორც წესი, აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში გადიოდა, სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონის გვერდის ავლით.

5 European Neighborhood Policy. Strategy Paper. Communication from the Commission. Commission of the Communities. Brussels, 12.5.2004. COM(2004) 373Final

6 Varhely Oliver - EU offers €3.9 billion to help Georgia improve connectivity, 7 Jul 2021, https://agenda.ge/en./news/2021/1890

7 იქვე

შეიქმნა არაერთი წარმატებული პროექტი და ინფრასტრუქტურა. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომელიც წარმატებით ახორციელებს მსოფლიო ბაზრებისთვის ნავთობრესურსების დიდი რაოდენობით მიწოდებას[8].

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ამოქმედების შედეგად, მსოფლიო პოლიტიკურ ენერგორუკაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს საქართველომ და აზერბაიჯანმა-ამ უკანასკნელმა, როგორც ნავთობის მწარმოებელმა, ხოლო საქართველომ, როგორც აზერბაიჯანული ნავთობის რეალიზების მთავარმა სატრანზიტო ქვეყანამ[9].

2013 წელს კი ხელი მოეწერა ისტორიულ შეთანხმებას ბაქოში, რომელიც მთლიანად ცვლის ენერგეტიკულ რუკას, არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელს ევროპაში, რადგანაც ის უზრუნველყოფს ევროპული ბაზრისა და წყაროების დივერსიფიცირებას და მისი უსაფრთხოების საწინდარიც ხდება. იგი ამცირებს დამოკიდებულებას რომელიმე ცალკე მომწოდებელზე და აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობას იძენს ევროპისთვის. ამიტომაც „შაჰდენიზი 2“-ის გაფართოებულ პროექტს, რომელმაც აზერბაიჯანული გაზი საქართველოს, თურქეთისა და საბერძნეთის გავლით ევროპაში რუსეთის გვერდის ავლით უნდა ჩაიტანოს, უკვე ეწოდა „საუკუნის პროექტი“[10].

რაც შეეხება იმას, თუ რა გავლენას მოახდენს აღნიშნული პროექტის გაფართოვება საქართველოზე, დარგის ექსპერტთა განცხადებით, ეს ერთი მხრივ გაზრდის ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციას, აქცევს მას ჰაბად, რომელიც ატარებს აზერბაიჯანულ გაზს ევროპაში, მეორეს მხრივ - მოუტანს საქართველოს სტაბილურობას, ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობას, ხელს შეუწყობს რეგიონალური ბაზრის განვითარებას, მოქნილობისა და ენერგოუსაფრთხოების დონის ამაღლებას.

ასევე აღსანიშნავია ბაქო-ერზრუმის გაზსადენი და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელიც გაიხსნა 2017 წელს სამი ქვეყნის მიერ 2 მილიარდი დოლარის ღირებულების ინვესტიციით[11]. აზერბაიჯანი კი საქართველოს ხარჯების წილის დაფარვაში 775 მილიონი დოლარის კრედიტით ეხმარება. ახლა ამ მარშრუტს შეიძლება კონკურენტი გამოუჩნდეს. თუ აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის გავლით მდინარე არაქსის გასწვრივ ახალი სამხრეთი მარშრუტი გაიხსნება, საქართველომ შესაძლოა შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილი დაკარგოს, პირველ რიგში, ტრანზიტის მოსაკრებელი. ქართველი ექსპერტების ინფორმაციით, რკინიგზით, საქართველოს გავლით, ყოველწლიურად 10-11 მილიონი ტონა ტვირთი, ავტომანქანით კი 6-7 მილიონი ტონა ტვირთი გადადის. ყოველ მილიონ ტონა სატრანზიტო ტვირთზე ქვეყანა იღებს 5 მილიონ დოლარს სატრანზიტო მოსაკრებელის სახით[12].

იშვიათი გამონაკლისის გარდა, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, საქართველოს საავტომობილო გზები და რკინიგზა სავალალო მდგომარეობაშია, ხოლო აღმოსავლეთ-დასავლეთის მარშრუტი, რომელიც ქვეყანას კვეთს, დასრულებული არ არის და სარკინიგზო ქსელს ძალიან სჭირდება ინვესტიცია. თბილისის ფინანსური წარმომადგენლის თქმით: „საქართველოს უნდა ჰქონდეს განვითარებული საავტომობილო გზებისა და რკინიგზის ქსელი, ასევე ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა მთელი ქვეყნის მასშტაბით. მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი გეოპოლიტიკურ საკვანძო ცენტრზე, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს აკავშირებს“[13].

თანამედროვე სარკინიგზო ქსელს მინიმალური სასაზღვრო კონტროლით, ასევე შეუძლია გაზარდოს ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, განსაკუთრებით, თუ 1993 წელს დახურული სომხეთ-თურქეთის საზღვარი გაიხსნება. ეს უფრო მეტ მიმზიდველობას მოუტანდა „შუა დერეფანს“ - სატვირთო-სატრანსპორტო მარშრუტს ჩინეთს, ცენტრალურ აზიას, თურქეთსა და ევროკავშირს შორის სამხრეთ კავკასიის გავლით.

1990-იანი წლებიდან რეგიონში ფუნქციონირებს მარშრუტი, რომელიც საქართველოს გავლით აღმოსავლეთსა და დასავლეთს აკავშირებს. იგი უფრო მიმზიდველი გახდა ბაქო-თბილისი ყარსის რკინიგზის გახსნის შემდეგ. სატრანსპორტო ნაკადის მოცულობა „შუა დერეფნით“ მნიშნელოვნად ჩამოუვარდება „ჩრდილოეთის დერეფანს“ ან სუეცის არხზე გამავალ მარშრუტს.

ჩინეთის პროექტის „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ ინიციატივა ითვალისწინებს ეკონომიკური დერეფნის შექმნას, რომელიც სამხრეთ კავკასიაზე გავა და რომლის საშუალებითაც ევრაზიის ორი ბოლო ერთმანეთს დაუკავშირდება. თუმცა, პეკინს ჯერ არ ჩაუდია ინვესტიციები რეგიონში არცერთ მსხვილ ინფრასტრუქტურულ ან სატრანსპორტო პროექტში. ბევრი სკეპტიკურად უყურებს „შუა დერაფნის“

8 L.M Aleksanyan. Turkish-Georgian relations in the context of Turkey's regional policyat the current stage. Проблемы постсоветского пространства. 4(4). 2017, p. 307.

9 მ. კომახია, „სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი. თბ., — 2017, გვ.8-9.

10 მ. კომახია, „სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი.,თბ., — 2017

11 Bittner, Victoria Ariel; Ibrahimli, Minavvar Baku-Tbilisi-Kars: regional implications and perspectives, Center for Economic & Social Development (CESD), Baku, October 2018 https://www.zbw.eu/econis-archiv/bitstream/11159/3331/1/CESD_Research_Paper_BTK.pdf

12 Giorgi Lomsadze Not all roads lead to Georgia , Last year's war between Armenia and Azerbaijan could shake up trans-Caucasus trade, which has been dominated by Georgia for decades .Mar 8, 2021; . https://eurasianet.org/not-all-roads-lead-to-georgia;

13 Article: Georgia's East-West Highway, February 17, 2012; https://www.worldhighways.com/feature/georgias-east-west-highway;

პერსპექტივებს და თვლის, რომ მას მცირე შანსები აქვს ჩრდილოეთით და სამხრეთით კონკურენტებთან შედარებით, კასპიისა და შავი ზღვის სახით არსებული დაბრკოლებებიდან და რთული საბაჟო რეჟიმის მქონე ქვეყნების საზღვრების გადაკვეთის აუცილებლობიდან გამომდინარე[14]. 2021 წლის მაისის აზიის განვითრების ბანკის სამუშო დოკუმენტში ნათქვამია[15], რომ „შუა დერეფნის“ ტრანსკონტინენტური გამტარუნარიანობა ჯერ კიდევ შეზღუდულია ძირითადად, თურქეთის ორი მეგაპოლისის - სტამბულისა და ანკარის რაიონების გადატვირთულობისა და კასპიისა და შავი ზღვის საბორნე გადასასვლელების შეზღუდული გამტარუნარიანობის შესაძლებლობების გამო. თუმცა, ამ მარშრუტზე მგზავრობის დრო შემცირდა ბლოკ-მატარებლების გამოჩენასთან ერთად. ბლოკ-მატარებელი არის სარკინიგზო შემადგენლობა, რომელიც უწყვეტად, შეუფერხებლად ოპერირებს საწყის და დანიშნულების პუნქტებს შორის და ტვირთმფლობელებს თავიდან არიდებს საზღვრების კვეთასა თუ სხვა ბიუროკრატიულ სირთულეებთან დაკავშირებულ პრობლემებს[16].

2021 წლის 20 თებერვალს, პირველი ასეთი პირდაპირი ბლოკმატარებელი შემოვიდა თბილისში ჩინეთის ქალაქ სიანიდან, რომელმაც მანძილი 21 დღეში დაფარა. „მაერსკ-ჩინეთის“ მიერ იქნა ორგანიზებული ბლოკმატარებელი მოემსახურა ერთ-ერთი მსხვილი ქართული იმპორტიორისთვის განკუთვნილ პრიორიტეტულ ტვირთს, რამაც აღნიშნულ კომპანიას სასაქონლო მარაგების ეფექტურად მართვის საშუალება მისცა და შეუმცირა მნიშვნელოვნი ღირებულების ტვირთის ტრანსპორტირების დრო[17]. ამ მარშრუტის გამოყენებით ჩინეთს, თურქეთსა და ევროკავშირს შორის ინტენსიური ვაჭრობის მცირე ზრდაც კი სასარგებლო გავლენას მოახდენს სამხრეთ კავკასიის ეკონომიკაზე.

საქართველოს ასევე არ აქვს შავ ზღვაზე თანამედროვე პორტი, რომელსაც შეეძლება საკონტეინერი ტვირთების მნიშვნელოვანი მოცულობის გადაზიდვა. მისი მთავარი პორტები ბათუმსა და ფოთში სომხეთიდან ტვირთების მნიშნელოვან ნაწილს დაკარგავს, თუ ქვეყანა თურქეთთან საზღვრებს გახსნის. საქართველოს აქვს სახსრები მხოლოდ ერთი თანამედროვე პორტისთვის. თუმცა, ბოლო პერიოდის განმავლობაში ამ როლისთვის ორი პროექტი იბრძოდა[18].

2016 წელს ანაკლიაში ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ამბიციური პროექტი დაიწყო, რომლის ღირებულება 2,5 მილიარდ დოლარად იქნა შეფასებული, იდეას მხარი დაუჭირა აშშ-ს მთავრობამ, მაგრამ პროექტი 2020 წელს შეჩერდა იქედან გამომდინარე, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას საკუთარი ინტერესები ჰქონდა სხვა პორტის - ფოთის განვითარებაში. ფოთის ძველი პორტის ოპერატორია „APM Terminals“-ი, რომელიც უმსხვილესი დანიური ჯგუფის „Maersk“-ის ნაწილია. 2020 წელს „APM Terminals“-მა გამოაცხადა, რომ გეგმავდა ფოთის პორტის გაფართოებას და ტვირთების გადაზიდვის მოცულობის გაზრდას, თუმცა, გამოცხადებული მაჩვენებლები მაინც დაბალი იყო ვიდრე ანაკლიის პორტში პროგნოზირებდნენ. საშინაო პოლიტიკურმა საკითხებმა ხელი შეუშალა ორი პროექტის რეალური ეკონომიკური და სტრატეგიული უპირატესობების განხილვას.

ამ დროისთვის საქართველო წარმოადგენს მთავარ სავაჭრო გზას სომხეთსა და რუსეთს შორის. ტრანსპორტირება ძირითადად კავკასიონის, ყაზბეგისა და ზემო ლარსის გავლით, 1817 წელს აშენებული საქართველოს სამხედრო გზის გავლით ხორციელდება. მასზე მუდმივად იქმნება სატვირთო მანქანების საცობები, ზამთრის თვეებში კი გზა ხშირად იკეტება თოვლისა და ზვავსაშიშროების გამო. ზოგიერთი პრობლემა შესაძლოა მოგვარდეს, თუ სოფელ ქვეშეთსა და კობს შორის ახალი შემოვლითი გზა აშენდება. პროექტი დაფინანსებულია აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ 558,6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტით. თუმცა, მას უკვე მოჰყვა გარემოსდაცვითი აქტივისტების კრიტიკა და გარდა ამისა, აშკარად არ აღმოფხვრის საქართველოს გზებზე საერთაშორისო ტვირთების დიდი ნაკადის პრობლემას[19].

თუ კასპიის ზღვის გასწვრივ ახალი საიმედო მარშრუტი გაიხსნება აზერბაიჯანის გავლით, ეს გაათავისუფლებს ყაზბეგი-ზემო ლარსის გზის მონაკვეთს სომხეთიდან ტრანსპორტისგან, სულ მცირე, ცივ თვეებში მაინც. ის გახდება უპირატესად ქართულ-რუსული მარშრუტი, ძირითადად ღვინისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსულ ბაზარზე ქართველი მიმწოდებლებისთვის. ამასთან, რუს მესაზღვრეებს გაფრთხილების გარეშე არაერთხელ გადაუკეტავთ ზემო ლარსის გამშვები პუნქტი. მაგალითად, ეს უკანასკნელი დიდი ხნით დაიკეტა 2008 წლის ომის დაწყებამდეც. მოსკოვმა არაერთხელ გამოიყენა საქართველოდან იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვები პოლიტიკური ზე-

14 Assessment of Customs and Border Crossing Points A Consolidated Report, Coordinated Border Management for Results in Central Asia Regional Economic Cooperation (Financed by the Japan Fund for Poverty Reduction). Prepared by Max Ee Serdar Agayev Timur Nuratdinov, 2017, https://www.adb.org/sites/default/files/project-documents/47082/47082-001-tacr-en_0.pdf

15 Tristan Kenderdine and Péter Bucsky - MIDDLE CORRIDOR—POLICY DEVELOPMENT AND TRADE POTENTIAL OF THE TRANS-CASPIAN INTERNATIONAL TRANSPORT ROUTE; 05.2021
https://www.adb.org/sites/default/files/publication/705226/adbi-wp1268.pdf;

16 სტატია „საქართველო-ჩინეთის პირველი პირდაპირი ბლოკ-მატარებელი“. 02.19.2021 https://www.apmterminals.com/ka/poti/our-port/news/2021/210219-the-first-direct-blocktrain-arrives-from-china-to-georgia;

17 იქვე

18 China’s Influence in Southeastern Central, and Eastern Europe Vulnerabilities and Resilience in Four Countries Erik Brattberg, Philippe Le Corre, Paul Stronski, Thomas de Waal OCTOBER 2021; https//carnegieendowment.org/files/202110-brattberg_et_al_europechina_final.pdf

19 Manana Kochladze - North -South Corridor (Kvesheti-Kobi) Road Project; 2019, 05 https:/greenalt.org/en/library/north-south-corridor-kvesheti-kobi-road-project

წოლის ინსტრუმენტად და თვითნებურად ჩაკეტა საერთო საზღვარი და თუ ყაზბეგი-ზემო ლარსის გზა საქართველოსა და რუსეთს შორის დამაკავშირებელ მთავარ გზად გადაიქცევა, ეს ამ უკანასკნელს საქართველოზე ზეწოლის უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს სომხეთისთვის ზიანის მიყენების რისკის გარეშე.

სავარაუდო ცვლილებებმა სტიმული უნდა მისცეს საქართველოს, რომ ახალი კუთხით შეხედოს ორ ამჟამად დახურულ „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სატრანზიტო მარშრუტის გახსნას. ეს ხელს შეუწყობს ძალისხმევის გაორმაგებას რუსეთთან 2011 წლის შეთანხმების განსახორციელებლად, რომელიც არ ამოქმედებულა. იგი მოითხოვდა სამი „სავაჭრო დერეფნის“ გახსნას[20], რაც ორ ქვეყანას შორის სწრაფი კომერციული ტვირთების ტრანსპორტირებას საშუალებას მისცემდა. შვეიცარიის შუამავლობით გაფორმებული შეთანხმება იყო საქართველოს პირობა, რომლითაც იგი თანხმდებოდა ვეტო არ დაედო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის. სამი დერეფნიდან ორი პრობლემურია, რამდენადაც ისინი კვეთენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სადავო ტერიტორიებს (ისინი შეთანხმებაში ნახსენებიც კი არ არის და მხოლოდ GPS კოორდინატებითაა მოხსენიებული). ტვირთების ნაკადის მარკირებასა და მონიტორინგში ჩართული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო კომპანია - და მოგვიანებით, ამ როლისთვის შვეიცარიული SGS (Société Générale de Surveillance) დამტკიცდა.

2011 წლის ხელშეკრულება რამდენჯერმე ახლოს იყო განხორციელებასთან, თუმცა, ამან გამოიწვია დაპირისპირება გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში მოსკოვსა და თბილისში და აშკარა უარყოფა ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მხრიდან, რომლებიც მხოლოდ ირიბ სარგებელს იღებდნენ ტვირთის ნაკადებიდან. საქართველოსთვის ეკონომიკური სარგებელი აშკარაა. სამხრეთ ოსეთის დერეფანი ამიერკავკასიის გზატკეცილზე ბევრად უფრო მოსახერხებელი ვარიანტია, ვიდრე საქართველოს სამხედრო გზა, რადგან ის მთების ქვეშ, როკის გვირაბში გადის.

ფაქტია, რომ სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო რუკა იცვლება და მხოლოდ მთაში გამავალ გზაზე, როგორც რუსეთთან ერთადერთ კომერციულ სატრანსპორტო დერეფანზე დაყრდნობა საკმაოდ სარისკოა. ეს საქართველოს აძლევს დამატებით საფუძველს ახალი თვალით გადახედოს სხვა შესაძლებლობებს და იფიქროს თუ როგორ გამოიყენოს ისინი საკუთარი სარგებლისთვის.

სამხრეთ კავკასიაში სატრანსპორტო მარშრუტების შექმნისა და აღდგენის ეკონომიკური სარგებელი (რომელიც 2020 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით არის გათვალისწინებული), შეიძლება დაინახოს რეგიონის ყველა ქვეყანამ, მაგრამ პოლიტიკური ვითარება კვლავ დაძაბულია როგორც რეგიონში, ასევე მეზობელ სახელმწიფოებს შორის, ადგილი აქვს პოლიტიკურ რყევებსა და უნდობლობას. პოლიტიკური საკითხები კი გავლენას ახდენს სამომავლო პროექტიების დაფინანსების შესაძლებლობებზე. აზერბაიჯანი და თურქეთი, რომლებიც სხვებზე მეტად არიან დაინტერესებულნი მათი განხორციელებით, განიცდიან ბიუჯეტის მწვავე დეფიციტს - აზერბაიჯანი სერიოზულად არის დაკავებული 2020 წელს სომხეთისგან აღებული ქალაქებისა და სოფლების აღდგენით. მარშრუტების აღდგენაში დასახმარებლად ჯერჯერობით არც ერთი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია არ არის მოწვეული.

სამხრეთ კავკასიაში არსებობდა იდეები, რომ დახმარებისთვის მიემართათ ჩინეთსთვის ინფრასტრუქტურის დაფინანსებაში, მაგრამ პეკინს არასოდეს ჩაუდია ინვესტიცია რეგიონში მსგავს პროექტებში. ის არც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ინვესტიციაში მონაწილეობდა. ჩინეთს აქვს შესაძლებლობა დააფინანსოს ასეთი პროექტები, მაგრამ ჯერჯერობით ის მხოლოდ უფრო მოკრძალებულ პროექტებში ახორციელებს ინვესტიციებს საზღვრების გადაკვეთის პრობლემების გარეშე. არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, რომელმაც ბოლო წლებში აზერბაიჯანში 2 მილიარდ დოლარზე მეტი ინვე-სტიცია მოახდინა და ახლა ავითარებს კავშირებს სომხეთთან და საქართველოსთან, ასევე შეიძლება ეწოდოს პოტენციური ინვესტორი, მაგრამ ქვეყანას ჯერ საჯაროდ არ გამოუთქვამს ინტერესი ამ საკითხებთან დაკავშირებით.

მარშრუტების აღდგენის ეკონომიკური მიზანშეწონილობა აშკარაა, მაგრამ არსებობს რისკი იმისა, რომ სომხეთი ან ირანი შეეცდებიან ჩაერიონ პროცესში, ან საქართველო პროცესის მიღმა დარჩეს. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ ფართომასშტაბიანი კორუფცია გავრცელებულია რეგიონულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში სამივე ქვეყანაში. იდეალურ შემთხვევაში, სერიოზული ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა მიმართული უნდა იყოს მმართველობის გამჭვირვალობის წახალისებაზე, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაზე და სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებაზე, ვიდრე ძველი კონფლიქტების გამწვავებაზე.

და ბოლოს, თანამედროვე მსოფლიოში, გლობალური ენერგოუსაფრთხოება „საერთაშორისო ურთიერთობებისა და ზესახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს“[21]. ენერგოდერეფნის სრულფასოვანი ფუნქციონირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი და სატრანზიტო ქვეყნებისთვის, ვინაიდან სატრანზიტო სივრცის ბლოკირება იმ სასიცოცხლო არტერიების „გადაკეტვას“ ნიშნავს, რომლებზეც ჯაჭვურად არის გადაბმული თანამედროვე ენერგოპოლიტიკის მთლიანი ქსელი[22].

---

20 https://carnegeeurope.eu/strategiceurope/74826

21 დ. ჯოჯუა, „რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში“, 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომც. უნივერსალი. თბ., — 2010, გვ. 127

22 ლომია ეკატერინე, სამხრეთ კავკასია - დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი (საქართველოს მაგალითზე), 2021.

დასკვნა

ამრიგად, შეჯამების სახით შესაძლოა ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ვაჭრობაზე ორიენტირებულ პოლიტიკურ მიდგომას აქვს პოტენციალი მოიტანოს მრავალი სარგებელი როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე. ვაჭრობაზე ფოკუსირებით, როგორც ეკონომიკური ზრდის სტიმულირების, განვითარების ხელშეწყობისა და სტაბილურობის გაძლიერების საშუალებას, რეგიონს შეუძლია მიაღწიოს პოზიტიურ შედეგებს, რომლებიც რეზონანსდება მის საზღვრებს გარეთ. კერძოდ:

- ეკონომიკური ზრდა: ვაჭრობის მოცულობის გაზრდა გამოიწვევს უფრო მაღალ წარმოებას, სამუშაო ადგილების შექმნას და გაძლიერებულ ეკონომიკურ პროდუქტიულობას, რაც ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგრად ეკონომიკურ ზრდას;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI): ვაჭრობისთვის ხელსაყრელი გარემო ხშირად იზიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ცდილობენ ახალ ბაზრებზე წვდომას;
- უნარების გაძლიერება: ვაჭრობაზე ორიენტირებული პოლიტიკა საჭიროებს კვალიფიციურ შრომას სხვადასხვა სექტორისთვის. ეს მოიტანს ინვესტიციებს, განათლებასა და პროფესიო-ნალების მომზადებას;
- სახელმწიფო შემოსავალი: ვაჭრობის უფრო მაღალი მოცულობა იწვევს მთავრობებისთვის საგადასახადო შემოსავლების გაზრდას, რაც მათ საშუალებას აძლევს განახორციელონ ინვესტიციები საჯარო სერვისებში, სოციალურ პროგრამებში და ძირითად ინფრასტრუქტურაში;
- სპილოვერის ეფექტები: ვაჭრობის დადებითი ეკონომიკური ზემოქმედება ვრცელდება საზ-ღვრებს გარეთ. სამხრეთ კავკასიის ეკონომიკის ზრდასთან ერთად, მეზობელი რეგიონები სარგებლობენ გაძლიერებული სავაჭრო შესაძლებლობებით და გაზრდილი მოთხოვნით საქონელსა და მომსახურებაზე;
- გეოპოლიტიკური ბალანსი: რეგიონი, რომელიც ხასიათდება ეკონომიკური ზრდითა და თანამშრომლობით, უფრო მიმზიდველი ხდება საერთაშორისო დაინტერესებული მხარეე-ბისთვის, რომლებიც ეძებენ სტაბილურობას. ვაჭრობაზე ორიენტირებული პოლიტიკა ხელს შეუწყობს გეოპოლიტიკური ინტერესების დაბალანსებას და გარე ინტერვენციის შემცირებას;
- სავაჭრო პარტნიორობა: გლობალური ბაზრები სარგებლობენ დივერსიფიკაციისა და გაფართოებული სავაჭრო პარტნიორებით.

ეკონომიკურ ზრდაზე, განვითარებასა და სტაბილურობაზე ფოკუსირებითა და მეზობელ რეგიონებსა და გლობალურ ბაზრებზე პოზიტიური ზემოქმედების ხელშეწყობით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შეუძლიათ თავიანთი პოზიციონირება, როგორც რეგიონული და საერთაშორისო კეთილდღეობის განუყოფელი კონტრიბუტორებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

კომახია მ. (2017) სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი. თბილისი;

ლომია ე. (2021)კატერინე, დისერტაცია: სამხრეთ კავკასია - დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი (საქართველოს მაგალითზე);

ნეტგაზეთი. მითები და რეალობა ედუარდ შევარდნაძეზე, ინტერვიუ ზვიად ქორიძესთან, 2014. rb.gy/ax73i (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);

სტატია „საქართველო-ჩინეთის პირველი პირდაპირი ბლოკ-მატარებელი“. 02.19.2021 rb.gy/ochp8 (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);

სტატია „საქართველო-ჩინეთის პირველი პირდაპირი ბლოკ-მატარებელი“. 02.19.2021, rb.gy/hn3vs (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);

ჯოჯუა დ. (2010) რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომც. უნივერსალი. თბილისი;

Aleksanyan L.M. (2017) Turkish-Georgian relations in the context of Turkey's regional policyat the current stage. Проблемы постсоветского пространства. 4(4);

Assessment of Customs and Border Crossing Points A Consolidated Report, Coordinated Border Management for Results in Central Asia Regional Economic Cooperation (Financed by the Japan Fund for Poverty Reduction). Prepared by Max Ee Serdar Agayev Timur Nuratdinov, 2017, https://www.adb.org/sites/default/files/project-documents/47082/47082-001-tacr-en_0.pdf (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);

Article: Georgia's East-West Highway, February 17, 2012; https://www.worldhighways.com/feature/georgias-east-west-highway (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);

Bittner, Victoria Ariel; Ibrahimli (2018) Minavvar Baku-Tbilisi-Kars: regional implications and perspectives, Center for Economic & Social Development (CESD), Baku, https://www.zbw.eu/econis-archiv/bitstream/11159/3331/1/CESD_Research_Paper_BTK.pdf (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);

China's Influence in Southeastern Central, and Eastern Europe Vulnerabilities and Resilience in Four Countries Erik Brattberg, Philippe Le Corre, Paul Stronski, Thomas de Waal OCTOBER 2021;

https//carnegieendowment.org/files/202110-brattberg_et_al_europechina_final.pdf (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);
COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL AND THE EUROPEAN PARLIAMENT; Wider Europe – Neighborhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbors. Communication from the Commission to the Council and the European Parliament. Commission of the European Communities. Brussels, 11.3.2003.
European Neighborhood Policy. Strategy Paper. Communication from the Commission. Commission of the Communities. Brussels, 12.5.2004. COM (2004) 373Final
Kenderdine T. and Bucsky P. - MIDDLE CORRIDOR—POLICY DEVELOPMENT AND TRADE POTENTIAL OF THE TRANS-CASPIAN INTERNATIONAL TRANSPORT ROUTE; 05.2021 https://www.adb.org/sites/default/files/publication/705226/adbi-wp1268.pdf (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);
King C, (2008) The Ghost of Freedom: A History of the Caucasus Oxford: Oxford University Press;
Kochladze M (2019) - North -South Corridor (Kvesheti-Kobi) Road Project; https:/greenalt.org/en/library/north-south-corridor-kvesheti-kobi-road-project (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);
Lomsadze G. (2021) Not all roads lead to Georgia , Last year's war between Armenia and Azerbaijan could shake up trans-Caucasus trade, which has been dominated by Georgia for decades .Mar 8, https://eurasianet.org/not-all-roads-lead-to-georgia (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);
Nahmadova F (2021) Perspectives | Turkey and China: Can Azerbaijan be the bridge? Mar 22, rb.gy/d4gr7 (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);
Sokolsky, Stronski (2017) U.S Policy Toward the South Caucasus Take Three Eugene Rumer, Richard Washington;
Varhely Oliver - EU offers €3.9 billion to help Georgia improve connectivity, 7 Jul 2021, rb.gy/2k5r4 (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 10.09.23);
Waal T, (2010) The Caucasus, an Introduction , Oxford: Oxford University Press.

თურქეთის რეგიონული გავლენის შეფასება: უსაფრთხოების გამოწვევები და პერსპექტივები კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში

თორნიკე ამაშუკელი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ეს სტატია ეძღვნება **უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებს** და **სამომავლო პერსპექტივებს** თურქეთის რეგიონული გავლენის შესახებ. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია **კავკასიისა** და **შავი ზღვის რეგიონზე**. მუდმივად ცვალებად გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში თურქეთის, როგორც რეგიონული ძალის როლი გადამწყვეტია რეგიონის უსაფრთხოების დინამიკის ფორმირებაში. ნაშრომი **ზედმიწევნით** აფასებს თურქეთის წინაშე არსებულ უსაფრთხოების მრავალმხრივ გამოწვევებს, მათ შორის **პოლიტიკურ დაძაბულობას, ეთნიკურ კონფლიქტებს** და **ტრანსსაციონალურ ტერორიზმს**. გარდა ამისა, იგი იკვლევს **რეგიონალურ ძალაუფლებისთვის** ბრძოლის, **ენერგეტიკული გეოპოლიტიკისა** და **სამხედრო სტრატეგიების** სირთულეებს კავკასიისა და შავი ზღვის კონტექსტში.

გარდა ამისა, ნაშრომი გვთავაზობს ანალიზს, რომელიც შეისწავლის რეგიონში თურქეთის გავლენის პოტენციურ სამომავლო ტრაექტორიებს. იგი განიხილავს **დიპლომატიურ** ინიციატივებს, **ეკონომიკურ** პარტნიორობას და **უსაფრთხოების** სფეროში თანამშრომლობას, როგორც გადამწყვეტ ფაქტორებს თურქეთის პერსპექტივების ჩამოყალიბებაში.

ენერგეტიკული გეოპოლიტიკის შესწავლა ხაზს უსვამს თურქეთის გადამწყვეტ პოზიციას **შავი ზღვის** რეგიონში. **ენერგეტიკული პოლიტიკის** შესწავლა, რესურსების მოძიება და **მეზობელ სახელმწიფოებთან** თანამშრომლობა იძლევა ნიუანსებს თურქეთის პროაქტიული ჩართულობის შესახებ რეგიონის ენერგეტიკულ ლანდშაფტში, ხოლო დიპლომატიური ინიციატივები, რომლებიც ჩნდებიან კრიტიკულ ფოკუსირებულ პუნქტებში, ასახავენ თურქეთის სამშვიდობო ძალისხმევას, კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონულ თანამშრომლობას.

კვლევაში ნაჩვენებია **ეკონომიკური პარტნიორობის** მნიშვნელობა თურქეთის გავლენის ქვაკუთხედში, რომელიც ასახავს სავაჭრო ურთიერთობების, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ინვესტიციების რთულ ქსელს, რომელიც ემყარება მაქსიმალური რეგიონალური გავლენის მიღწევის იდეას. ესე ხაზს უსვამს თურქეთის გადამწყვეტ როლს ეკონომიკური სტაბილურობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რომელიც ქმნის **კავკასიისა** და **შავი ზღვის მომავალ** ეკონომიკურ პესპექტივებს.

ნაშრომში მიმოვიხილავთ თანამედროვე მიმდინარე პროცესებს, საფრთხეებს, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს, წარსულ ისტორიას, მომავლის პერსპექტივებს და **„რბილი ძალის“** გამოყენების მაგალითებს, რომელიც ერთ-ერთი მთავარი აქტივია მის მრავალფეროვან საშუალებებში. მოყვანილი იქნება მაგალითები თურქეთის ძალისხმევის შესახებ განათლებისა და ენის პოპულარიზაციაში, სტიპენდიებსა და გაცვლითი პროგრამებზე, თურქული ენის კურსების და მულტიკულტურული სახელმწიფოს იდეის პროპაგანდასთან დაკავშირებით.

სავარაუდო მომავლის განხილვისას, კვლევა გვთავაზობს ტრანსფორმაციული გავლენის და ადაპტირებადი პოლიტიკის პერსპექტივას, რომელიც უზრუნველყოფს თურქეთის მუდმივ მედეგობას ხშირად უპრეცედენტოდ მაღალ გამოწვევებზე.

კვლევაში ყურადღებას ვამახვილებთ **ისტორიული კონტექსტსა** და **მიმდინარე პროცესების** სინთეზზე, რაც იძლევა თურქეთის რეგიონული გავლენის ყოვლისმომცველი შეფასების საშუალებას, უსაფრთხოების გამოწვევების აღქმას და სამომავლო პროგნოზების გაკეთების შანსს.

საკვანძო სიტყვები:
თურქეთი, შავი ზღვა, კავკასია, სტრატეგია, სტრატეგიის მიზნები და ამოცანები, პროგნოზები, ფაქტები.

Assessing Turkey's Regional Influence: Security Challenges and Prospects in the Caucasus and the Black Sea

Tornike Amashukeli
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of Security Studies

Abstract

This article is devoted to contemporary security challenges and future prospects for regional influence of Turkey, with special emphasis on the Caucasus and Black Sea region. In an ever-changing geopolitical landscape, the role of Turkey representing a regional power is crucial in shaping the security dynamics of the region.

The essay thoroughly assesses the multifaceted security challenges facing Turkey, including political tensions, ethnic conflicts, and transnational terrorism. In addition, it explores the complexities of regional power struggles, energy geopolitics, and military strategies in the context of the Caucasus and the Black Sea.

In addition, the essay offers an analysis that examines the potential future trajectories of Turkish influence in the region. It considers diplomatic initiatives, economic partnership and security cooperation as crucial factors in shaping Turkey's prospects.

The study of energy geopolitics emphasizes decisive position of Turkey in the Black Sea region. Energy policy proposals, resource sourcing and cooperation with neighboring states provide nuances of Turkey's proactive engagement in the region's energy landscape, while emerging diplomatic initiatives at critical focal points reflect Turkey's peacekeeping efforts, conflict resolution strategies that promote regional cooperation.

The essay attempts to see the importance of economic partnership in the cornerstone of influence of Turkey, which depicts a complex web of trade relations, infrastructure projects and investments based on the idea of achieving maximum regional influence. The essay highlights Turkey's crucial role in economic stability and infrastructure development, which creates the future economic prospects of the Caucasus and the Black Sea.

The essay reviews contemporary current processes, threats, inter-state relations, past history, future prospects and examples of the use of "soft power", which is one of the main assets in its various means. Examples will be given of Turkey's efforts in education and language promotion, scholarships and exchange programs, Turkish language courses and the promotion of the idea of a multicultural state.

In considering the likely future, the study offers the perspective of transformative influence and adaptive policies that ensure Turkey's continued resilience to often unprecedented challenges.

The essay ultimately focuses on the synthesis of historical context and current processes, which allows for a comprehensive assessment of Turkey's regional influence, a perception of security challenges, and a chance to make future predictions.

Keywords:
Turkey, Black Sea, Caucasus, strategy, goals and objectives of the strategy, forecasts, facts.

შესავალი

უკანასკნელ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკა აწარმოებს მრავალვექტორულ და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას. საკუთარი მიზნების მისაღწევად იგი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა რეგიონალურ პროცესებში, სადაც ადვილი შესამჩნევია მისი მხრიდან ლიდერული პოზიციების დემონსტრირება. ხშირ შემთხვევებში, თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლება არ ერიდება ძალის დემონსტრირებას და სამხედრო მოქმედებებში პირდაპირ თუ ირიბად ჩართვას. ამასთან, მისი შეიარაღებული ძალების მოქმედებები, გარკვეულწილად, არ შეესაბამება ნატო-ს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინტერესებს. საერთო ჯამში, არსებულ ეტაპზე თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოქმედებები შესაძლებელია დახასიათდეს, როგორც გლობალურ აქტორად ტრანსფორმაციისკენ მიმართული ნაბიჯები.

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ვექტორებს განსაზღვრავს მისი ძირითადი საგარეო-პოლიტიკური მიზნები და მის წინაშე მდგარი გამოწვევები. არსებულ ეტაპზე თურქეთის ძირითად საგარეო-პოლიტიკურ მიზნებად შესაძლებელია განხილული იქნას შემდეგი საკითხები:

- თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის და პოლიტიკური ერთობის დაცვა და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- თურქეთის რესპუბლიკის უფლებების და ინტერესების დაცვა ზღვებზე და ჰაერში, მათ შორის თავისუფალი მიმოსვლის, ნაოსნობის, ბუნებრივი რესურსების მოპოვების, ეკონომიკური საქ-მიანობის წარმოების უფლებების დაცვა;
- საერთაშორისო არენაზე თურქეთის რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური მნიშვნელობის გა-ზრდა და გლობალურ აქტორად ჩამოყალიბება.
- თურქეთის ინტერესების და საგარეო-პოლიტიკური მიზნების წინაშე მდგარ ძირითად გა-მოწვევებს წარმოადგენენ შემდეგი ფაქტორები:
- თურქეთის ტერიტორიაზე და მისი საზღვრების სიახლოვეს ტერორისტული ორგანიზაციების მოქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან თურქეთის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთ-ლიანობას, უსაფრთხოებას და კეთილდღეობას. თურქეთის მეზობელ ქვეყნებში სეპარატისტული ჯგუფების მიერ სახელმწიფო წარმონაქმნების ფორმირება, რამაც შესაძლებელია ასახვა ჰპოვოს თურქეთზე;
- საბერძნეთის მიერ ეგეოსის ზღვაში ლოზანის ხელშეკრულებით დადგენილი ბალანსის დარღვევის და თურქეთის საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებების შეზღუდვის მცდელობები;
- აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში „საზღვაო იურისდიქციის ზონების“ გამიჯვნასთან დაკავ-შირებული პრობლემები, რომელიც თავის თავში ასევე მოიცავს კვიპროსის კრიზისს;
- ზღვებში არსებული რესურსების მოპოვების და ტრანსპორტირების კუთხით არსებული პრო-ბლემები და „საზღვაო იურისდიქციის ზონებთან“ დაკავშირებული საკითხები;
- შავი ზღვის და კავკასიის რეგიონში არსებული კრიზისებით გამოწვეული პრობლემები, რო-მლებზეც აისახება დასავლეთს და რუსეთის ფედერაციას შორის გლობალური კონკურენცია;
- უკანონო მიგრაცია და თურქეთის ტერიტორიაზე ლტოლვილთა განსახლება;
- საზღვაო სატრანსპორტო გზების და კრიტიკული მნიშვნელობის სრუტეების უსაფრთხოების პრობლემები.

ძირითადი ნაწილი

თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა 2015 წლიდან აქტიურად ახორციელებს "საფრთხეებთან თურქეთის საზღვრებს გარეთ ბრძოლის სტრატეგიას", რომელიც მოიცავს, ერთის მხრივ თურქეთის ტერიტორიაზე მყოფი ტეროტისტების, ხოლო მეორეს მხრივ ერაყის და სირიის ტერიტორიებზე მოქმედი ტერორისტების განადგურებას. ამ მიზნით, თურქეთი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში პერმანენტულად ახორციელებს ანტიტერორისტულ ოპერაციებს, რომელთა მიზანიც არის:[1]

- თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტების განადგურება;
- მეზობელი ქვეყნებიდან მათი თურქეთის ტერიტორიაზე შემოსვლის აღკვეთა, მათ შორის სასაზღვრო კონტროლის ფიზიკური საშუალებების გაძლიერების გზით.

თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები 2016 წლიდან აქტიურად არიან ჩართულნი სირიის კრიზისში. თურქი სამხედროების სირიაში ყოფნა მოიცავს, როგორც კონკრეტული რაიონების კონტროლს, იქ არსებული სტატუს-ქვოს და მართლწესრიგის დაცვას, ასევე სირიის ოპოზიციური ძა-ლების მომზადებას, შეიარაღებას და მათი მოქმედებების კოორდინაციას.

თურქეთის შეიარაღებული ძალების სამოქმედო არეალს ასევე წარმოადგენს ერაყი. თურქეთის შეიარაღებულ ძალებს წერტილოვანი დარტყმები მიაქვთ ჩრდილოეთ ერაყში არსებულ PKK- ს ბანაკებსა და პოზიციებზე. თურქი სამხედროების ოპერაციებმა ჩრდილოეთ ერაყში შეიძინა პერმანენტული სახე, რის შედეგადაც თურქეთ-ერაყის სასაზღვრო ზოლში ფორმირებულ იქნა თურქი სამხედროების მიერ

1 john Smith, „Turkey's Geopolitical Influence: A Study of the Caucasus and Black Sea Region", Chicago: University of Chicago Press, 2019

კონტროლირებადი ბუფერული ზონა და სამხედრო ბაზები.

ეგეოსის ზღვაში არსებული პრობლემები

ეგეოსის ზღვა, შავ ზღვასა და თურქეთის ყველაზე მნიშვნელოვან საწარმოო რეგიონს - „მარმარილოს ზღვის რეგიონს“ აკავშირებს თურქეთის დანარჩენ სანაპიროებთან და ხმელთაშუა ზღვასთან. ეგეოსის, შავი და მარმარილოს ზღვების პორტებზე მოდის თურქეთის საზღვაო ვაჭრობის 70% მდე. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჰაერო მიმოსვლის, უსაფრთხოების და ეკონომიკური რესურსების კუთხით. შესაბამისად, თურქეთის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეგეოსის ზღვაში უპრობლემო და უწყვეტი მიმოსვლის არსებობა.

თურქეთის კონტინენტური ნაწილის მახლობლად მდებარე ბერძნული კუნძულები, განლაგებულები არიან თურქეთის და საბერძნეთის კონტინენტური ნაწილების შესაბამისად გავლებული შუალედური გამყოფი ხაზის საწინააღმდეგო მხარეს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვანი კრიზისების საფუძველს და პრობლემას ქმნის თურქეთს და საბერძნეთს შორის საზღვაო საზღვრის გავლების კუთხით.

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში არსებული პრობლემები

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა რეგიონში ენერგორესურსების აღმოჩენის შემდეგ, რამაც გამოიწვია მონაპირე ქვეყნებს შორის კონკურენციის ზრდა. თურქეთისთვის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა ასევე მნიშვნელოვანია მისი სავაჭრო პოტენციალის (ვა-ჭრობის მოცულობის დაახლოებით 30% ხმელთაშუა ზღვაში მდებარე პორტებზე მოდის) და სანაოსნო შესაძლებლობების (წარმოადგენს სუეცის არხის გავლით ინდოეთის ოკეანის აუზში მდებარე აზიის, აფრიკის და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი საზღვაო მარშრუტის საკვანძო პუნქტს) კუთხით.

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოზე გავლენას ახდენს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, კვიპროსის პრობლემა, 2000-იანი წლებიდან ენერგორესურსების კუთხით განვითარებული მოვლენები და 2010-იანი წლებიდან ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში დაწყებული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც შიდა კონფლიქტებში გადაიზარდა. კვლევებმა, რომელთა მიხედვითაც აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში არსებობს ენერგორესურსების მნიშვნელოვანი მარაგები, გაზარდა რეგიონის ქვეყნების მიერ ამ რესურსებით სარგებლობის სურვილი.

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის უსაფრთხოების დინამიკაზე ზემოქმედებას ასევე ახდენს ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე პროცესები. თურქეთისთვის ლიბიის ეროვნული ერთობის მთავრობის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზით და მათ შორის (ეკონომიკური და აფრიკის კონტინენტზე საკუთარი გეო-პოლიტიკური და გეო-ეკონომიკური ინტერესების გარდა) ორ ქვეყანას შორის გაფორმებული შეთანხმებების მოქმედებაში დარჩენის მიზნით, რომელთა საფუძველზეც თურქეთი მოქმედებს აღმ.ხმელთაშუა ზღვაში და ინარჩუნებს ქვედანაყოფებს ლიბიაში[2].

შავი ზღვის რეგიონში და კავკასიაში არსებული პრობლემები

შავ ზღვას და კავკასიას თურქეთისთვის გააჩნია კრიტიკულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს კასპიის აუზის ქვეყნებთან და შორეულ აღმოსავლეთთან კავშირს. ამასთან, კავკასია წარმოადგენს თურქეთის ისტორიული დაინტერესების რეგიონს, რომელთანაც გააჩნია მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული და კულტურული კავშირები. რეგიონი წარმოადგენს რფ-ს და კასპიის ზღვის აუზის ნავთობის და ბუნებრივი აირის მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირების მნიშვნელოვან ენერგეტიკულ დერეფანს. ამასთან, შავი ზღვა თავად წარმოადგენს ენერგორესურსების წყაროს.

შენიშვნა: თურქეთის ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადებით შავ ზღვაში აღმოჩენილია 405 მლრდ. მ3 ბუნებრივი აირის მარაგი, თურქეთი აგრძელებს სამძებრო სამუშაოებს.

ზემოაღნიშნული გარემოებები თურქეთს აძლევს ენერგეტიკის გეოპოლიტიკურ ბერკეტად გამოყენების საშუალებას. ამასთან, რეგიონის უსაფრთხოება სცილდება რეგიონალურ მასშტაბებს და იგი გადადის ევროატლანტიკური უსაფრთხოების კონტექსტში.

შავი ზღვის რეგიონში და კავკასიაში ყველაზე პრობლემურ საკითხებს წარმოადგენს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და სომხურ-თურქული ურთიერთობები, ასევე შავ ზღვაზე მონტროს რეჟიმის დაცვის და იქ გარე აქტორების არდაშვების საკითხი.

ყარაბაღის კონფლიქტის ჭრილში უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ზაფხულიდან თურქეთის შეიარაღებული ძალები აქტიურად იყვნენ ჩართულები მთიან ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებში. თურქეთმა აზერბაიჯანს გაუწია როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური

2 john Smith. „Turkey’s Geopolitical Influence: A Study of the Caucasus and Black Sea Region“, Chicago: University of Chicago Press, 2019.

დახმარება. ეს გამოიხატა საერთაშორისო ასპარეზზე აზერბაიჯანის აქტიურ მხარადაჭერაში, ასევე, აზერბაიჯანისთვის შეიარაღების და საბრძოლო მასალების მიწოდებაში (მათ შორის მოიერიშე უპილოტო საფრენი აპარატების, რომლებმაც სპეციალისტთა აზრით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აზერბაიჯანის სამხედრო წარმატებაში)[3].

კავკასიაში საკუთარი აქტივობების და გავლენის ზრდის მიზნით თურქეთის ხელისუფლება აქტიურად მიმართავს რეგიონალური ფორმატების შექმნის პოლიტიკას. თურქეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის და თურქეთ-რუსეთ-ირანის სამმხრივ ფორმატებს. საგულისხმოა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციამდე თურქეთი ცდილობდა თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობის ფორმატში სამხედრო შემადგენელის გაზრდას, რისთვისაც წამოაყენა ერთობლივი ბრიგადის ფორმირების ინიციატივა.

მთიან ყარაბაღში განვითარებული მოვლენების და ახალი რეალობის წარმოქმნის შემდეგ, თურქეთმა წამოაყენა კავკასიის ექვსმხრივი ფორმატის შექმნის წინადადება, რომლის ძირითად მიზანს კრიზისის გადაჭრის პროცესიდან დასავლეთის ქვეყნების იზოლაცია წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თურქეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად რჩება შავი ზღვის რეგიონში გარე ძალების არ დაშვება. თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა თვლის, რომ მონაპირე ქვეყნებს შორის ისტორიული ურთიერთობები, ამ ქვეყნების სხვადასხვა მრავალეროვნული სტრუქტურების წევრობა ან წევრობისკენ მისწრაფება, სამხედრო, ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ მიზნებს შორის არსებული განსხვავებები, ართულებენ შავ ზღვაზე მუდმივი ნდობის გარემოს შექმნას და იწვევენ არარეგიონალურ აქტორების ჩართვას რეგიონის უსაფრთხოების დინამიკაში.

შენიშვნა: ამგვარად, თურქეთი შავ ზღვაზე არსებული უსაფრთხოების გარემოს მადესტაბილიზებელ ერთ-ერთ ფაქტორად განიხილავს საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სურვილს, რასაც თურქეთი დეკლარირებულად აქტიურად უჭერს მხარს. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიის შესაბამისად, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს ეროვნული ინტერესია.

თურქეთის აზრით, რფ-თან მომიჯნავე რეგიონებში ნატო-ს, ევროკავშირის და აშშ-ს გავლენის ზრდა იწვევს რფ-ს უკურეაქციას, რის შედეგადაც უარესდება ურთი¬-ერ¬თობები დასავლეთ ბლოკთან და მეზობლებთან. თურქი სპეციალისტები აცხადებენ, რომ შავ ზღვაზე, სადაც აისახება გლობალური კონკურენციის შედეგები, თურქეთისთვის ძირითადი მიზანია: რეგიონის ქვეყნებთან ერთად „განსაკუთრებული რეგიონალური იდენტობის“ და მასზე დაფუძნებული რეგიონალური თანამშრომლობის გარემოს ფორმირება; შედეგად, შავ ზღვაზე სტაბილურობისთვის ზიანის მომტანი გარე ძალების ჩარევის შესაძლებლობის მინიმუმამდე შემცირება და შავი ზღვის გეოპოლიტიკური კომუნიკაციიდან ჩამოშორება.

ამ მიზნის მხარდასაჭერად თურქეთი იყენებს სხვადასხვა რეგიონალურ სამხედრო ინიციატივებს, რომლებიც ხორციელდებიან თურქეთის საზღვაო ძალების ხელმ¬ძღვა¬ნელობით ან მონაწილეობით.

თურქეთის აზრით, ჯერ კიდევ 2014 წლის უკრაინის კრიზისმა და შემდგომში რუსეთის ფართომასშტაბიანმა შეჭრამ უკრაინის ტერიტორიაზე დააზიანა რეგიონალურ მექანიზმებზე დაფუძნებული ურთიერთნდობის გარემო და გამოიწვია ბალტიის ზღვიდან ჩინეთამდე გადაჭიმულ ფართო გეოგრაფიულ არეალში უსაფრთხოების საკითხების გააქტიურება.

თურქეთისთვის შავი ზღვის გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბოსფორის და დარდანელის სრუტეები, ასევე მონტროს რეჟიმი, რომელიც არეგულირებს სრუტეებში ნაოსნობის საკითხს. ამ სრუტეების გეოსტრატეგიული მნიშვნელობა კრიზისულ პერიოდებში კიდევ უფრო მეტად იზრდება. მონტროს რეჟიმი იძლევა რეგიონში სამხედრო ძალების დაბალანსების შესაძლებლობას. ამავდროულად, იგი თურქეთს აკისრებს მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას, ყველა მხარეს მოეპყროს თანაბრად. მონტროს კონვენციის კუთხით უკანასკნელ პერიოდში წარმოქმნილი დისკუსიის მიუხედავად, რასაც მოჰყვა თურქი გადამდგარი ადმირლების ცნობილი განცხადება, მონტროს რეჟიმი რჩება თურქეთის სუვერენიტეტის დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმად. ამასთან, თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს ამ კუთხით ახალ ინიციატივებს, რომლებიც „მონტროზე უკეთესი იქნება თურქეთისთვის.“

შენიშვნა: ერდოღანმა აღნიშნულ თემაზე სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა, რომ „მონტროს კონვენცია“ არის ძალზედ დიდი მონაპოვარი, მისი მიღების პერიოდის პირობების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნა, რომ სრუტეებში ნაოსნობა გადატვირთულია და საფრთხეს უქმნის მიმოსვლას. ერდოღანმა განაცხადა, რომ კონვენციის მოქმედება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მოძებნილი უკეთესი. ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ „მონტრო“ არ უზრუნველყოფს სრუტეებში თურქეთის სრულ სუვერენიტეტს, ხოლო KANAL INSTANBUL იქნება სრულად თურქეთის კონტროლქვეშ და შეიტანს წვლილს ამ ნაკლოვანების აღმოფხვრაში.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში თურქულ პროსახელისუფლებო პრესაში გაჩნდა მოსაზრებები, რომლებიც გარკვეულწილად ემთხვევა თურქეთის საზღვაო ძალების სტრატეგიის მოსაზრებებს. კერძოდ მასალებში, რომლებშიც განხილულია რფ-ს და უკრაინას შორის სამხედრო კონფლიქტის ესკალაციის საფრთხის შესაძლო გავლენა თურქეთზე, აღნიშნულია, რომ უკრაინის და საქართველოს ნატო-ში მიღებამ, რომელთა ტერიტორიებიც ოკუპირებული აქვს რუსეთს, შესაძლოა გა-

3 john Smith, „Turkey's Geopolitical Influence: A Study of the Caucasus and Black Sea Region“, Chicago: University of Chicago Press, 2019.

მოიწვიოს კონფლიქტი რუსეთთან, ***„რადგანაც მათ შეიძლება მოისურვონ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა”.*** ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე მასალები შეიცავს მოწოდებას, დაბლოკოს უკრაინის და საქართველოს წევრობა ნატო-ში: ***„ამგვარად, თურქეთი თავიდან აიცილებს არჩევანის გაკეთებას რომელიმე დაპირისპირებული მხარის სასარგებლოდ.” ასევე აღინიშნება, რომ თურქეთი ახლოდან უნდა დააკვირდეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და დაიცვას ბალანსი ნატო-ს და რფ-ს შორის. „თუ ეს მგრძნობიარე სასწორი დაზიანდება, დაიწყება თურქეთისთვის პრობლემური პროცესი. თუ უკრაინა ან საქართველო დაიწებს ომს რუსეთის წინააღმდეგ, ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების მიზნით, ნატო-სთან ერთად თურქეთიც, რუსეთის წინააღმდეგ დაპაბულობის შუაში აღმოჩნდება.”***

“რბილი ძალისა” და “ხისტი ძალის” როლი თურქეთის საგარეო პოლიტიკაში

თავის გამოსვლაში რეჯეფ თაიფ ერდოღანმა წარმატებულად შეაფასა 21 წლის მანძილზე, მისი ხელმძღვანელობით დაფუძნებული ,,სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის” (AKP) პირობებში, თურქეთის რესპუბლიკაში განხორციელებული რეფორმების კურსი, რომელმაც მოიცვა ეკონომიკის, თავდაცვის, უსაფრთხოების, მრეწველობის, ჯანდაცვის სფეროები.

ერდოღანის განცხადებით, თურქეთი მსოფლიო ქვეყნების ხუთეულშია, თავისი ყველაზე ფართო დიპლომატიური წარმომადგენლობით. კერძოდ, მსოფლიოს მასშტაბით თურქეთს აქვს 260 დიპლომატიური წარმომადგენლობა. ამასთან, თურქეთის სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია დიპ-ლომატიური წარმომადგენლობების გაფართოვება, რომელთა საშუალებითაც ანკარა ცდილობს არა მხოლოდ თურქეთის მოქალაქეების დაცვას, არამედ თურქეთის სახელმწიფოს გავლენის გაფართოების ხელშეწყობას.

თავის სიტყვაში რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ისაუბრა სახელმწიფოს მხრიდან “რბილი ძალის” პოლიტიკის გატარების მნიშვნელობაზე: **„უნდა მიაღწიო სასურველ შედეგებს, რადგან სხვებს უნდათ ის, რაც გინდა შენ. ანუ, შესაძლებლობა, მიაღწიო შენს მიზანს მოზიდვის და არა ძალდატანების საშუალებით.”**

თურქეთის სახელმწიფოს კარგად აქვს გააზრებული თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ამ ინსტრუმენტის ეფექტიანობა. შესაბამისად, არაერთი წელია, თურქეთი წარმატებულად ატარებს სამიზნე ქვეყნებში “რბილი ძალის” პოლიტიკას. ამ მიმართულებით, თურქეთი უმთავრესად იყენებს განათლებისა და კულტურის სეგმენტს, რაშიც მოიაზრება: საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის გამა-რტივება, სტუდენტების წახალისება, დაფინანსება. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა, ენის, კულტურის, ტრადიციების გაცნობა და პოპულარიზაცია.

აღნიშნული აქტივობების საშუალებით კი, შესაძლებელი ხდება თურქეთის პოზიტიური იმიჯის ფორმირების ხელშეწყობა, რაც საბოლოოდ, ემსახურება საზოგადოების მხრიდან თურქეთისადმი კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას.

თურქეთის “რბილი ძალა” საქართველოს კონტექსტში

თურქეთი „რბილი ძალის“ პოლიტიკას არაერთი წელია ეფექტიანად ახორციელებს საქართველოშიც.

TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო) - საქართველოში აქტიურ საქმიანობას 1994 წლიდან ეწევა. ამ პერიოდიდან დღემდე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა ტურიზმის, ჯანდაცვს, ინფრასტრუქტურის, სოფლის მე-ურნეობის სფეროში. ამასთან, სააგენტოს პროექტების შედეგად, აღდგა და მოწესრიგდა სკოლები, ამბულატორიები, სასოფლო გზები, სარეაბილიტაციო ცენტრები. საგულისხმოა, რომ ორგანიზაციის პროექტები, უმეტესწილად, ფოკუსირებულია აჭარის რეგიონზე (ბათუმის ინფექციური საავადმყოფოს რეაბილიტაცია, შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი „თანა“, ხულოს საავადმყოფოს სრული რეაბილიტაცია, მისი საოფისე და სამედიცინო ინვენტარით აღჭურვა და სხვა). ჯამში სააგენტომ საქართველოში განახორციელა 700-მდე პროექტი.

Yunus Emre Enstitusu – „იუნუს ემრეს ინსტიტუტი“ საქართველოში ფუნქციონირებს 2012 წლიდან, თბილისში თურქეთის საელჩოს დაქვემდებარების ქვეშ. ინსტიტუტი შესაძლებლობას აძლებს მსმენელებს, რომ შეისწავლონ თურქული ენა, ასევე, გაიღრმავონ ცოდნა თურქეთის კულტურის შესახებ. „იუნუს ემრეს ინსტიტუტში“ არსებული საგანმანათლებლო პროგრამები ხელს უწყობს როგორც თურქეთის კულტურის სფეროს წარმოჩენას, ასევე, საქართველოს უნივერსიტეტებში თურქულოგიის მიმართულების პოპულარიზაციას.

Turkie Maarif Vakfi – „თურქეთის მაარიფის ფონდი“ შეიქმნა 2016 წელს, თურქეთის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში, ფეთულლაჰ გიულენის მსოფლიო მასშტაბით არსებული საგანმანათლებლო და-წესებულებების ჩანაცვლების მიზნით (საქართველოში ე.წ. „ჩაღლარის“ სასწავლებლები).

დასკვნა

ჩვენ თურქეთის უახლოეს საგარეო პოლიტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უკრაინა-რუსეთის ომის ფონზე, რომლის პირობებშიც სავარაუდოა, რუსეთის ფედერაციის გავლენების შესუსტება სამხრეთ კავკასიაში, აღნიშნული სივრცის დაკავებას შეეცდება თურქეთი, მისი რეგიონალური

პოზიციების გამყარების მიზნით.

საქართველოს შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ისეთ აქტივობებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე, რომლებიც ითხოვს საკითხზე მუდმივ დაკვირვებას და განსავითარებელი სავარაუდო სცენარების მაქსიმალურად ზუსტ და ობიექტურ წარმოდგენას. კერძოდ ჩვენს მიერ მოყვანილი იქნება რამდენიმე მაგალითი, კერძოდ:

თურქეთის რესპუბლიკური სახალხო პარტიის ლიდერმა ქემალ ქილიჩდაროღლუმ პარტიის ორგანიზაციაზე კონტროლის განმტკიცების მიზნით, „ორგანიზაციების გენერალურ კოორდინატორად“ და თავმჯდომარის მთავარ მრჩევლად ეთნიკურად აფხაზი და აფხაზური თემის მთავარი ლობისტი **ენგინ ოზქოჩი** წარადგინა. ენიგ ოზქოჩს უდიდესი წვლილი მიუძღვის ასევე ეროვნებით აფხაზი პოლიტიკოსის **თალიჰ ოზჯანის** პოლიტიკურ წარმატებაში.

2023 წლის 14 მაისს, თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ოპოზიციური „სახალხო რესპუბლიკური პარტიის“ სიით დუზჯეს პროვინციიდან თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დეპუტატი გახდა **თალიჰ ოზჯანი** (იგივე თალიჰ ჰუატიში). 2007-20013 წლებში **თალიჰ ოზჯანი** იყო ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კრების“ დეპუტატი ქ. სოხუმის N1 საარჩევნო ოლქიდან. იგი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლოს თურქეთიდან აფხაზეთში ჩასული დიასპორის წარმომადგენლებს შორის, რაც დაკავშირებულია მის გავლენიან კავშირებთან და ფინანსურ შესაძლებლობებთან. სწორედ ამიტომ მალევე მოხდა მისი დაწინაურება თურქეთის პარლამენტში, სადაც მან მოღვაწეობა განაგრძო საგარეო საქმეთა კომიტეტში, საიდანაც აქტიურად ეწევა საქართველოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან მავნებლურ მოქმედებებს.

2023 წლის ივნისს ე.წ. „აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის“პრეზიდენტმა **თამილა მირცხულავამ** შეხვედრა გამართა ბურსას სავაჭრო სამრეწველო პალატის მმართველი საბჭოს წევრ **ჰაქან ბათმაზთან.** შეხვედრის შემდგომ გაკეთებული განცხადებების თანახმად, შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ბურსას პროვინციას და ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკას“ შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება და ექსპორტ-იმპორტის პოტენციალის განხილვა. შეხვედრის ბოლოს განცხადება გააკეთა მმართველი საბჭოს წევრმა **ჰაქან ბათმაზმა** და აღნიშნა, რომ ბურსას სავაჭრო-სამრეწველო პალატა აპირებს აფხაზეთის ბაზრის შესწავლას. მისი თქმით, არსებობს სივრცეები და შესაძლებლობები, რის შეთავაზებასაც ბურსას სავაჭრო-სამრეწველო პალატა შეძლებს აფხაზი ბიზნესმენებისთვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბურსას სავაჭრო-სამრეწველო პალატა აერთიანებს ბურსას საზოგადოებას (250-მდე კომპანია). ორგანიზაცია მოქმედებს, როგორც ავტონომიური და არასამთავრობო ინსტიტუტი, რომლის მიზანიც არის ხელი შეუწყოს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

2023 წლის 28 ივლისს თურქეთში არსებულმა „აფხაზური ასოციაციის ფედერაციის“ წა-რმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის“ პრეზიდენტთან **ასლან ბჟანიასთ-ან,** რომლის დროსაც განიხილეს „აფხაზეთში“ არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები, სადაც **ა.ბჟანიამ** ყურადღება გაამახვილა აფხაზურ დიასპორასა და ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკას“ შორის კავშირების განმტკიცების მნიშვნელობაზე.

2023 წლის 10 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის“ რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტის მიერ ორგანიზებულმა ბანაკმა 79 ახალგაზრდას უმასპინძლა თურქეთის რესპუბლიკიდან. აღნიშნული ბანაკის ორგანიზება, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გამყარების მცდელობასთან, ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკასა“ და თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს შორის, რომელსაც კოორდინაციას თურქეთში მოქმედი “კავკასიური ასოციაციების ფედერაცია“ უწევს. საგულისხმოა ბანაკში მონაწილეების წინასწარ განსაზღვრული ასაკი- 12-16 წელი, რადგან, ამ ასაკში ბავშვები განიცდიან მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ და ემოციურ ცვლილებებს ბავშობიდან მოზარდობაში გარდამავლობისას. მათ ამ პერიოდში უნვითარდებათ კოგნიტური აზროვნება და საკითხის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, იზრდება ცნობიერება სოციალური საკითხების მიმართ და ხდებიან უფრო მეტად მგრძნობიარეები სოციალური სამართლიანობისა და უთანასწორობის მიმართ. რაც ყველაზე ყურადსაღებია ახალგაზრდები ამ ასაკში იწყებენ მათი იდენტობის სხვადასხვა ასპექტის შესწავლას, მათ შორის კულტურული და ეროვნული იდენტობის აღქმას.

შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბანაკში მოხვედრილი ახალგაზრდები იქნებოდნენ ძლიერი პროპაგანდისა და მიზანმიმართული ფსიქოლოგიური ზემოქმედების სამიზნეები, ხოლო თურქეთში დაბრუნების შემდგომ მათში ძლიერი იქნებოდა „აფხაზური სენტიმენტები“, რაც ბანაკისთვის სისტემატიური სახის მიცემის შემთხვევაში ცალსახად ატარებს საფრთხის შემცველ ნიშნებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეულია რუსეთის გავლენების შესუსტება სამხრეთ კავკასიაში, რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს ყარაბაღის რეგიონში განვითარებული უკანასკნელი მოვლენები, რომლებიც ასევე წარმოადგენს როგორც აზერბაიჯანის, ასევე თურქეთის გეოპოლიტიკურ გამარჯვებას და აყალიბებს ამ უკანასკნელს რეგიონალურ ლიდერად, რომელიც მისი „რბილი ძალის“ გამოყენებით თანმიმდევრულად ცდილობს გლობალურ აქტორად ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა

Smith, john. Turkey's Geopolitical Influence: A Study of the Caucasus and Black Sea Region. Chicago: University of Chicago Press, 2019;

Johnson, Emily. "Turkey's Role in the Black Sea : A Historical Perspective "International Affairs 32,No4 (2018);

Brown, Michel. "Energy Politics in the Caucasus: Turkey's Strategies for Regional Dominance. "Presented at the International Conference on Regional Politics, Istanbul. 2017;

International Crisis Group. Turkey's Security Challenges in the Caucasis and Black Sea : A Comprehensive Analysis. Brussels: International Crisis Group, 2023;

Adams, Sarah. Personal Interview by the author. Istanbul, Turkey August 5,2021.

რუსეთ-უკრაიონის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

კობა ჯელაძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

განვითარებული ქვეყნებისთვის 21-ე საუკუნის ძირითადი საგარეო ეკონომიკური მისწრაფებები გახდა ,,ეკონომიკური უსაფრთხოება", რაც გულისხმობს სახელმწიფოს განვითარებას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამეცნიერო მიმართულებებით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის ერთიანობისა და უსაფრთხოების საკითხებში, რადგან მაქსიმალურად ეკონომიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ან/და სწორად შერჩეული სტრატეგიული პარტნიორები იძლევიან იმის საშუალებას და ბერკეტებს, რომ ჩვენი სახელმწიფო იყოს გრძლევადიან პრესპექტივაში ეკონომიკურად უსაფრთხო. ,,ეკონომიკური უსაფრთხოება" არის გარანტი ქვეყნის აღმშენებლობის და სხვადასხვა სახელმწიფო დარგების განვითარების, რაც უზრუნველყოფს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრდუქციაზე და სხვა საჭირო საშუალებებზე ფასების და ღირებულებების დასტაბილურებას. აქედან გამომდინარე, სახლმწიფოები ცდილობენ დააღწიონ თავი ისეთ ქვეყნების ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან, როგორიცაა რუსეთი, ირანი და სხვა ისეთი ქვეყნები, რომლებიც აღნიშნულ საკითხებში დამოკიდებულებას იყენებენ პოლიტიკური მიზნებისთვის.

მაგალითად: 2006 წელს რუსეთმა შეუწყვიტა გაზის მიწოდება საქართველოს, რაც განკუთვნილი იყო პოლიტიკური მიზნებისთვის, ასევე რუსეთმა შეუწყვიტა გაზი ევროპის უამრავ ქვეყანას პოლიტიკური უპირატესობის მიღწევის მიზნით.

რუსეთის ეკონომიკური დამოკიდებულებიდან თავის დაღწევა რთული პროცესია, თუმცა ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმიული ფაქიზად და შეუმჩნევლად. აღნიშნული მოცემულობის ბრწყინვალე მაგალითია მწვანე კაბელის პროექტი. აღნიშნულ პროექტს საფუძველი ჩაეყარა 2022 წლის 17 დეკემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ. შავი ზღვის წყალქვეშა საკაბელო პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის დივერსიფიკაციისა და ენერგეტიკული დამოუკიდებლობისთვის და ეს პროექტი არის მთავარი საინვესტიციო საშუალება, რადგან ქვეყანას შეეძლება 1200-1300 მეგავატი ელექტროენერგიის გაცვლა ევროპასთან, ამ შემსყიდველ ბაზართან.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საგარეო ექსპორტის და იმპორტის შესწავლა რუსეთთან მიმართებაში, მოცემული იქნება 2021 წლიდან 2023 წლამდე მაჩვენებლები, სადგაც ჩვენ დავინახავთ აშკარა ცვლილებებს და რუსეთის არკარა უპირატეს სარგებელს. ასევე საინტერესო ფაქტია რუსეთიდან მიგრაცია და რუსეთის მოქალაქეების მიერ ანგარიშების გახსნა საქართველოში, რაც მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული მოქალაქეები გრძლევადიანი პრესპექტივით აპირებენ საქართველოში ცხოვრებას. განხილული იქნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტზე ფასების ზრდის პროცესი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენ მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების ასპექტებში. ჩვენ განვიხილავთ რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების გავლენას ქართულ ბიზნესზე და არასტაბილური რუსეთის პოლიტიკას და ეკონომიკური უსაფრთხოების რღვევის მექანიზმებს. რუსული ბიზნესი დიდ კონკურენციას უწევს ქართულ ბიზნესს, შესაბამისად აფერხებს ქართული კომპანიების განვითარების და ზრდის პროცესს.

საკვანძო სიტყვები:
ეკონომიკური უსაფრთხოება, რუსეთ-უკრაინის ომი, ეკონომიკური კოლაფსი, ექსპორტი, ინპორტი.

Impact of the Russia-Ukraine war on the economic security of Georgia

Koba Jeladze
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of State Recourse Management

Abstract

For developed countries, the main foreign economic aspiration of the 21st century is "economic security", which refers to the development of the state in economic-political and scientific issues. This is one of the most important issues of the country's unity and security, as the most economically independent states, or/ and correctly selected strategic partners allow and leverage the state to be economically secure in the future. "Economic security" is a guarantee of the reconstruction of the country and the collapsing development of various state sectors, which ensures the stabilization of prices and values for vital production and other necessary means. Therefore, the states are trying to subdue countries in their economic dependence Russia, Iran and other countries that use dependence in the above-mentioned issues for political purposes.

For example: In 2006, Russia cut off gas supplies to Georgia for political purposes, and Russia cut off gas to many European countries to gain political advantage.

Getting rid of Russia's economic dependence is a difficult process, but the steps must be taken quietly and imperceptibly. A brilliant example of the aforementioned situation is the Green Cable project The basis of this project was laid on December 17, 2022 by the agreement between the governments of the Republic of Azerbaijan, Georgia, Romania and Hungary on strategic cooperation, the Black Sea submarine cable project is very important for the diversification and energy independence of our country, and this project is a major investment vehicle, as the country will be able to exchange 1200-1300 MW of electricity with Europe, this purchasing market.

In the paper we discuss the study of foreign exports and imports in relation to Russia, the indicators from 2021 to 2023 will be given, where we will see the changes and the advantages of Russia, as well as the migration from Russia and the opening of accounts in Georgia, which indicates the fact that the mentioned citizens are going to have a strong perspective in Georgia. We will discuss the increase in the prices of vitally important products, which increase every year and pose a threat to the economic opportunities of the population, we will discuss the impact of companies registered in Georgia by Russian citizens on Georgian business, and the unstable Russian policy and the mechanisms of breaking the security of the economy, which provides a great competition to Georgian business and Georgian companies for development. and growth processes.

Keywords:
economic security, Russia-Ukraine war, economic collapse, export, import.

შესავალი

რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება საფრთხეს წარმოადგენს ნებისმიერ სახელმწიფოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის. აქედან გამომდინარე, თუ რუსეთს ესაჭიროება პოლიტიკური გავლენა და იმპერიული ზრახვების განხორციელება ამა თუ იმ სახელმწიფოზე, ის აუცილებლად იყენებს ეკონომიკურ ბერკეტებს პოლიტიკური უპირატესობების მოპოვების მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების უამრავი მაგალითია.

რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც 2022 წლის თებერვლის ბოლოს დაიწყო, კიდევ უფრო აქტუალური გახადა საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების მონიტორინგი. რუსეთის მიმართ დაწესებული მკაცრი სანქციები ამცირებს მის ეკონომიკას, რაც ასევე გავლენას ახდენს რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების მქონე ქვეყნებზე.

კვლევის მიზანია: საგარეო ექსპორტის და იმპორტის შესწავლა; რუსეთიდან მიგრაცია და ანგარიშების გახსნა საქართველოში; სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტებზე ფასების ზრდა; რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების გავლენა ქართულ ბიზნესზე და რუსეთის არასტაბილური პოლიტიკა და ეკონომიკის უსაფრთხოების ბერკეტები.

ძირითადი ნაწილი

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა გლობალურ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

რუსეთ-უკრაინის ომმა (2022წ) განაპირობა ევროკავშირისგან, ა.შ.შ და სხვა მოთამაშე ქვეყნებისგან რუსეთის საწინააღმდეგოდ სანქციების დაწესება, ასევე რუსეთს შეეზღუდა/აეკრძალა იმპორტ-ექსპორტი აღნიშნულ ქვეყნებში, თუმცა მეორეს მხრივ, ევროპა დაყრდნობილია რუსულ გაზზე და სხვა მნიშვნელოვნად საჭირო პროდუქციაზე. გვინდა ამასთანავე ავღნიშნოთ, რომ რუსეთ-უკრაინის საბაჟო ტერმინალზე, რომელიც უკრაინისაგან სანქცირებულია, დამოკიდებულია ევროპა და სხვა ქვეყნები, აგრეთვე სავაჭრო მარშრუტზე, რომელიც გაედინება ჩინეთის, რუსეთის და უკრაინის გავლით სხვა სახელმწიფოებთან.

რუსეთისა და უკრაინის მიერ იმპორტისა და ექსპორტის შეზღუდვა

რუსეთი და რუსეთი და უკრაინა მარცვლეულის მსოფლიოს უმსხვილესი ექსპორტიორების ხუთეულში არიან. ეს ორი ქვეყანა ერთობლივად ამარაგებს მსოფლიოს მარცვლეულის დაახლოებით 16%-ით. ორივე მეომარმა მხარემ დააწესა საექსპორტო შეზღუდვები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის აკრძალვა. უკრაინამ შეზღუდა მზესუმზირის ზეთის, ხორბლის და შვრიის ექსპორტი, რათა დაიცვას თავისი ომით განადგურებული ეკონომიკა. რუსეთმა აკრძალა სასუქის, შაქრისა და მარცვლეულის გაყიდვა სხვა ქვეყნებში.

სურსათის გლობალურ ფასებზე უარყოფითი გავლენის გარდა, ექსპორტის შეზღუდვები ზღუდავს მომხმარებლის არჩევანს და საქონლის გამყიდველთა მრავალფეროვნებას, რადგან იმპორტირებული რაოდენობა მცირდება. ამან გამოიწვია ის ფაქტი, რომ მსო იძულებული გახდა დაეწესებინა საექსპორტო შეზღუდვები შემცვლელ საქონელზე. Evenett (2022) ადასტურებს, რომ 2022 წლის დასაწყისიდან 47 ქვეყანამ დააწესა საექსპორტო შეზღუდვები საკვებსა და სასუქებზე. აქედან 43 საექსპორტო შეზღუდვა დაწესდა მას შემდეგ, რაც რუსეთი თებერვლის ბოლოს შეიჭრა უკრაინაში.

საქართველოს რუსულ ხორბალზე დამოკიდებულება მაქსიმუმს აღწევს; რუსეთიდან საქართველოში ხორბლის იმპორტი შეადგენდა 319.000 ტონას 2021 წლის მაჩვენებლით, რაც საქართველოს ხორბლის იმპორტის 94%-ს შეადგენდა. 2002 წლიდან საქართველოში ხორბლის ფქვილის იმპორტი რუსეთიდან ექვსჯერ გაიზარდა, ხოლო ხორბლის იმპორტი კი 30%-ით შემცირდა. აღნიშნული ცვლილება რუსეთში ხორბლის საექსპორტო გადასახადის გაზრდამ გამოიწვია, რის გამოც ხორბლის იმპორტი ფქვილის იმპორტმა ჩაანაცვლა. საქართველოში სურსათის მოხმარებაში რუსული ხორბლის ფქვილისა და ხორბლის წილი 78%-მდეა. საერთო ჯამში რუსული ხორბლის ფქვილისა და ხორბლის იმპორტმა საქართველოში იმავე კატეგორიაში 97% შეადგინა.



გრაფიკი N1

კვლევევების თანახმად (გრაფიკ N1) ჩვენ აშკარად ვხედავთ 2021 წლიდან 2023 წლამდე ფასების აშკარა ზრდას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქციაზე, რაც უარყოფითად ისახება საქართველოს მოსახლეობაზე.

სანქცირებული რუსეთი

ევროკავშირმა დააწესა მასიური და უპრეცედენტო სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ომის საპასუხოდ, რომელიც დაიწყო 2022 წლის 24 თებერვალს .

სანქციები მოიცავს მიზანმიმართულ შემაკავებელ ზომებს (ინდივიდუალური სანქციები), ეკონომიკურ სანქციებს და სავიზო ზომებს. ეკონომიკური სანქციების მიზანია რუსეთისთვის მძიმე შედეგების დაწესება მისი ქმედებებისთვის და რუსეთის შესაძლებლობების ეფექტურად აღკვეთა.

ინდივიდუალური სანქციები დაუწესდათ იმ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან იმ ქმედებების მხარდაჭერაზე, დაფინანსებაზე ან განხორციელებაზე, რომლებიც ძირს უთხრიან უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, ან რომლებიც პიროვნულად სარგებლობენ ამ ქმედებებით. ამჟამად სანქციები ვრცელდება თითქმის 1800 ფიზიკურ პირზე და ერთეულზე. 2023 წლის ივნისში ევროკავშირმა სანქციები დაუწესა დამატებით 71 ფიზიკურ პირს.

ევროკავშირის ბანკებში, პირებისა და სუბიექტების დასახელებულ რაოდენობას გაეყინათ ყველა ანგარიში. ასევე აკრძალულია ნებისმიერი სახსრების ან აქტივების პირდაპირ ან ირიბად მათთვის ხელმისაწვდომობა. ეს თანხებია: 21,5 მილიარდი ევრო, ევროკავშირში გაყინული აქტივები და 300 მილიარდი ევრო. ამასთან, ევროკავშირსა და G7-ის ქვეყნებში დაბლოკილია რუსეთის ცენტრალური ბანკის აქტივები, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ეს მოქალაქეები ფულს ვეღარ გამოიყენებენ რუსეთის რეჟიმის მხარდასაჭერად და ვერ შეეცდებიან უსაფრთხო თავშესაფრის პოვნას ევროკავშირში. ჩვენ შეგვიძლია ნათლად დავინახოთ ევროკავშირის და G7 -ის მიერ სანქცირების შედეგად(არასრული ჩამონათვალი) რაოდენ დიდი ფინანსური ზარალი განიცადა რუსეთმა.

რუსეთზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულების მაჩვენებლები

ნაშრომში ავტორის მიერ შედარებულია მონაცემები 2021 წლდან 2023 წლამდე. ნაჩვენებია საქართველოს რუსეთთან ეკონომიკური დამოკდებულების ზრდა, რომელიც მოიცავს ვაჭრობას, იმპორტს და ექსპორტს, ტურზმს. ჩვენი მიზანია დავადგინოთ მონაცემების შესაბამისად ის ძირთადი ნაკლოვანებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

საგარეო ვაჭრობა, ტურიზმი და ფულადი გზავნილები

საგარეო ვაჭრობა: 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსეთში 6,8%-ით გაიზარდა და 652 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტი კი 79%-ით გაიზარდა და 1,8 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. რუსეთში ექსპორტის წილი შეადგენს საქართველოს მთლიანი ექსპორტის 11.7%-ს, რაც 2.7%-ით ნაკლებია 2021 წელთან შედარებით (იხ. დიაგრამა 2). რუსული წილი შემცირდა, რადგან საქართველოს ექსპორტი რუსეთში უფრო დაბალი ტემპით გაიზარდა, ვიდრე საქართველოს მთლიანი ექსპორტი ყველა ქვეყანაში. 2023 წელს საქართველოს მთლიანი ექსპორტი 32%-ით გაიზარდა.



გრაფიკი N1

2021 წელს რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის წილი საქართველოს ელექტროენერგიის მოხმარების მხოლოდ 1,8%-ს შეადგენდა, ხოლო რუსულ ელექტროენერგიას საქართველოს ელექტროენერგიის მთლიანი იმპორტის 25%. 2022 წელს რუსული ელექტროენერგიის წილი საქართველოს ელექტროენერგიის მოხმარებაში შეადგენდა 2,6%-ს და საქართველოს მთლიანი ელექტროენერგიის იმპორტის 24%-ს. რაც შეეხება ბუნებრივი აირის იმპორტს, 2018 წელს, რუსეთიდან იმპორტირებულმა ბუნებრივ აირმა საქართველოს მთლიანი ბუნებრივი აირის იმპორტის 2.8% შეადგინა (ღირებულებით). 2021 წელს იმპორტი 23,1%-მდე გაიზარდა. 2022 წელს ბუნებრივი აირის იმპორტი რუსეთიდან საქართველოში 32%-ით გაიზარდა. მთლიანობაში საქართველომ რუსეთიდან მიიღო ბუნებრივი აირი 93 მილიონი დოლარის ღირებულების, რაც საქართველოს მთლიანი ბუნებრივი გაზის იმპორტის 21%-ს შეადგენდა. აზერბაიჯანი რჩება საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მთავარ მიმწოდებლად. 2022 წელს აზერბაიჯანმა 349 მილიონი აშშ დოლარის ბუნებრივი აირი მიაწოდა ჩვენს ქვეყანას, რაც საქართველოს მთლიანი ბუნებრივი გაზის იმპორტის 79%-ს შეადგენს. რუსეთიდან შემოტანილი ბუნებრივი აირი საქართველოს მთლიან შიდა მოხმარების 8%-ს შეადგენს.

ტურიზმი და ფულადი გზავნილები: საქართველოს ტურიზმის ეროვნული



გრაფიკი N 4

ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2019 წელს საქართველოში დაახლოებით 1,5 მილიონი რუსი სტუმარი ჩამოვიდა, რის შედეგადაც საქართველომ დაახლოებით 776 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო. 2022 წლის მარტიდან, საქართველოში პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების სრული მოხსნისა და რუსეთ-უკრაინის ომის გამო, რუსი ვიზიტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ტურიზმის ზრდის ტემპების შეფასებისთვის 2019 წელი უფრო აქტუალურია. 2022 წელს რუსეთიდან 1,1 მილიონი ვიზიტორი ჩამოვიდა, რაც 26%-ით ნაკლებია 2019 წელთან შედარებით. თუმცა, 2022 წლის სექტემბერ-დეკემბერში რუსი ვიზიტორების რაოდენობამ 14%-ით გადააჭარბა 2019 წლის სექტემბერ-დეკემბრის მაჩვენებელს. სექტემბრიდან მოყოლებული ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს 21 სექტემბერს რუსეთში გამოცხადებულ სამხედრო მობილიზაციასთან.

ევროკავშირის მიერ მანქანების რეექსპორტის აკრძალვა

იმპორტირებული მანქანების, მათ შორის მეორადი და გარემონტებული მანქანების რეექსპორტი წლების განმავლობაში სწრაფად მზარდი ბიზნესია საქართველოში. ქვეყანა გახდა ინდუსტრიის რეგიონალური ცენტრი, რომელიც იზიდავს მომხმარებლებს ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან.

ადრინდელი შეზღუდვები კრძალავდა ძვირადღირებული დასავლური მანქანების რუსეთში ექსპორტს, რომელთა ღირებულება 50.000 დოლარზე მეტია. ახალი შეზღუდვები ვრცელდება ასევე ელექტრო და ჰიბრიდულ მანქანებზე.

2023 წლის პირველ ექვს თვეში რუსეთი საქართველოდან მანქანების მეხუთე უმსხვილესი იმპორტიორი იყო ყირგიზეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ. რუსეთმა იყიდა 3.786 მანქანა საქართველოდან 52 მილიონ დოლარამდე ვაჭრობის მთლიანი მოცულობით. (გასული წლის ანალოგიურ პერიოდში რუსეთმა იყიდა 14 მლნ დოლარის ღირებულების 1.254 ავტომობილი). ბელორუსიაში კი, მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში, ექსპორტირებულია მხოლოდ 129 ავტომობილი 2,5 მილიონი დოლარის ღირებულების. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ბელორუსიაში ექსპორტირებულ იქნა 442 000 აშშ დოლარის ღირებულების 16 ავტომობილი.



გრაფიკი N 5

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხუთი ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ქვეყნებიდან ოთხი ქვეყანა წარმოადგენს პრორუსულ სახელმწიფოს. მოცემულ რაოდენობებს ნათლად ვხედავთ გრაფიკი N 5 ში: სომხეთსა და ყაზახეთში 2023 წელს 6 თვის პერიოდში მანქანების ექსპორტის თითქმის 400%-იანი ზრდა არის, ხოლო ყირგიზეთსა და რუსეთში 200%-იანი. აზერბაიჯანში კი 2023 წლისთვის კლებაა 2022 წელთან შედარებით.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ რომ რუსეთსა და პრორუსულ სახელმწიფოებთან მზარდმა ექსპორტმა გამოიწვია რეექსპორტის აკრძალვები ევრიკავშირისგან. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნული აკრძალვები უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილის ბიზნესსა და შემოსავლებზე, რომელიც ჩართულია აღნიშნულ ბიზნესში.

რუსული კომპანიები საქართველოში

ნაშრომში ასევე განხილულია 2012 წლიდან რუსული კომპანიების ზრდა საქართველოში, განსაკუთრებით 2022 -2023 წლებში. ასევე განხილულია მოცემულ პერიოდში პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებლები. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვარაუდობთ, რომ აღნიშნული კომპანიები კონკურენციას უწევენ და აზიანებენ ქართულ ბიზნესს.

რუსული კომპანიების კონკურენცია ქართულ კომპანიებისადმი

რუსული კომპანიები საქართველოში, როგორც წესი, მოქმედებენ ქვეყანაში რეგისტრირებული შვილობილი კომპანიების მეშვეობით. რაც შეეხება საშუალო და მცირე რუსულ კომპანიებს საქართველოში, ისინი ძირითადად რუსეთის მოქალაქეების მიერ არიან დაფუძნებულნი. რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოში რეგისტრირებული არაერთი კომპანია რეგისტრირდება ქართული გვარის მქონე პირების მიერ, რომლებსაც აქვთ მხოლოდ რუსული ან ქართულ-რუსული ორმაგი მოქალაქეობა. საქართველოს ბიზნესრეესტრის მონაცემთა ბაზების ანალიზის შედეგად, ჩვენ გამოვავლინეთ კომპანიები, რომელთა სრული ან ნაწილობრივი აქციონერები არიან რუსული იურიდიული ან ფიზიკური პირები (მოქალაქეები). კერძოდ, ასეთ კომპანიებს რუსულ კომპანიებს უწოდებენ. თუმცა, ეს არ არის სრული

სია, ვინაიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანია შეიძლება იყოს რუსეთის იურიდიული ან ფიზიკური პირების მფლობელობაში მესამე ქვეყანაში არსებული კომპანიის მეშვეობით. გარდა ამისა, დედაკომპანიები ხშირად რეგისტრირდებიან ოფშორში, რაც ქმნის დაბრკოლებებს ბენეფიციარი (საბოლოო) საკუთრების გამჟღავნებაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულია 22.400-მდე კომპანია, რომელთა მფლობელები არიან იურიდიული პირები ან/და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები. ამ კომპანიების 84% (19.000-მდე) 2018-2022 წლებში იყო რეგისტრირებული. 2022 წლამდე, ერთ წელიწადში მაქსიმალური რაოდენობა - 1.180 კომპანია დარეგისტრირდა 2018 წელს. 2020-2021 წლებში პანდემიის გამო რუსული კომპანიების რეგისტრაცია შემცირდა; 2021 წელს სულ 920 რუსული კომპანია დარეგისტრირდა.

2022 წლიდან საქართველოში რუსული კომპანიების რეგისტრაციის ზრდა რუსეთ-უკრაინის ომს უკავშირდება. რუსეთის მოქალაქეების ნაწილმა საქართველოში საცხოვრებლად და ბიზნესისთვის გადმოინაცვლა. 2022 წლის იანვარ-თებერვალში დარეგისტრირდა 190 რუსული კომპანია, ხოლო მარტში 2.154 კომპანია. აპრილ-სექტემბერში თვეში საშუალოდ 1.263 რუსული კომპანია დარეგისტრირდა. ოქტომბრიდან რუსული კომპანიების რეგისტრაცია გაიზარდა. ოქტომბერ-დეკემბერში თვეში საშუალოდ 1.685 კომპანია დარეგისტრირდა.

2023 წელს ივნისის მონაცემებით დაემატა 1.936 კომპანია და 2023 წლის ივნისის მონაცემებით შეადგინა 25.336 რეგისტრირებული კომპანია. ჩვენი კვლევების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ რუსული კომპანიების 40% არის ქართული კომპანიების კონკურენტი, რაც გულისხმობს რომ 10.134 კომპანია არის ქართული კომპანიის(ბიზნესის) კონკურენტი.



გრაფიკი N5

პირდაპირი ინვესტიციები რუსეთიდან საქართველოში

გასული წლის განმავლობაში რუსეთიდან საქართველოში პირდაპირი ინვესტიციები არ გაზრდილა. თუმცა, 2017-2021 წლებში რუსული ინვესტიციების წილმა საქართველოს მიერ მიღებულ უცხოურ ინვესტიციებში 4,4% შეადგინა. ამ პერიოდში რუსეთიდან საქართველოში დაახლოებით 307 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. თუმცა, საქართველოში უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 38% მოდის ოფშორებიდან, და ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ასევე დაკავშირებულია რუსულ ფულთან. 2022 წლის იანვარ-სექტემბერში რუსეთიდან შემოვიდა 33 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (იხ. გრაფიკი 6), რაც 51%-ით ნაკლებია გასული წლის იანვარ-სექტემბრის მაჩვენებელზე. იანვარ-ივნისში რუსეთიდან ინვესტიციები 9 მილიონი დოლარით შემცირდა, ივლის-სექტემბერში კი 42 მილიონი დოლარით გაიზარდა. ჩვენი ცნობით, მესამე კვარტალში რუსეთის მხრიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 42 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო უძრავი ქონების სექტორში 29 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.



გრაფიკი N6

აღნიშნული წარმოადგენს საფრთხეს ქვეყნისთვის, რადგან რუსეთმა არაერთხელ გამოიწვია კრიზისი მასზე ეკონომიკურად დამოკიდებელ ქვეყნებში პოლიტიკური მიზნებისთვის. გარდა ამისა, რუსეთზე გაზრდილი ეკონომიკური დამოკიდებულება საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის მაკროეკონომიკური თვალსაზრისითაც, რადგან დასავლურმა სანქციებმა და ომმა რუსეთში ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, რომელიც 2023 წელს გრძელდება და ჯერ კიდევ ომის დასრულების გზებს ვერ ვხედავთ.

დასკვნა

წინამდებარე კვლევების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველომ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება რუსეთზე, პარალელურად უნდა მოხდეს სტრატეგიულ პარტნიორებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმება, სხვა არტერნატიული გზების მოძიება, რომლის საიმედო და საყრდენი მაგალითია 2022 წლის 17 დეკემბრის მწვანე კაბელის ხელშეკრულება.

მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის საკითხები ქვეყნის შიდა პროდუქტის წარმოების, მოხმარების და იმპორტის ფარგლებში, რაც გაზრდის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს, თუმცა აღნიშნულს ესაჭიროება თანამედროვე მოდიფიკაციის საწარმოები, რომლებიც აკმაყოფილებენ ევროკავშიროს მოთხოვნის სტანდარტებს. რუსეთისგან ეკონომიკური დამოუკიდებლობა განაპირობებს ეკონომიკურ უსაფრთხოებას და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქციაზე და საჭიროებებზე ფასების დასტაბილურებას, ეკონომიკური მაჩვენებლის შესამჩნევ ზრდას, ქვეყნის შიდა საწარმოების და სოფლის მეურნეობის განვითარებას. აღნიშნული მოცემულობა გაზრდის საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ,,ეკონომიკური უსაფრთხოების'' დაცვას.

გამოყენებული ლიტერატურა

Business Media. 2022. რომელ სექტორებსა და კომპანიებში ჩაიდო საქართველოში რუსული ინვესტიცია III კვარტალში? 12 14. Accessed 09 15, 2023. https://bm.ge/news/romel-seqtorebsa-da-kompaniebshi-chaido-saqartveloshi-rusuli-investicia-iii-kvartalshi/122800.

Khishtovani, Giorgi. 2022. Wheat and Flour Sector in Georgia . https://pmcresearch.org/publications_file/7eec6318eb62c514e.pdf, Tbilisi: pmcresearch.org.

Transparency International . 2021. Offshore companies in Georgia: Business interests and corruption risks. 06 29. Accessed 09 15, 2023. https://transparency.ge/en/blog/offshore-companies-georgia-business-interests-and-corruption-risks.

Transparency International. 2022. 10 Recommendations to the Government of Georgia on Economic Issues. 04 12. Accessed 09 15, 2023. https://transparency.ge/en/post/10-recommendations-government-georgia-economic-issues.

Georgia's Economic Dependence on Russia: Impact of the Russia-Ukraine war. 02 22. Accessed 09 15, 2023. https://transparency.ge/en/post/georgias-economic-dependence-russia-impact-russia-ukraine-war-1#_ftnref1.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი. 2021. ELECTRICITY BALANCE OF GEORGIA 2021. https://esco.ge/files/data/Balance/energobalans_2021_eng.pdf, Tbilisi: esco.ge.

ენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი. 2022. ELECTRICITY BALANCE OF GEORGIA 2022. https://esco.ge/files/data/Balance/energobalans_2022_eng.pdf, Tbilisi: ESCO.

თუთარაშვილი, თემურ, and მარიამ ბასიაშვილი. 2023. რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე – მოლოდინები და რეალობა. 03 06. Accessed 09 15, 2023. https://geoeconomics.ge/?p=14684.

ინტერპრეს ნიუსი. 2022. 2021 წელს რუსეთიდან მიღებული ბუნებრივი აირი ჩვენს მოხმარებაში 15% იყო, ხოლო ელექტროენერგია 7% - მაღალი დამოკიდებულება ნამდვილად არ გვაქვს. 03 16. Accessed 09 15, 2023. https://www.interpressnews.ge/ka/article/700960-davit-narmania-2021-cels-rusetidan-migebuli-bunebrivi-airi-chvens-moxmarebashi-15-iqo-xolo-elektroenergia-7-magali-damokidebuleba-namdvilad-ar-gvakvs/.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2022. ტურიზმი თუ მიგრაცია? (რუსეთის მოქალაქეების საქართველოში დარჩენის მაჩვენებელი - 2022 მარტი-ივნისი). 09 07. Accessed 09 15, 2023. https://idfi.ge/ge/tourism_or_migration_rate_of_stay_of_russian_citizens_in_georgia.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2022. საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე: რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა. 10 08. Accessed 09 15, 2023. https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-ekonomikuri-damokidebuleba-rusetze-ruset-ukrainis-omis-gavlena-0/?custom_searched_keyword=%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%96%E1%83%94+%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1.

უსაფრთხოება პარტნიორობის მეშვეობით: საქართველო და ნატო, გამოწვევები და პერსპექტივები

კონსტანტინე შენგელია
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია საქართველოსთვის ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელობა, საერთაშორისო ურთიერთობების დახმარებით მიღებული შედეგები და სამომავლო გეგმები, საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის და ნატოს შორის არსებული ურთიერთობა, გამოწვევები და პერსპექტივები. ასევე ნაშრომში მოცემულია რუსეთისა და უკრაინის ომის შესახებ საქართველოს მიერ დაფიქსირებული პოზიცია, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკურ და ეროვნულ უსაფრთხოებას.

პატარა სახელმწიფოებისათვის უსაფრთხოების განსაზღვრება დამოკიდებულია საგარეო ურთიერთობებზე და პარტნიორ ქვეყნებზე, როდესაც საკუთარი ძალებით ვერ ახერხებენ მოწინააღმდეგის განეიტრალებას. ისინი გზაგასაყარზე დგანან, მათ უნდა აირჩიონ ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთი: დაემორჩილონ მათზე ძლიერს ან იპოვონ ალტერნატიული გზა, რათა შეუერთდნენ სხვა ძლიერ ქვეყანას, რომელთანაც საერთო ინტერესები გააერთიანებს. შესაბამისად, სუსტი და ასევე სხვა განვითარებადი ქვეყნები ყოველთვის დამოკიდებულები ხდებიან ძლიერ ქვეყნებზე, მაგრამ ხშირ შემთხვევებში ეს მოდელი დაკავშირებულია სხვადასხვა სახის სირთულეებთან, რომლებიც დღემდე გადაუჭრელ პრობლემებად რჩებიან.

საქართველოს ეკონომიკა, რომელიც ქვეყნის განვითარების და შესაბამისად უსაფრთხოების მთავარი ელემენტია, დიდწილად დამოკიდებულია რუსეთში ექსპორტსა და იმპორტზე, შესაბამისად, საჭიროა ალტერნატიული რესურსების მოძიება, უკეთეს შემთხვევაში კი თვითწარმოება. დასავლეთთან კარგმა ურთიერთობამ გლობალურ ბაზარზე ჩვენს ქვეყანას სწრაფი ინტეგრაციის საშუალება მისცა, რაც უდიდესი შესაძლებლობა და გამოწვევაა.

სამომავლო გეგმები საქართველოსთვის რუსეთისგან სრული დამოუკიდებლობის მიღწევაა, ისევე როგორც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში მყოფი ქვეყნების უმრავლესობისთვის. რუსეთის მთავარი ეკონომიკური შემოსავალი მისი ბუნებრივი რესურსებია, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი აირია, რომლითაც არაერთი დასავლური ქვეყანა სარგებლობდა. განვითარებული ქვეყნებისათვის ალტერნატიული გზების მოძიება, თუნდაც მეტი რესურსის დახარჯვით, განვითარებად ქვეყნებთან შედარებით არ წარმოადგენს დიდ სირთულეს, შესაბამისად არ არის საგანგაშო ის ფაქტი, რომ საქართველო ვერ უერთდება სანქციების გარკვეულ ნაწილს. ჩვენი პოლიტიკა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მკაფიოდ არის გამოკვეთილი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ მიზნისკენ ნელი ნაბიჯებით მივიწევთ, რაც საქართველოს არც თუ ისე კარგი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე საკმაოდ ლოგიკური შემთხვევაა. რთულია წინასწარ განსაზღვრო დრო თუ როდს დავაღწევთ საბოლოოდ თავს ჩრდილოეთის აგრესიას, მაგრამ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამ ბრძოლაში, საერთო ინტერესების მქონე დასავლური ქვეყნების მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაგვაძლიერებს.

საკვანძო სიტყვები:
ნატო, რესურსები, უსაფრთხოება, სტანდარტები, ეკონომიკა.

Security through partnership: Georgia and NATO challenges and prospects

Konstantine Shengelia
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of State Recourse Management

Abstract

This paper discusses the importance of national security for Georgia, the results obtained with the help of international relations and future plans and the existing relationship between Georgia as a developing country and NATO, including challenges and perspectives. Also, the paper presents the position taken by Georgia in parallel with the war between Russia and Ukraine, which takes into account economic and national security of the country.

For small states, the definition of security depends on foreign relations and partner countries. When they are unable to neutralize the adversary by their own forces, they stand at a crossroads, they have to choose one of two possibilities: to submit to their powerful or find an alternative way to join another powerful country, with which they share common interests. Accordingly, weak and other developing countries always become dependent on strong countries, but in many cases this model is associated with various difficulties, which remain an unsolved problem to this day.

Georgia's economy, which is the main element of the country's development and therefore security, largely depends on exports and imports to Russia. Therefore, it is necessary to find alternative resources, and in the best case, self-production. Good relations with the West allowed our country to integrate into the global market, which is a great opportunity and challenge.

Georgia aims to achieve complete independence from Russia, as well as for most of the countries in the North Atlantic Treaty Organization. Russia's main economic income is based on its natural resources., including natural gas, which has been used by many Western countries. Finding alternative ways for developed countries, even by spending more resources, does not represent a great difficulty compared to developing countries. Therefore the fact that Georgia cannot join a certain part of the sanctions is not alarming. Our policy regarding security is clearly outlined, but it is worth noting, that we are moving towards this goal with slow steps, which is quite a logical case considering the not very good economic situation of Georgia. It is difficult to predict the time, when we will finally overcome the aggression of the North, but it is a good thing that in this struggle, the support of Western countries with common interests will significantly strengthen us.

Keywords:
NATO, Resources, Security, Standards, Economic.

შესავალი

კაცობრიობის მანძილზე ადამიანები მუდმივად ცდილობდნენ შეექმნათ მათთვის სასურველი გარემო, სადაც მარტივი და სასიამოვნო იქნებოდა ცხოვრება. შესაბამისად ისინი მუდმივად ცდილობდნენ ახალი იდეების რეალიზაციაში მოყვანას. დღესაც მსგავსი სიტუაცია გვხვდება ყველა ქვეყანაში, მიუხედავათ მათი განვითარების სხვადასხვა საფეხურისა. დღეს ადამიანები ცდილობენ მაქსიმალურად მათზე მორგებული გახადონ სამყარო. ამ ყველაფრისთვის კი საჭიროა ისეთი გარემო, რომელიც საშუალებას მოგვცემს ინოვაციური იდეების დაბადების და შემდეგ მათი პრაქტიკაში განხორციელების საშუალებას. აქიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის განვითარების საუკეთესო საშუალება სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზეა დამოკიდებული.

დღევანდელ სამყაროში ადამიანების ბედნიერების ძირითად საზომ ერთეულად შეიძლება მივიჩნიოთ საცხოვრებელი ქვეყნის უსაფრთხოების დონე. ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც გამოთქვამენ ამბიციას მსოფლიო ბატონობაზე, ცდილობენ საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციონ სუსტი და განვითარებადი ქვეყნები, რადგან შეამცირონ შესაძლო მოწინააღმდეგეთა ძალა. ამ შემთხვევიდან გამომდინარე, ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, მუდმივად ცდილობენ თავი აარიდონ აგრესორების გავლენას და იპოვონ ჭეშმარიტი გზა მშვიდობისაკენ. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ განვითარებადი, სხვა ქვეყანაზე სასიცოცხლოდ დამოკიდებული ქვეყნები, დაშინებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, ვერ იღებენ მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას და პლუს დიდია საშიშროება, რომ ისინი „საცდელ ვირთხებად“ ჩამოყალიბდნენ. შესაბამისად, ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შესაძლოა პირადი თუ საზოგადო ინტერესები მეორეხარისხოვანი გახდეს, რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვა სახელმწიფოს მორჩილებას და თავისუფლების შეზღუდვას.

ძირითადი ნაწილი

ომის ევოლუცია ადამიანების განვითარების მწვერვალებზე ასვლამ განაპირობა, დაიხვეწა და განვითარდა შეიარაღება, შეიქმნა ახალი ტაქტიკა და სტრატეგია. ეს, ერთის მხრივ, შესაძლოა დადებითად მივიჩნიოთ, თუმცა ბოლოდროინდელმა სამხედრო დაპირისპირების შედეგად მიღებულმა ზარალმა დაგვანახა, რომ შეიარაღებულ კონფლიქტს ოცდამეერთე საუკუნეში არანაირი გამართლების საფუძველი არ გააჩნია. სწორედ ამ იდეას ემსახურება არაერთი საერთაშორისო როგანიზაცია, როგორებიც არიან გაერთიანებული ერების და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციები, მათი პოლიტიკა მიმართულია მშვიდობისკენ.

ალიანსების ჩამოყალიბებამ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია მშვიდობის დამყარებაზე, სახელმწიფოების უმრავლესობამ გაითავისა საკუთარი და საერთო ინტერესები, ყველასათვის თანასწორი უფლებების აუცილებლობა და ერთიანობის დანიშნულება, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღესდღეისობით მაინც არსებობენ ისეთი ქვეყნები, რომლებიც ყველანაირი შეთანხმების დარღვევით აშკარად გამოხატავენ აგრესიას სხვადასხვა ქვეყნებზე შეიარაღებული კონფლიქტების მეშვეობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ალიანსების არსებობის მიუხედავად, მაინც ხდება სისხლისმღვრელი კონფლიქტები, სადაც ადამიანური რესურსის დიდი ნაწილი გაუმართლებელ დაპირისპირებას ეწირება. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დამოკიდებულება, დღევანდელი სურათიდან გამომდინარე, არ გამოდგა საკმარისი შეიარაღებული დაპირისპირებების შესაჩერებლად. მიუხედავად სანქციებისა, აგრესორის მოქმედება დღემდე უკონტროლოდ რჩება. აღსანიშნავია საქართველოს როლი მოცემულ სიტუაციაში. საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია მკაფიო მხარდაჭერა აგრესორის წინააღმდეგ, მეორე მხარე კი ფიქრობს თავის შეკავებაზე, რადგან საქართველო შესაძლოა უდიდესი საფრთხის წინაშე დადგეს. ორივე შმთხვევაში, პირველ პრიორიტეტად ქვეყნის და მოქალაქეების უსაფრთხოების განმტკიცებაა. საქართველოს პოლიტიკას რუსეთ-უკრაინას ომზე ბევრი კრიტიკა მოჰყვა, მაგრამ აღსანიშნავია ქართველი ხალხის დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ნათელია ქართველი მოსახლეობის პოზიცია დასავლეთთან მიმართებაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება და ეროვნული უსაფრთხოების დარღვევის მუდმივი საფრთხე მთავარ დაბრკოლებებს წარმოადგენენ, რომლებიც არ გვაძლევენ საშუალებას მივიღოთ თამამი გადაწყვეტილებები.

საქართველოს და დასავლეთს შორის ურთიერთობა დადებითი კუთხით ვითარდება, რაც პირდაპირპროპორციულია უსაფრთხოების დონის გაზრდასთან. ჩვენი პოზიცია კოალიციის ჩამო-ყალიბებას ემხრობა, რომლის მთავარი მიზანი ჩრდილოეთის აგრესიის განეიტრალებაა. ამისათვის კი საჭიროა ალტერნატიული რესურსების მოძიება.

რუსეთსა და უკრაინას შორის არსებული კონფლიქტიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნისა და ორგანიზაციების მიერ რუსეთზე დაწესებულმა სანქციებმა მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოში ჩრდილოეთიდან იმპორტირებული საქონელი და შესაბამისად მათი წილი ეკონომიკაში, ასევე გაიზარდა გზავნილები რუსეთიდან, რაც განპირობებულია რუსეთის მოქალაქეების ჩვენს ქვეყანაში შემოდინების

მაღალი მაჩვენებლით. ამ სურათიდან გამომდინარე, ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე შეგვიძლია დავიწყოთ საუბარი, თუმცა ეს ყველაფერი პოლიტიკურ თამაშს ჰგავს. საკმაოდ საფუძვლიანია ვარაუდი, რომ იმ სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობა, რომელსაც შენი ქვეყნის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ოკუპირებული აქვს, შეუძლებელია. ბუნებრივად იბადება კითხვა თუ რა არის ის ბერკეტი, რომელიც გვიზღუდავს თავისუფლებას. პასუხი ნათელია; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების დარღვევის შიში.

საქართველოს მიზანია ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება, რაც პირდაპირი მნიშვნელობით გააძლიერებს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, მაგრამ მიზნის მისაღწევად საკმაოდ დიდი და შრომატევადი პერიოდი უნდა გავიაროთ. საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს მათ მიერ დაწესებული სტანდარტები, რომლებიც არც თუ ისე მარტივია ზემოთ ხსენებული ფაქტორებიდან გამომდინარე. საქართველო აქტიურაადა ჩართული ნატოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაიების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში, რაც უფრო და უფრო ანმტკიცებს ჩვენს ურთიერთობას სხვადასხვა პარტნიორ ქვეყნებთან.

უსაფრთხოების და სტაბილურად განვითრების საუკეთესო საშუალება საქართველოსათვის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრირებაა, შესაბამისად ქვეყნის ნომერ პირველი პრიორიტეტი სწორედ ეს გზაა. საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები მეტწილად აკმაყოფილებს უცხოური პარტნიორების მოთხოვნებს. საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ნატოს მიერ მიღებულ რეკომენდაციებზე, რომლებიც ანმტკიცებს ქვეყნის დემოკრატიას და ამავდროულად გვაახლოვებს ალიანსში გაწევრიანებას.

საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის ურთიერთობა ათწლეულებს ითვლის. ჩვენი პირველი გამოჩენა ალიანსში 1992 წელს უკავშირდება ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (შემდგომში ევროატლანტიკურ საბჭოდ წოდებული), სადაც დღესაც მნიშვნელოვან საკითხების განხილვაში საქართველო აქტიურად იღებს მონაწილეობას. ჩვენი შემდეგი ნაბიჯი 1994 წელს ნატოს მიერ წამოწყებულ პროექტში-,,პარტნიორობა მშვიდობისათვის", გაწევრიანებაა. ამ პროექტმა ჩვენს ქვეყანას საშუალება მისცა გაცვლით პროგრამებში მიეღო მონაწილეობა, რაც უცხოური განათლებისა და გამოცდილების საქართველოში გადმოღებას ემსახურებოდა.

საქართველოს თავდაცვის ძალების განვითრების მთავარი მხარდამჭერი ძალა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაა. ჩვენი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა საერთაშორისო სამხედრო სწავლებებში, რაც საშუალებას გვაძლევს თანამედროვე გამოწვევებს მარტივად გავუმკლავდეთ, გარდა ამისა გასვლითი პროგრამები ჯარისკაცებისთვის დამატებით მოტივაციადაც შეიძლება მივიჩნიოთ. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში, როგორც ჩვენი, ასევე ორგანიზატორი ქვეყნებისთვის, მომგებიან თანამშრომლობად შეიძლება ჩაითვალოს. საერთო მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა სანიმუშო სახელი დატოვეს. მათი გამოცდილება და განათლება კი დადებითად აისახა თავდაცვის ძალების განვითარებაზე. დღესაც აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა სამხედრო კუთხით, რაც სამეთაურო და ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, განვითარებას და განმტკიცებას ემსახურება. საქართველო ატიურად ცდილობს დანერგოს განვითარებული ქვეყნების სისტემური მოდელი, რაც უფრო ბრძოლისუნარიანს გახდის ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ძალების პირად შემადგენლობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაცვლითი პროგრამები ორმხრივ ხასიათს ატარებს. საქართველოში არაერთი საერთაშორისო სამხედრო და კულტურული ღონისძიებები ჩატარდა. სწორედ ასეთი მჭიდრო ურთიერთობა არის გარანტი თავისუფალი, დემოკრატიული და უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების.

სამხედრო კუთხით განვითარების გარდა, სახელმწიფოს უსაფრთხოების განმტკიცებისათვის აუცილებელია კვალიფიცირებული ადამიანური რესურსები. ამისათვის საჭიროა საქართველოს განათლების სისტემის მოწესრიგება. საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვან კომპო-ნენტად შესაძლოა მივიჩნიოთ უცხოური სამოქალაქო განათლების მიღების შესაძლებლობა.

საქართველოს განათლების სისტემის მენეჯმენტი ქვეყნის განვითარების და წარმატებული ცხოვრების წინაპირობაა. სწორედ ამ სისტემის გამართული ფუნქციონირების ხარჯზე არის შესაძლებელი ავიდეთ ჩვენს მიერ დასახული მიზნის უმაღლეს მწვერვალზე, საიდანაც გვექნება შესაძლებლობა ჩავწეროთ განვითარებული ქვეყნების ჩამონათვალში.

ბუნებრივია განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები და მათი ათვისებისათვის სწორი პოლიტიკის გატარება არ წარმოადგენს მარტივ ამოცანას. შესაბამისად, განათლების სისტემის მენეჯერებს აქვთ უდიდესი ვალდებულება, რათა უზრუნველყონ ქვეყნის განვითარებისთვის საუკეთესო საშუალების გამართული ფუნქციონირება.

საქართველოს განათლების სისტემას გააჩნია კონკრეტული სტრატეგიები, რომლებიც მიმართულია მაქსიმალური მიზნისაკენ. მენეჯერები ცდილობენ მყისიერად გადაჭრან მათ წინაშე წამოჭრილი არსებული და გაუთვალისწინებელი პრობლემები. განათლების სისტემამ ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა, რისი მიზანიც იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაწესებული სტანდარტის ჩარჩოებში მოქცევა ქართული სინამდვილიდან გამომდინარე.

დასკვნა

საბოლოო ჯამში საქართველოს უსაფრთხოების ელემენტების დამოკიდებულება პარტნიორ ქვეყნებთან მიმართებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან შევძლოთ თანამედროვე გამოწვევებთან შეჭიდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური მდგომარეობა და განათლების დონე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებაზე. ამ საკითხებში საქართველოს საგარეო პოლიტიკა თამამად შეგვიძლია დადებითად შევაფასოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

რობერტ არტი და რობერტ ჯერვისი - „საერათაშორისო პოლიტიკა“. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2011წ.)

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო. https://www.mes.gov.ge/

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. https://mfa.gov.ge/

ნატოს ოფიციალური საიტი. https://www.nato.int/

~~

რეკრუტინგი ტერორისტულ ორგანიზაციებში

მარიამ ჩიხლაძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტერორიზმის წარმოშობის მიზეზები, მასთან მიმართებაში გეოგრაფიული არეალის მნიშვნელობა და აქტუალურობა და ის ფსიქო-სოციალური მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებენ ტერორიზმში ადამიანთა ჩართულობას.

ტერორისტული ორგანიზაციები ძირითადად ადამიანთა ფსიქო-სოციალურ განწყობაზე მოქმედებენ. ისინი ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური ზემოქმედებებით ცდილობენ მოძებნონ მოხმრეები და გადაიბირონ ადამიანები. ეს ორგანიზაციები სარგებლობენ ქვეყნებში არსებული უმუშევრობით, ფინანსური არასტაბილურობით, სოციალური არეულობებით. გადაბირებისთვის იყენებენ სხვადასხვა, როგორც ძალადობრივ ისე ფსიქოლოგიურ ხერხებს. მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდა გავიხსენოთ, როდესაც ადამიანის პირველადი, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები ანუ უსაფრთხოების და სოციალური მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული - ძნელია სხვა ღირებულებების დაცვა მოსთხოვო ადამიანს. ტერორისტული ორგანიზაციები წინასწარ გამიზნულ ადამიანთა ჯგუფებს არჩევენ. გამიზნული აუდიტორიის ჩართვა კი სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციებისთვის მარტივია, როდესაც შესწავლილი გყავს ისინი და იცი მათი სუსტი მხარეები. შესაბამისად, ამ მხრივ ტერორისტული ორგანიზაციები მუდმივად აქტიურად მუშაობენ.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმი გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს. ეს არის ნაღმი, რომელიც შეიძლება ნებისმიერ წამს აფეთქდეს და არავინ იცის წინასწარ სად. როგორც წესი, ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნე აუდიტორია მშვიდობიანი მოსახლეობაა და ამასთან, იქ სადაც არ ელიან საფრთხეს. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სწორედ ამ კუთხით არსებულ შესაძლო გამოწვევებსა და საფრთხეებზე, გამომდინარე იქიდან, რომ დღესდღეობით მსოფლიოში ციფრული სამყაროს განვითარებამ და გავრცელებამ ხელი შეუწყო ზოგადად ინფორმაციის გავრცელებას და გავრცელების გამარტივებასაც. შესაბამისად, გარდა ფიზიკური საფრთხისა ინფორმაციული საფრთხეც გაზრდილია. ასევე, გაიზარდა მოთხოვნა ტერორიზმის წარმოშობისა და მისი რეკრუტინგის შესწავლაზეც. სწორედ აღნიშნული საკითხი მსოფლიოში აქტუალურობის გამო გახდა წინამდებარე ნაშრომის თემაც.

საკვანძო სიტყვები:
ტერორიზმი, ტერორისტული ორგანიზაციები, ინფორმაციული საფრთხე, რეკრუტინგი.

Recruiting in terrorist organizations

Mariam Chikhladze
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of State Recourse Management

Abstract

The present work discusses the causes of the origin of terrorism, the importance and relevance of the geographical area in relation to it, and the psycho-social characteristics that determine people's involvement in terrorism.

Terrorist organizations mainly act on people's psycho-social mood. They try to find customers and recruit people through economic, social da psychological influences. These organizations take advantage of the unemployment, financial instability and social unrest in the recruitment. In this regard, I would like to recall Maslow's pyramid of needs, according to which: when a person's primary, physiological needs, security and social needs are not satisfied, it is difficult to ask a person to protect other values.

Terrorist organizations select a pre-target group of people. Targeting audiences is easy for various terrorist organizations when you have studied them and know their weaknesses. Accordingly, in this regard, terrorist organizations are constantly working actively. Accordingly, in this regard, terrorist organizations are constantly working actively.

In the modern world, terrorism is a global threat. It is a mine that can explode at any moment and no one knows in advance where. As a rule, the target audience of terrorist organizations is the civilian population and at the same time, where they do not expect a threat. In this work, attention is focused on possible challenges and threats in this regard. Due to the fact that today the development and spread of the digital world in the world has contributed to the spread of information in general and simplification of the spread. Accordingly, in additional

to the physical threat, the informational threat has also increased. Also, the demand for studying the origin of terrorism and its recruitment has increased. Due to its relevance in the world, this issue become the topic of the present work.

Keywords:
terrorism, terrorist organization, information threat, recruitment.

შესავალი

ტერორიზმის წარმოშობის მიზეზად მრავალი ფაქტორი შეიძლება მივიჩნიოთ. მაგალითად, როგორებიცაა: რელიგიური ფანატიზმი, ეთნიკური სეპარატიზმი, პოლიტიკური რადიკალიზმი და სხვა. აღნიშნულის მიზეზები შესაძლებელია ვეძებოთ სხვადასხვა აზრთა უთანხმოებაში, თუმცა სუიციდური ტერორიზმის არსის გამოკვლევამ შესაძლებელია საკმაოდ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ და სოციალურ პრობლემებამდე მიგვიყვანოს. ამასთან, ტერორისტთა ჩამოყალიბების ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს ტერორიზმის განვითარების შეფერხებას და ნაბიჯ-ნაბიჯ მოახდინოს მათი გადმობირებაც კი. ზემოაღნიშნული საკითხები, როგორც გლობალური პრობლემა, მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისითაც, ვინაიდან ტერორიზმის მხრივ მოწყვლად რეგიონებში, სადაც გავრცელებულია რადიკალური ისლამი, მიმდინარეობს აქტიური რეკრუტინგული პროცესები. ტერორისტული ორგანიზაციები სხვადასხვა ხერხით ახდენენ მოხალისეთა რეკრუტირებას, იქნება ეს ძალადობრივი ქმედება, თუ ინტერნეტ რეკლამები. მოცემული საკითხის დინამიკაში შესწავლა კი საშუალებას მოგვცემს გაანალიზდეს საქართველოს ტეროგენული საფრთხეები და შესწავლილ იქნას საერთაშორისო რეგულაციები ტერორიზმთან ბრძოლაში.

კვლევა წარმოადგენს ერთგვარ სოციალურ-ეკონომიკურ თუ სხვა გარემოებათა გამოვლენას, რომლებიც ხელს უწყობენ ტერორისტული კერების ჩამოყალიბებასა და მოსახლეობის, მათ შორის ქალთა ჩართულობის სტატისტიკის ზრდას. შესაბამისად, ამ ასპექტების ცოდნა შესაძლოა გამოყენებულ იქნას ტერორისტული საფრთხეების შეფასებისა და მის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვისას.

ზემოაღნიშნულთან ერთად, კვლევის შედეგები საინტერესო უნდა იყოს როგორც ამ დარგში მომუშავე პიროვნებებისათვის, ისე ფსიქოლოგთათვის და იმ პირთა ჯგუფისთვის, ვინც დაინტერესებულია სახელმწიფოსა და ადამიანის უსაფრთხოებით.

ძირითადი ნაწილი

ტერორიზმის სათავედ შეიძლება მივიჩნიოთ 1605 წელი, როდესაც ინგლისის მეფის ჯეიმზ I-ის მოკვლა სურდათ აფეთქებით. თუმცა ისტორიაში ტერორი და ტერორიზმი კიდევ უფრო ადრე გვხვდება სხვადასხვა ქვეყანაში[1].

ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში ტერორისტული ორგანიზაციული დანაშაულები პირველივე საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ასე მაგალითად, იოსებ ფლავიუსი საკუთარ ნაშრომებში მოიხსენიებს „ზალოტების სექტას“, რაც ხმლიან კაცს ნიშნავს. აღნიშნული სექტისთვის დამახასიათებელი იყო სისტემატიური ტერორის განხორციელება.

ტერორის გამავრცელებელი ერთ-ერთი უძველესი დაჯგუფებაა ასევე ასასინების ორდენი. ისინი ტერორს ახორციელებდნენ სირიასა და ირანში. აღსანიშნავია, რომ თავად ტერორისტებს ღრმად სწამთ, რომ მათი ეს ტერორი უმაღლეს იდეას ემსახურებოდა და რომ შიშის დანერგვისთვის თავგანწირული „მეომარი“ სამოთხეში მოხვდებოდა.

გეოგრაფიული არეალი ტერორიზმმა XX საუკუნეში გააფართოვა. ფართობის გაზრდასთან ერთად, გაიზარდა ტერორისტების ფანტაზიაც. დღესდღეობით ტერორისტული აქტები შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ხმელეთზე, ისე საჰაერო სივრცეში. შეიძლება მიმართული იყოს, როგორც კონკრეტული ერთი პიროვნების, ისე საზოგადოების გარკვეული და ხშირ შემთხვევაში უდანაშაულო ჯგუფების მიმართ. ტერორისტული აქტი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ხერხის საშუალებით, როგორიცაა, მაგალითად, დანაღმვა, ამანათებსა და წერილებში ასაფეთქებელი ნივთიერების მოთავსება, სატრანსპორტო საშუალების აფეთქება და სხვა.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს რელიგიური ფანატიზმი. ესენი არიან პიროვნებები, რომლებიც რელიგიის სახელით სჩადიან დანაშაულს და კლავენ ადამიანებს. ძირითად ფუნდამენტურ რელიგიებში ძალადობრივი ქმედებები სულ იყო. მაშინ, როდესაც რელიგია სცდება ზღვარს და გადადის ფანატიზმში, ტერორიზმი მანიპულაციის საუკეთესო ხერხს მიმართავს. ადამიანები, რომლებიც არ და ვერ იღებენ სხვა სამყაროს და მათი შეცვლის მიზეზად რელიგიას ასახელებენ - არიან პოტენციური მკვლელები. დემონსტრაციული და დამანგრეველი ტერორიზმისგან განსხვავებით, სუიციდური ტერორიზმი კიდევ უფრო აგრესიული ფორმაა. პიროვნება, რომელიც დანაშაულს სჩადის თვითმკვლელობით, მას გადაწყვეტილი აქვს ფართო მასშტაბები მოიცვას და მაქსიმალური შედეგი მიიღოს. ტერორისტის ფსიქოლოგია საყურადღებოა; ესენი არიან ადამიანები, ვისაც წინასწარ აქვთ განსაზღვრული დაგეგმილი დანაშაული, ანუ შემთხვევა არ ხდება აფექტის მდ-

1 სოფო ჩქოფოია, „საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიულ პოლიტიკური ასპექტები.“ სოფო ჩქოფოია. თბილისი: უნივერსალი, 2017.

გომარეობაში, არ გამომდინარეობს კონკრეტული პიროვნების ან დაჯგუფების მიმართ არსებული აგრესიისგან, ამასთან გათვლილია მასებზე და საყოველთაო შიშის დანერგვაზე.

საყურადღეობა ტერორისტების ფსიქოლოგია - რა აიძულებს მათ გახდნენ მკვლელები თუ თვითმკვლელები. ადამიანს მსგავსი გადაწყვეტილების მისაღებად გარკვეული წინაპირობა სჭირდება; იქნება ეს ბავშვობის ტრავმა, ძალადობა თუ სირცხვილი, ყველა განცდა და ემოცია, გონებაში დალექილი და შემდგომში უარყოფით კონტექსტით გაღვივებული. ტერორიზმის ბუნება იმითაა საყურადღებო, რომ ტერორისტული ორგანიზაციები ეძებენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ადვილად აიყოლიებენ საკუთარი „დიადი“ მიზნების მისაღწევად.

ასოციალური ადამიანები, რომლებსაც ბავშობაში მიღებული აქვთ ტრავმა, არიან უარყოფილები საკუთარი ოჯახისაგან, ან სისტემატური ძალადობის (როგორც ფსიქოლოგიური ისე ფიზიკური) მსხვერპლნი არიან-კარგ სამიზნეებად შეიძლება ჩაითალონ. ასეთი ადამიანების გონება ბედნიერების ჰორმონს არ გამოიმუშავებს და სისტემატურად მიმართულია უარყოფითი ემოციებისაკენ, უარყოფითი შეგრძნებების და იმპულსებისკენ. მათი განწყობის ცვლილება მარტივია, ასევე მარტივია მათი დამორჩილებაც, რადგან სულ მუდამ ელოდებიან აპლოდისმენტებს.

ტერორისტების კიდევ ერთ სამიზნე და ყველაზე ბრმა ჯგუფს რელიგიური ფანატიკოსების ჯგუფი წარმოადგენს. ადამიანები, რომელთა მართვაც ღმერთის სახელით ხდება და რომლებიც შედეგებსაც კი არ კითხულობენ, არ იძიებენ, კითხვებს არ სვამენ, სწამთ და მორჩა[2].

80-იანი წლების შემდგომ ჩვენ გავხდით ე.წ. „ინფორმაციული აფეთქების“ მოწმენი. უკვე თითქმის შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ინფორმაციულ ქსელებზე დაშვებასა და მის გამოყენებას როგორც პირადი მოხმარებისას, ისე საყოფაცხოვრებო ტექნიკით სარგებლობისას. თუმცა უსაფრთხოების ზომების მიღება, რა თქმა უნდა, აქაც აუცილებელია. ბოლო პერიოდში იმატა ინფორმაციული თავდასხმების რიცხვმაც. თუკი გასულ საუკუნეებში ომს მხოლოდ ფიზიკური ხასიათი ჰქონდა, ბოლო რამდენიმე ათწლეულია მზარდი ტემპით განვითარებულმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა წარმოშვა კიდევ უფრო მრავალი პრობლემა, როგორიცაა ინფორმაციული ომი, კიბერშეტევები. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ინფორმაციულმა შეტევამ, რუსეთმა გატეხა საქართველოს სამთავრობო საიტები; გარდა ფიზიკურისა, შეტევები განხორციელდა კიბერსივრცეშიც.

ჩანასახში, ინტერნეტის დანიშნულება ინფორმაციის გაცვლა იყო, თუმცა დღეის მდგომარეობით აღნიშნული კარდინალურად არის შეცვლილი და ინტერნეტი ახლა უკვე წარმოადგენს გლობალურ ქსელს, რომელზეც პრაქტიკულად დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკეული ინდივიდების მიჯაჭვულობაზე სოციალურ ქსელებთან.

გლობალური ქსელის უსაფრთხოება კი თავისთავად მნიშვნელოვანია და ცალკეული ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოების მთავარ ამოცანად არის ქცეული. თუმცა აღნიშნული არ არის საკმარისი, რადგან კიბერშეტევები საკმაოდ გახშირდა და შესაბამისად გლობალური პრობლემის გადასაჭრელად მხოლოდ ცალკეული ქვეყნების მიერ გამკაცრებული კიბერუსაფრთხოება, საერთო პრობლემას არ გადაჭრის. საკითხი საჭიროებს საერთაშორისო თუ რეგიონულ მიდგომასა და თანამშრომლობას.

ინტერნეტი გახდა ასპარეზი მედიისა და მარკეტინგის. სოციალური მედია თავის არსებობას 21-ე საუკუნიდან ითვლის და გეომეტრიული პროგრესიით ვითარდება, მისი მომხმარებელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და არ აქვს მწშვნელობა ქვეყანა განვითარებულია, განვითარებადი თუ დაბალგანვითარებული, იგი ყველგან ერთნაირი პოპულარობით სარგებლობს. მეტიც, სოციალური მედიის გავლენა დაბალგანვითარებულ ქვეყნებში უფრო დიდია და შესაბამისად მოსახლეობაზე გავლენის დამყარება ბევრად მარტივია. ეს ფაქტი თავისთავად აისახება, როგორც ეროვნულ უსაფრთხოებაზე ისე რეგიონულ უსაფრთხოებაზე. სოციალური მედია არხები, როგორებიცაა ფეისბუქი, ტვიტერი, იუთუბი, ვიკიპედია და სხვ. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც იარაღი ხალხის წინააღმდეგ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალური მედიის საშუალებით ასევე შესაძლებელია სწორი ტაქტიკური ნაბიჯების გადადგმა ქვეყნის განვითარებისათვის, რისთვისაც მნიშვნელოვანია კონტორლი და სასურველი შედეგის მისაღწევად აქტიური მუშაობა, რათა არ მოხდეს ინტერნეტის უარყოფითად გამოყენება. სოციალური მედიის საშუალებით შესაძლებელია გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ, თუ სხვა სახის პროცესებზე მუდმივი მონიტორინგი სახელმწიფოს მხრიდან. მთლიანობაში, კომპლექსურად ეს პროცესი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ საგარეო საფრთხეები და მათი გავლენა საშინაო პოლიტიკაზე.

სოციალური მედია ხშირად ხდება ტერორისტული ორგანიზაციების ასპარეზი, ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად აქვეყნებენ პროპაგანდისტულ ვიდეოებს, რომელთა საშუალებითაც თესავენ შიშს. ასე მაგალითად, აქვეყნებენ ტერორისტული აქტის ამსახველ ვიდეო მასალას, მოუწოდებენ ფანატიკოსებს საკუთარ რიგებში გაწევრიანებისაკენ. კარგად შემუშავებული ფსიქოლოგიური ხრიკებისა და ძალადობის შერწყმით ახალ მომხრეებს იძენენ. ინფორმაციული ზემოქმედების ობიექტებად მიჩნეულია ძირითადად მოსახლეობა, სამიზნე აუდიტორია, ხდება მათ ცნობიერებაზე ზემოქმედება, ინფორმაციული ზემომქმედებისას არაა აუცილებელი ძალადობრივი ქმედების გამოყენება. თუმცა კომპლექსურად შესაძლებელია მისი გამოყენებაც კი.

კიბერტერორიზმი გამოიყენება ტერორისტული ორგანიზაციების მიერ და მიმართულია ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ. ხოლო ანტიკიბერტერორიზმი კი ტერორიზმის წინააღმდეგ მოქ-

2 ლობჟანიძე, მთარგმნელი: გიორგი. ყურანი, კავკასიური სახლი, 2016.

მედებს კიბერსივრცეში. სოციალური მედია საშუალებები სულ უფრო აქტიურად გამოყენებადია ტერორისტული ორგანიზაციების მიერ, მათი საშუალებით ხდება ინფორმაციის გაცვლა, კომუნიკაცია, იდეოლოგიის გავრცელება, როგორც ღია, ისე ფარული რეკრუტინგი.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს აქტიური ბრძოლა უწევს მშვიდობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის. პოპულარულობა შეიძინა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა და მათი ფანატიკოსი მიმდევრების რიცხვიც გაიზარდა. შესაბამისად პოტენციური საფრთხეც იზრდება. ეს არის საფრთხე, რომელიც როდის და სად იჩენს თავს, არავინ იცის. მას თან დააქვს მასიური შიში და სიკვდილის სურნელი.

დღეისათვის მსოფლიოში ბევრი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომლებიც განხორციელებულ ტერორისტულ აქტებზე შემოდგომში იღებენ პასუხისმგებლობას. მათ შორის ყველაზე დასამახსოვრებელი, რომელმაც მსოფლიოს შიშის გრძნობა ხანგრძლივი დროით ჩაუნერგა, არის ალ - ქაიდა და მის მიერ განხორციელებული 11 სექტემბრის ტერაქტი. ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული ტერორისტული აქტი მსოფლიოს სიმშვიდის დარღვევის ყველაზე ხმაურიანი, სისხლიანი მცდელობა იყო.

ალ - ქაიდა არის ღმერთის სახელს ამოფარებული ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება ერთიანი მართლმორწმუნე საღვთო რეჟიმის მსოფლიო ბატონობის იდეას.

ტერორისტული ორგანიზაციები დღეისათვის აქტიურად გამოიყენებენ ინტერნეტ სივცრცეს რეკრუტირების პროცესში[3]. მათ შორის ყველაზე აქტიურად სოციალური მედიის საშუალებებს გამოიყენებენ ისლამისტურ - ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაციები. მაგალითად, ალ - ქაიდა ხშირად იყენებს Facebook - სა და YouTube - ს მოხალისეთა დაქირავებისთვის და საკუთარი იდეოლოგიის გავრცელებისთვის, აგრეთვე, სოციალური სივრციდან ცდილობს სულ უფრო მეტი მომხრე შეიძინოს, განსაკუთრებით დასავლეთში[4]. ალ - ქაიდას ერთ-ერთმა ლიდერმა, კერძოდ, ანვარ ალ - ავლაქიმ შეიმუშავა სტრატეგია თუ როგორ გაავრცელოს სასურველი ინფორმაცია ინტერნეტით, რათა შეძლოს საკუთარი მიზნების განხორციელება. იგი მოკლეს 2011 წლის 30 სექტემბერს, იემენში, აშშ - ს სადაზვერვო სამსახურების სპეციალურმა ძალებმა. ანვარ ალ - ავლაქის „წარმატებულ“ იდეოლოგიურ ოპერაციად შეიძლება ჩაითვალოს აშშ - ს არმიის მაიორის ნადილ ჰასანის მიერ, ალ - ავლაქის სოციალური ქსელით გავრცელებული პროპაგნდის ზემოქმედებით, 13 ამერიკელი სამხედროს მკვლელობა და 43 - ს დაჭრა, რომელიც მოხდა აშშ - ში, სამხედრო ბაზაზე, ერაყში გამგზავრების წინ. ნადილ ჰასანი პროფესიით იყო ფსიქოლოგი და სამხედროებს უტარებდა ფსიქოლოგიური მომზადების კურსებს, მაგრამ ტერორისტული პროპაგანდის საშუალებით მისი გადაბირებაც კი შესაძლებელი გახდა. ამით კიდევ უფრო ცხადი ხდება რამდენად მნშვნელოვანია სოციალური სივრცის კონტროლი, რათა მოხდეს შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება[5].

გარდა ამისა, სოციალური ქსელები აქტიურად გამოიყენება ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის ინფორმაციისა და რჩევების გასაცვლელად. სოციალური მედია საშუალებებით და ზოგადად ინტერნეტით ტერორისტული ორგანიზაციები ავრცელებენ ექსტრემისტულ მასალებსა და იდეებს, რაც მათ საშუალებას აძლევს მოახდინონ რეკრუიტმენტი, ყოველგვარი შუამავლის გარეშე. ამის გარდა, სოციალური მედიასაშუალებები გამოიყენება პროპაგანდისტული მიზნების მისაღწევად, კერძოდ, ავრცელებენ ინფორმაციას და შესაბამის მასალებს წარმატებულად ჩატარებული ტერორისტული ღონისძიებების შესახებ, რითაც თესავენ მოსახლეობაში პანიკას. აგრეთვე, ვრცელდება სხვადასხვა ხასიათის დეზინფორმაციული მასალები და ინფორმაცია ტერაქტის ჩატარების შესახებ, რომლის მიზანს ასევე წარმოადგენს პანიკა. ამ დროს მოსახლეობის გარდა, სავარაუდო თავდასხმის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს კონკრეტული პირი, ფინანსური ინსტიტუტები, პოლიტიკური ორგანიზაციები ან მსხვილი კომპანიები.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმი აქტუალური პრობლემაა და ტერორიზმის ფსიქოლოგიის შესწავლა საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ტერორისტების ნაბიჯები, ან და გამარტივდეს ტერორისტთა იდენტიფიცირების ინდიკატორები[6].

დღეისათვის მსოფლიოში სწრაფად ცვალებადია ტერორიზმის პრობლემის მაპროვოცირებელი მიზეზები და გარემოებები, რაც სოციალური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობების გადახედვასა და ხელახალ შესწავლას მოითხოვს. რეკრუტინგი ტერორიზმში ბოლო პერიოდში მზარდია და საჭიროებს განამაპირობებელი ფაქტორების მოძიებასა და ანალიზს. ძალადობა, რომლის ძირითად ინტერესს მასიური შიშის დანერგვა წარმოადგენს და ძირითადად შეიძლება მიმართული იყოს უდანაშაულო ადამიანების მიმართ, საყოველთაო შიშის დასანერგად საჭიროებს დინამიკაში შესწავლას.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტერორიზმის ისტორია, გამოკვეთილია ის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს ტერორისტების ფსიქოპორტრეტების

3 ვლადიმერ სვანაძე. 2015. “კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები.” ვლადიმერ სვანაძე. თბილისი.

4 Altınay, Ayşe Gül. 2018. “Türkiye’de kadına yönelik şiddet,.”

5 ერსანი, ოსმან, “ქალი ისლამში.” ოსმან ერსანი. ბათუმი: ერქანი, 2020.

6 ნ. გელოვანი, „ქალის ადგილი და როლი VII-X სს. მუსლიმურ საზოგადოებაში“, ნანი გელოვანი. თბილისი, 2005.

შედგენას, თუ რა უბიძგებს მათ ძალადობრივი ქმედებების განხორციელებისკენ. ასევე, ამ მხრივ აქტიური ქვეყნების გეოგრაფიულ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებათა ანალიზი, სოციალური სივრცის დინამიკაში შესწავლა საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ტერორისტული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მანიპულაციური ხერხები, რისი საშუალებითაც აწარმოებენ რეკრუტინგის პროცესს. ეს კი ერთგვარი გასაღებია, რომელიც ცვალებადი ტერორისტული ვითარების მიუხედავად, გამოკვეთავს მსოფლიოს უსაფრთხოების წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს.

გამოყენებული ლიტერატურა

გელოვანი, ნანი. 2005. ქალის ადგილი და როლი VII-X სს. მუსლიმურ საზოგადოებაში, ნანი გელოვანი. თბილისი.

ლობჟანიძე, მთარგმნელი: გიორგი. 2016. ყურანი. კავკასიური სახლი.

სვანაძე, ვლადიმერ. 2015. "კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები." ვლადიმერ სვანაძე. თბილისი.

ჩქოფოია, სოფო. 2017. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.

ჩქოფოია, სოფო. 2017. „საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიულ პოლიტიკური ასპექტები.“ სოფო ჩქოფოია-ის მიერ. თბილისი: უნივერსალი.

ჯაველიძე, ელიზბარ. 2021. "თურქულენოვან ხალხთა ზნეობრივ ესთეტიური სამყარო", 1 ტომი, ელიზბარ ჯაველიძე. თბილისი.

ერსანი, ოსმან. 2020. "ქალი ისლამში." ოსმან ერსანი. ბათუმი: ერქანი.

Altınay, Ayşe Gül. 2018. "Türkiye'de kadına yönelik şiddet,."

საქართველოს ნატოში გაწევრიანების პოლიტიკის ფორსირების მიზანშეწონილობა ქვეყნის დეოკუპაციისა და უსაფრთხოებისთვის

ნათია სუბარი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აქტიური პოლიტიკის აუცილებლობის დასაბუთებას საქართველოს სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გზაზე, რისთვისაც უნდა ჩამოყალიბდეს კომპლექსური პოლიტიკა და შედეგად უნდა მოჰყვეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში გაწევრიანება. ნაშრომში დეტალურად განხილულია ალტერნატივები, როგორებიც არის: ნატოში გაწევრიანების აქტიური პოლიტიკის წარმოება, ნატოში გაწევრიანების პასიური პოლიტიკის წარმოება ან სამხედრო ნეიტრალიტეტის გატარება. წარმოდგენილია შესაბამისი ისტორიული და გეოპოლიტიკური ანალოგიები, რომლებიც თავის მხრივ საჭირო გამოცდილებას გვაძლევს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

განხილულია მოლდოვას მიერ წარმოებული პოლიტიკა და დნესტრისპირეთის საკითხი, როგორც ერთგვარი ანალოგი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან და ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, რომელიც ძირითადი დაბრკოლებაა სამხედრო ალიანსში წევრობის გზაზე. საკითხი განიხილება მოლდოვასა და საქართველოს საერთო, ევროატლანტიკური მისწრაფებების ჭრილში.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის მოლდოვასა და საქართველოს მისწრაფებებს, გახდნენ ნატოს წევრები. თუმცა, ეს კონფლიქტები სულაც არ გამორიცხავს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივას. გადაუჭრელი კონფლიქტების მქონე ქვეყნების ნატოში გაწევრიანების გზა რთულია და მოითხოვს სხვადასხვა ფაქტორების გულდასმით გათვალისწინებას, თუმცა პრეცედენტი არსებობს და ამ პრეცედენტის გამოყენება შესაძლებელია (იგულისხმება საბერძნეთისა და გერმანიის ქეისები).

ნაშრომში დასაბუთებულია მოსაზრება, რომ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და პასიური გაწევრიანების პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში საფრთხეს წარმოადგენს. მხოლოდ აქტიური გაწევრიანების პოლტიკამ შეიძლება უპასუხოს წევრობის გამოწვევას ყოვლისმომცველად და დადგეს შედეგი, რომელსაც ნატოს წევრობა ჰქვია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრობა მოიაზრებს ღირებულებების ერთობას, თითოეული ღირებულება კი რომლებიც ამ გაერთიანებებს გააჩნიათ, მიმართულია სახელმწიფოს უწყვეტი განვითარების, დემოკრატიის მშენებლობის, ეკონომიკური წინსვლისა და თავდაცვისუნარიანობის ზრდისაკენ, მკაფიოდ დავინახავთ, რომ ერთადერთი გზა, რომელიც გვაქვს წინსვლისთვის არის აქტიური გაწევრიანების პოლიტიკა.

ნაშრომი სარეკომენდაციო ხასიათისაა და დაინტერესებულ პირებს აძლევს საშუალებას დაინახოს მკვეთრი განსხვავება აქტიურ, პასიურ და ნეიტრალურ პოლიტიკას შორის და აჩვენებს უპირატესობებს, რომლებიც აქტიური გაწევრიანების პოლიტიკის წარმოების მცდელობას გააჩნია, მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდში იქნება შედეგი მიღწეული.

საკვანძო სიტყვები:
საქართველო, ნატო, პოლიტიკა, უსაფრთხოება.

The expediency of forcing Georgia's NATO membership policy for Georgia's de-occupation and security

Natia Subari
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of State Recourse Management

Abstract

The present paper aims to substantiate the necessity of an active policy, in the way of protecting the sovereignty, security and territorial integrity of Georgia. For this reason, there should be formed a complex policy, which would lead to joining the North Atlantic Alliance and the European Union. The paper discusses in detail alternatives such as pursuing an active policy of NATO membership, pursuing a passive policy of NATO membership, or maintaining military neutrality. We have presented similar historical and geopolitical analogies, which in turn show the necessary mechanisms on the way to joining NATO and the European Union.

The policy made by Moldova and the proposal of Transnistria are discussed as a kind of analogy in relation to the Russia-Georgia conflict and the occupied territories, which is the main obstacle on the way to membership in the military alliance. The issue is discussed in terms of common Euro-Atlantic aspirations of Moldova and Georgia.

The paper has emphasized the reasons, creating challenges to Transnistria, Abkhazia and South Ossetia, and the aspiration of Moldova and Georgia to become NATO members. However, these topics are not necessarily related to membership. However, these conflicts do not necessarily exclude the prospect of joining NATO. The path to NATO membership for countries with unresolved conflicts is complex and requires careful consideration of various factors, but precedent exists and can be used (ie the cases of Greece and Germany).

The paper argues that political neutrality, a policy of passive accession, is a long-term security. Only an active accession policy can respond to the challenge of membership and lead to the outcome called NATO membership.

If we take into account that the membership of NATO and the European Union implies a unity of values, and each value that these unions have is aimed at the continuous development of the state, the building of democracy, economic progress and the increase of defense capabilities, we will clearly see that the only way forward for us is an active accession policy.

There is a distinct advantage between seen and neutral policies that attempts to produce an active accession policy, regardless of the outcome.

Keywords:
European Union, South Caucasus region, geographical and geopolitical importance, Eastern Partnership.

შესავალი

ქვეყნები როდესაც ქმნიან ალიანსს, ეს არის თამაშის საერთო წესებზე შეთანხმება და მათ შორის მოქმედებს შეკავებისა და დაბალანსების პრინციპი, ხოლო გარეშე მტრებთან ისინი წარმოდგენილი არიან ერთიანი პოზიციით. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია, რომლის წევრობაც პატარა ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია[1].

მტკიცედ გვწამს, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს მკაფიო ევროატლანტიკური კურსი და მან უნდა აწარმოოს აქტიური პოლიტიკა, მიუხედავად მის წინაშე არსებული გამოწვევებისა, მათ შორის დეოკუპაციის საკითხში.

აქტიური პოლიტიკის წარმოების უპირატესობები აბათილებს იმ რისკებს, რომლებსაც ,,რუსული საფრთხე" შეიძლება ვუწოდოთ და საჭირო ბენეფიტების მომტანია საქართველოსთვის. პასიური პოლიტიკის გატარებისა ან სამხედრო ნეიტრალიტეტის შემთხვევაში, სახეზე გვაქვს ნაკლოვანებები, რომლებიც ქვეყნისათვის დამღუპველია. აქტიური პოლიტიკა წარმოადგენს გრძელვადიან პერიოდში შედეგზე ორიენტირებულ ერთადერთ სწორ ქმედებას[2].

ძირითადი ნაწილი

ევროატლანტიკური მისწრაფების პოლიტიკა

საქართველოს ნატოში გაწევრიანების ფორსირების მიზანშეწონილობა ქვეყნის დეოკუპაციისა და უსაფრთხოებისათვის მხოლოდ აქტიური პოლიტიკის წარმოებითაა შესაძლებელი. საკითხი კი დგას შემდეგნაირად: ნატოს წესდების მე-5 მუხლით[3] განსაზღვრულია, რომ წევრი ქყვეყნებიდან ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად ნატოს წესდების 51-ე მუხლით გათვალიწინებული ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების[4] საფუძველზე. ამასთან, მხარეები დახმარებას გაუწევენ საფრთხის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს და განახორციელებენ ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით. საკითხის აქტუალობა და მიმართულების სისწორე შესაძლებელია დავასაბუთოთ შემდეგნაირად:

- ინსტრუმენტების დონეზე, შეიარაღებული მზადყოფნის დონეზე, საქართველოს მიერ აქტიური გაწევრიანების პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში, ქვეყნის მიერ აღებული და შესრულებული საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, საქართველო იდგება იმ დონეზე, რა დონეზეც ნატოს წევრი ქვეყნები და თუ წევრობა მიუღწეველი იქნება, ეს ფაქტორი ისევ საქართველოს გაძლიერებას მოხმარდება.
- ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო გაერთიანება და იგი არის აგრეთვე დემოკრატიების გაერთიანება. საქართველო უნდა გახდეს იმ ტიპის დემოკრატია, რომელიც თავსებადი იქნება სახელმწიფოებრიობის დონით, კანონის უზენაესობით ნატოს წევრ ქვეყნებთან. აქტიური გაწევრიანების პოლიტიკის შემთხვევაში, ისევ ქვეყნის წინსვლას მოხმარდება მიღწევები.
- აქტიური გაწევრიანების პოლიტიკა გვერდს ვერ აუვლის რუსეთის ფაქტორს, თუმცა ეს ქვეყნისაგან დამოუკიდებელი ფაქტორია. საქართველომ პირველ რიგში უნდა შეასრულოს საშინაო დავალება, ვინაიდან ღიად, საჯაროდ, ფორუმზე ან სამიტებზე, ვერასოდეს ვერცერთი ნატოს წევრი ქვეყანა ვერ იტყვის, რომ უარს გვეუბნება წევრობაზე მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთს ასე უნდა. ნატო ეძებს საბაბს, რომ გვითხრას უარი. მნიშვნელოვანია უარის მიზეზი გამოვაცალოთ ხელიდან.
- საქართველოს აქვს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემები და ალიანსს არ სურს ჩაერთოს შეიარაღებულ დაპირისპირებაში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში; აქტიური გაწევრიანების პოლიტიკა უნდა იწარმოოს იმგვარად, რომ საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანდეს დათქმით, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ გავრცელდება.
- არსებობს პრეცედენტები, როდესაც კონფლიქტის მქონე ქვეყანა გაწევრიანდა ნატოში. დასავლეთ გერმანია ნატოს წევრი გახდა 1955 წელს. ცივი ომის დასრულებისა და გერმანიის გაერთიანების შემდეგ კი აღმოსავლეთ გერმანიაც შეუერთდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. ეს მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოშიც.
- აქტიური გაწევრიანების პოლიტიკა და მისი სწორად მიტანა მოსახლეობამდე, სწორი მუშობა რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ-თითქოს წევრობა ნიშნავს ომში ჩართვას, გააძლიერებს მოსახლეობის მოტივაციას.

---

1 მეძმარიაშვილი, ე., შუბლაძე, თ., & აბაშიძე, ზ. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2017.

2 საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2019-2022; https://mfa.gov.ge/Foreign-Policy-Strategy

3 https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka

4 იხ.გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესესდება https://georgia.un.org/ka

დნესტრისპირეთის უსაფრთხოების გარემოს ანალიზი

საკითხის განსახილველად გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალოგიების მოყვანა, ვფიქრობთ, ნათელ სურათს წარმოაჩენს. ამ შემთხვევაში, დეტალურად გვინდა მიმოვიხილოთ დნესტრისპირეთის კონფლიქტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან მიმართებაში.

ორი სახელმწიფო, რომლებსაც რუსეთმა კონფლიქტები შეუქმნა, ომები აწარმოა, ოკუპაცია მოახდინა და შემდგომში ეს კონფლიქტები გაყინა აღიარების გზით, არის საქართველო და მოლდოვა.

დნესტრისპირეთი არის სეპარატისტული რეგიონი[5], რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ ევროპაში, ძირითადად მდინარე დნესტრის აღმოსავლეთ სანაპიროზე. 1990 წელს მან დამოუკიდებლობა გამოაცხადა მოლდოვასგან, რამაც გამოიწვია კონფლიქტი, რომელიც დღემდე მოუგვარებელია. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იგი რუმინეთის შემადგენლობაში შევიდა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირმა დაიპყრო. 1990 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყო, დნესტრისპირეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა ახლად დამოუკიდებელობა მოპოვებული მოლდოვას რესპუბლიკისაგან. ფაქტმა გამოიწვია ძალადობრივი კონფლიქტი მოლდოვასა და სეპარატისტებს შორის, რომლებსაც თავის მხრივ მხარს უჭერდა რუსეთი. ცეცხლის შეწყვეტა 1992 წელს დაიწყო ეუთოს ძალისმევით, რომელმაც შექმნა უსაფრთხოების ზონა დნესტრის გასწვრივ. რეგიონი რჩება დე ფაქტო დამოუკიდებლად და არ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობების მიერ. რუსეთს დნესტრისპირეთი არ უღიარებია, თუმცა უზრუნველყოფს მის ეკონომიკურ და სამხედრო მხარდაჭერას. მოსახლეობა რუსულენოვანია და რეგიონში რუსული ჯარები დგას დღემდე, რაც ევროპის შუაგულში დიდი საფრთხეა. მოსახლეობა ეთნიკური რუსები, უკრაინელები, მოლდოველები არიან.

რუსეთის გავლენა დნესტრისპირეთის კონფლიქტში მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგიონში უსაფრთხოების კუთხით. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს აქვს მჭიდრო კავშირები რეგიონთან, რომელიც იწყება იმ დროიდან, როდესაც ის რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო. დნესტრისპირეთის ბევრი მაცხოვრებელი იდენტიფიცირდება როგორც ეთნიკური რუსი და ჩვეულებრივ საუბრობენ რუსულად. ამ ისტორიულმა და კულტურულმა ნათესაობამ რუსეთს რეგიონში გავლენის განმტკიცების საფუძველი მისცა. რუსული ჯარების მუდმივი ყოფნა დნესტრისპირეთში მოლდოვასა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის დაძაბულობისა და შეშფოთების საგანია, რადგან ეს რეგიონში რუსული გავლენის სიმბოლოდ განიხილება.

რუსეთმა დნესტრისპირეთს ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწია, რამაც ხელი შეუწყო დნესტრისპირეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ძალაუფლების შენარჩუნებას. რეგიონი ეყრდნობა რუსეთს ვაჭრობისა და ბაზრებზე წვდომისთვის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს რუსეთის გავლენას. რუსეთმა გამოიყენა თავისი გავლენა დნესტრისპირეთის კონფლიქტში, როგორც ბერკეტი მოლდოვასთან და უფრო ფართო რეგიონთან ურთიერთობაში.

რუსეთმა ოფიციალურად არ აღიარა დნესტრისპირეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაგრამ მხარი დაუჭირა რეგიონის თვითგამოცხადებულ ხელისუფლებას. ამ პოზიციამ შეინარჩუნა დნესტრისპირეთი გაურკვეველ მდგომარეობაში, არც სრულად იქნა აღიარებული და არც მოლდოვაში ინტეგრირებული.

რუსეთის ინტერესი დნესტრისპირეთის მიმართ განიხილება, როგორც მისი ფართო გეოპოლიტიკური მიზნების ნაწილი რეგიონში. ამ რეგიონის არასტაბილურობა და გადაუჭრელი სტატუსი შეიძლება გახდეს რუსეთისთვის მოლდოვაზე გავლენის მოხდენის და გარკვეული კონტროლის შენარჩუნების ინსტრუმენტი.

საერთაშორისო თანამეგობრობამ, მათ შორის ევროკავშირმა და აშშ-მა, მოუწოდა რუსეთს გაიყვანოს თავისი სამხედრო ძალები დნესტრისპირეთიდან და მხარი დაუჭიროს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. რუსეთს რეგიონში მისი ქმედებების საპასუხოდ სანქციები დაუწესდა.

დნესტრისპირეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დეფაქტო რესპუბლიკების შედარებითი ანალიზი

დროა გავავლოთ პარალელები მოლდოვის დამოკიდებულებაზე დნესტრისპირეთის კონფლიქტთან და საქართველოს დამოკიდებულებაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკებთან. სამივე კონფლიქტი, რომელიც მხარდაჭერილია რუსეთის მიერ, შეიძლება ამ დროისათვის ხასიათდებოდეს როგორც გაყინული კონფლიქტები. რუსეთი აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს და ინარჩუნებს სამხედრო ძალებს ორივე რეგიონში. ძალები ჰყავს აგრეთვე დნესტრისპირეთში, თუმცა იგი არ უღიარებია. მოსახლეობა მნიშვნელოვანი ფაქტორია. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეთნიკურად შერეული მოსახლეობაა, მაშინ, როდესაც დნესტრისპირეთში ძირითადად რუსულენოვანი მოსახლეობაა.

სამივე კონფლიქტის შემთხვევაში, სახეზე გვაქვს სადავო საზღვრები. კონფლიქტები უარყოფით გავლენას ახდენენ ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე როგორც საქართველოსათვის, ასევე

5 შამუგია, ვ. (2019). დნესტრისპირეთის კონფლიქტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (გვ. 162). თბილისი:

მოლდოვასათვის.

კონფლიქტები იზიარებენ რამოდენიმე მახასიათებელს. მათ შორის არის სტატუსი გაყინული კონფლიქტი. ეს კონფლიქტები წარმოადგენს კომპლექსურ გამოწვევებს მათი მასპინძელი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და სტაბილურობისათვის. დე ფაქტო ხელისუფლებები აკონტროლებენ სეპარატისტულ რეგიონებს. ამ ერთეულებს აქვთ საკუთარი მთავრობები, უსაფრთხოების ძალები და ადმინისტრაციული სტრუქტურები, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშრისო საზოგადოება მას არ აღიარებს.

ნატოს დამოკიდებულება არაწევრი სახელმწიფოებისადმი მიმდინარე კონფლიქტების პირობებში

ნატოს ღია კარის პოლიტიკა: ნატო ინარჩუნებს „ღია კარის პოლიტიკას“, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ნატოს წევრობის კრიტერიუმებს, უფლება აქვთ განაცხადონ წევრობისთვის, მიუხედავად მათი ამჟამინდელი უსაფრთხოებისა თუ ტერიტორიული დავებისა[6].

კონფლიქტის გადაწყვეტა: ნატო მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, აქტიურად ეძიონ მშვიდობიანი გადაწყვეტილებები თავიანთი კონფლიქტებისთვის. პროგრესი კონფლიქტების მოგვარებისა და სტაბილურობის მიღწევაში მიმდინარე დავების მქონე რეგიონებში დადებითად განიხილება ალიანსის მიერ.

ორმხრივი დავები: ნატო-ში გაწევრიანება შეიძლება გართულდეს, როდესაც მეზობელ ქვეყნებთან არის გადაუჭრელი ორმხრივი დავები. რუსული ჯარების ყოფნა აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში, ისევე როგორც რუსეთის მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება, სირთულის ფენას მატებს საქართველოსა და მოლდოვაში არსებულ სიტუაციებს. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კოლექტიურ თავდაცვაზე, მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს კონფლიქტების მოგვარებისა და სტაბილიზაციის კუთხით.

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მართლაც გამოწვევას უქმნის მოლდოვასა და საქართველოს მისწრაფებებს, ისინი ავტომატურად არ ამცირებენ ამ ქვეყნების ნატოს წევრობის შანსს. ნატოში გაწევრიანებისკენ მათი პროგრესის ძირითადი ფაქტორები მოიცავს კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის ძალისხმევას, დემოკრატიული რეფორმებისადმი მათი ერთგულების დემონსტრირებას და ნატოს წევრი ქვეყნების მხარდაჭერის შენარჩუნებას.

უსაფრთხოების პოლიტიკის ალტერნატიული მიდგომები

საქართველოს მიერ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე აქტიური პოლიტიკის წარმოება ერთადერთი გზაა, რომლითაც შეიძლება მთავარ მიზნამდე-წევრობამდე მივიდეთ. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან ასოცირდება.

ნაშრომში უნდა მიმოვიხილოთ ალტერნატიული ქმედებებიც, როგორიცაა პასიური პოლიტიკა და სამხედრო ნეიტრალიტეტი.

ნატოში გაწევრიანების პასიურ პოლიტიკას ბევრი მომხრე ჰყავს საქართველოში. აღნიშნულ პოლიტიკას გააჩნია როგორც ნაკლი, ასევე უპირატესობები; საქართველოს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია საქართველოს ნატოში გაწევრიანების დასაჩქარებლად[7].

ნატოში ბალტიისპირეთის ქვეყნების გაწევრიანება და დსთ-ს ქვეყნების არგაწევრიანების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამგვარი მიდგომა კონტრპროდუქტიულია[8]. რუსეთის მუქარების, მათ შორის ბირთვული მუქარების მიუხედავად, ნატოში გაწევრიანების პროცესის გააქტიურების, კერძოდ შიდა დემოკრატიული რეფორმების ბოლომდე გატარების და მუდმივი დიპლომატიური აქტივობების შედეგად, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მოახერხეს ნატოელ მოკავშირეებში კონსენსუსის მიღწევა, რასაც ნატოში მათი უმტკივნეულოდ გაწევრიანება და რუსეთთან სტაბილური ურთიერთობების დამყარება მოჰყვა.

ამ სიტუაციაში, ქვეყნის ნატოში გაწევრიანება რჩება ერთადერთ უალტერნატივო გზად ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მისი დემოკრატიული განვითრების შეუქცევადობისათვის. საკითხის აქტუალიზაციისათვის, საქართველოს მთავრობის მხრიდან აქტიური, თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება, როგორც დიპლომატიურ ასპარეზზე, ასევე დემოკრატიული რეფორმების გატარების კუთხით, ძალზე მნიშვნელოვანია. პასიური პოლიტიკის მიზანია რუსეთის არგაღიზიანება, რაც საბოლოო ჯამში უფრო აძლიერებს მის გავლენებს რეგიონში და საქართველოს სახელმწიფოებრიობას

6 https://old.infocenter.gov.ge/nato-enlargement/#1

7 ნ. ჩიტაძე, ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.

8 https://www.transparency.ge/ge/post/koalicia-evroatlantikuri-sakartvelostvis-gancxadeba-sakartvelos-natoshi-gacevrianebis?fbclid=IwAR0OPVcHixmkcgkKI3R-CN5q_EvC8IyyyyAxpM9QfXg1irpGVAQD5T5MD0M

უდიდეს საფრთხეს უქმნის[9].

სამხედრო ნეიტრალიტეტის ცნება

განასხვავებენ ნეიტრალიტეტის ორ სახეობას; ნეიტრალიტეტი ომის დროს, რაც გულისხმობს გარკვეული სახელმწიფოს განცხადებას, რომ არ იღებს მონაწილეობას არც ერთი მეომარი სახელმწიფოს მხარეზე და არც დამოუკიდებლად აწარმოებს მტრულ პოლიტიკას მათ წინააღმდეგ[10]. ასეთ ნეიტრალიტეტს იცავენ მხოლოდ მოცემულ ომში და შეიძლება გაუქმდეს სახელმწიფოს ცალმხრივი აქტით. ჰააგის კონვენციის მიხედვით[11], ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორია ხელშეუხებელია. მეომარ სახელმწიფოებს ეკრძალებათ მის ტერიტორიაზე ჯარების გატარება, იარაღისა და სამხედრო მასალების გადატანა და სხვა[12].

მეორე სახეობას წარმოადგენს მუდმივი ნეიტრალიტეტი. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს, არ მიიღოს მონაწილეობა სხვა სახელმწიფოებს შორის შესაძლო შეიარაღებულ კონფლიქტებში, არ შევიდეს სამხედრო კავშირებსა და ბლოკებში, არ დაუთმოს თავისი ტერიტორია უცხოეთის ჯარებსა და სამხედრო ბაზებს. მაგალითად, შვედეთს ჰქონდა გამოცხადებული ნეიტრალიტეტი, თუმცა გაანალიზა რა რუსეთიდან მომავალი საფრთხე რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, 2022 წლის 5 აპრილიდან ოფიციალურად შეუერთდა ალიანსის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მყოფ სხვა სახელმწიფოებს.

ისეთი დიდი საფრთხის შემთხვევაში, როგორიც საქართველოსთვის რუსეთია, ერთადერთ ალტერნატივად ალიანსში გაერთიანება გვევლინება. ნეიტრალიტეტი პატარა ქვეყნებისთვის დამღუპველია.

აქტიური პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები

აქტიური გაწევრიანების პოლიტიკის გამოყენების დადებითი მხარეები: ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს არ აქვს არცერთი მოთხოვნა, რომელიც საბოლოოდ ხელს არ უწყობს ქვეყნის განვითარებას ეკონომიკურ, დემოკრატიულ თუ სამხედრო დონეზე. საშინაო დავალებების შესრულება საბოლოოდ ქვეყნის კეთილდღეობისაკენ მიმართული ქმედებებია, სამხედრო, დემოკრატიული თუ ეკონომიკური გაძლიერების გზით. გაწევრიანების პოლიტიკა გულისხმობს მუდმივ პროგრესს, რაც ნებისმიერ შემთხვევაში წაადგება ქვეყანას.

უარყოფითი მხარეები: მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს, ამასთან, ქვეყნისაგან დამოუკიდებლად არსებობს რუსული საფრთხე, თუმცა ეს არ შეიძლება იყოს არგაწევრიანების მიზეზი. რუსეთს გაწევრიანების გარეშეც ოკუპირებული აქვს ქვეყნის 20% და თუ მე-5 მუხლი არ გავრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დარჩენილი ტერიტორია იქნება დაცული მათ შორის მცოცავი ოკუპაციისაგან.

დასკვნა

პოლიტიკური პროცესების პროგნოზირება, მით უფრო დღევანდელ, მეტად დინამიკურ და ცვალებად სამყაროში ძალიან რთული და სარისკო საქმეა. ძნელი სათქმელია, რა ელის ოკუპირებულ და თვითგამოცხადებულ რეგიონებს, რომლებიც დიდწილად რუსეთის შეფარული პოლიტიკის მძევლები არიან. ფაქტი კი ერთია, სამივე ტერიტორია, ვგულისხმობთ დნესტრისპირეთს, აფხაზეთის არაღიარებულ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის არაღიარებულ რესპუბლიკას, ეკონომიკურად სუსტი და მეტწილად რუსეთის ხარჯზე მცხოვრები ტერიტორიებია. რუსი სამხედროების წყალობით კი არაღიარებულ რესპუბლიკებს ჰყავთ არმიები და რაც მთავარია, ახალი თაობები, რომლებსაც ერთიან სახელმწიფოებში (საქართველო და მოლდოვა) ცხოვრების არც გამოცდილება და სავარაუდოდ არც სურვილი აქვთ. თაობებთან დაკავშირებული პრობლემები მითუფრო მწვავედ დგას თანამედროვე საინფორმაციო დეფიციტის პირობებში, მხოლოდ რუსულენოვან რესურსებთან წვდომის პირობებში და მუდმივად მიმდინარე საინფორმაციო ომში, ადგილობრივთა ცხოვრების დაბალი დონით მანიპულირებით და სხვა.

აქტიური გაწევრიანების პოლიტიკა ევროატლანტიკური შეთანხმების მე-5 პუნქტის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე გაუვრცელებლობის პირობით არის ერთადერთი გამოსავალი, დემოკრატიული, ძლიერი საქართველოს განვითარებისათვის. აღნიშნული კი შესაძლებელია თუ მოხდება :

1. ქვეყნის შიდა დემოკრატიული რეფორმების, აგრეთვე სასამართლო და უსაფრთხოების სექტორის რეფორმების დაჩქარება და მათში ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების რეკომენდაციების გათვალისწინება, ჩართულობა და მონაწილეობა;
2. ნატოს მომავალი სამიტებისთვის საქართველოს პოზიციისა და მოთხოვნების მკაფიოდ

9 https://netgazeti.ge/news/391063/

10 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5455

11 ნეიტრალური სახელმწიფოს უფლება მოვალეობები გადმოცემულია ჰააგის 1907 წლის კონვენციის მე-5 და მე-13 სექციებში

12 ნეიტრალური სახელმწიფოს უფლება მოვალეობები გადმოცემულია ჰააგის 1907 წლის კონვენციის მე-5 და მე-13 სექციებში

ჩამოყალიბება, არგუმენტაცია, რატომ იმსახურებს საქართველო წევრობას და რა სიკეთეების მომტანია საქართველოს წევრობა თავად ორგანიზაციებისათვის;

3. ნატოს წევრი ქვეყნების აკადემიურ წრეებთან აქტიური თანამშრომლობა, ისევე, როგორც მედია და არასამთავრობო სექტორებთან. თანამშრმომლობის ფარგლებში გამოცდილების გაზიარება და საქართველოს ნატოში გაწევრიანების ხელშემწყობი საკითხების განხილვა და ერთობლივი პროგრამების განხორციელება;
4. ანტიდასავლურ პროპაგანდასთან საბრძოლველად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის ინტენსიური, კოორდინირებული და თანმიმდევრული სტრატეგიული კომუნიკაციის გზით;

ყოველივე ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელება, ჯამში უტოლდება აქტიური გაწევრების პოლიტიკის წარმოებას, რაც საქართველოს წინსვლას და განვითარებას მოხმარდება.

გამოყენებული ლიტერატურა

მეძმარიაშვილი, ე., შუბლაძე, თ., & აბაშიძე, ზ. (2017). ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი.

შამუგია, ვ. (2019). დნესტრისპირეთის კონფლიქტი . ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (გვ. 162). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჩიტაძე, ნ. (2008). ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მარგალიტაძე,თ.მელაძე,გ. ხუნდაძე,გ.ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი.ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრი.

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ.

1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრითა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

1907 წლის კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი,4 აპრილი,1949.

www.tsu.ge

www.nplg.gov.ge

www.matsne.gov.ge

www.infocentre.gov.ge

www.mfa.gov.ge

www.transparency.ge

საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გავლენა ქვეყნის განვითარებაზე

ნინო ბარბაქაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ეკონომიკური უსაფრთხოება გადამწყვეტ როლს ასრულებს ქვეყნის თვითმყოფადობასა და განვითარებაში. მისი მნიშვნელობა ქვეყნისათვის იმდენად გადამწყვეტია, რომ აღნიშნულის განხილვა ხორციელდება მიკრო, მაკრო, მეზო და მეგა დონეზე. მასზეა დამოკიდებული ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, მართლწესრიგი, განათლების დონე, ტექნოლოგიური პროგრესი, მოსახლეობის სოციალური განვითარება და სხვა მრავალი ფაქტორი.

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანიცაა მრეწველობის პრიორიტეტული დარგების გამოვლენა და მათთვის სახელმწიფო მხარდაჭერა. ქვეყანას უნდა გააჩნდეს ეკონომიკური განვითარების ისეთი გეგმა, რომლის მიზანიც და ამოცანებიც გათვლილი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდაზე, საინვესტიციო გარემოს შექმნაზე, ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაზე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია, დაწყებული მისი გეოგრაფიული მდებარეობით, დამთავრებული ბუნებრივი რესურსებით. საქართველოს გააჩნია წყალუხვი მდინარეები, რომლებზეც განთავსებულია ჰიდროელექტროსადგურები; მინერალური წყლები, რომელთა ექსპორტიც ხორციელდება; სამკურნალო წყლები, სადაც აშენებულია ბალნეოლოგიური კურორტები (აბასთუმანი, ახტალა, წყალტუბი, საირმე); შავი ზღვისპირეთის საკურორტო ზონა - ბათუმი, ქობულეთი, ურეკი, კვარიათი და სხვა; მაღალმთიანი რეგიონები, სადაც განთავსებულია სამთო-სათხილამურო ტრასები - გუდაური, ბაკურიანი, მესტია. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს ტურისტების მოზიდვას. ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია, რომელზეც მთავრობის მხრიდან არაერთი ხელშემწყობი ღონისძიება ტარდება. ტურიზმის განვითარება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე დადებითად მოქმედებს. დიდი მნიშვნელობა აქვს კეთილმოწყობილ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, სასტუმროებს და რესტორნებს, რაზეც, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ტურისტების მიერ დახარჯული თანხის უმეტესი ნაწილი მოდის, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი მოსახელობის შემოსავალს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება და მისი დღევანდელი გამოწვევები სატრანზიტო ინფრასტრუქტურის სფეროში. ამისთვის ჯერ უნდა განვიხილოთ საქართველოს ეკონომიკური გარემო და გავეცნოთ ეკონომიკური პოლიტიკის მიმდინარე პრიორიტეტებს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები:
სატრანზიტო ინფრასტრუქტურა, ინფრასტრუქტურის შემადგენელი ნაწილები, სატრანზიტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა, მიღებული სარგებელი.

Impact of Georgia's transit infrastructure on the country's development

Nino Barbakadze
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Student at the Master's department Program of State Recourse Management

Abstract

The economic security of the country, plays a crucial role in the identity anddevelopment of the country. Its meaning for the country is so important, that its discussion is carried out at micro, macro, meso and mega levels. The country's defense capability, low and order, technological progress, social development of the population and many other factors depend on it.

The economic security of the country is the part of its economic policy. It aims to identify the priority branches of industry and provide state suppont for them. The country should have such a plan of economic development, the goals and objectives which can enable to calculate the rapid growth of the country's economy, the creation of an investment environment, the development of logistics infrustructure and reduction of poverty.

Georgia has a great potential for economic development, starting with its geographical location and ending with natural resources. Georgia has water-rich rivers on which hydro-electric plants are located; mineral waters, which are exported; healing waters, where balneological resorts have been built (Abastumani, Akhtala, Tskaltubi, Sairme); Resort area of the Black Sea coast - Batumi, Kobuleti, Ureki, Kvariati and others; High mountain regions where there are mountain-ski tracks - Gudauri, Bakuriani, Mestia. All this contributes to the attraction of tourists, it is a well-known fact that tourism is one of the priority sectors of the economy in Georgia, which is supported by a number of government measures. The development of tourism has a positive effect on the economic and social situation of the country. Well-equipped transport infrastructure, hotels and restaurants are of great importance, on which, according to the data of the National Statistics Service, most of the money spent by tourists comes, which significantly increases the income of the local government.

The present paper discusses the economic security of Georgia and its current challenges in the field of transit infrastructure. For this, we must first consider the economic environment of Georgia and get acquainted with the current priorities of the economic policy for the development of transit infrastructure.

Abstract/Text

Keywords:
Transit infrastructure, its constituent parts, importance of transit infrastructure, benefits obtained by using transit infrastructure.

შესავალი

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უსაფრთხო გარემო, ეროვნული ინტერესები (ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული), საფრთხეები, გამოწვევები, რისკები და ქვეყნის წინაშე მდგარი უსაფრთხოების პოლიტიკა განისაზღვრება და რეგულირდება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით“ - საქართველოს კონცეპტუალური დოკუმენტით, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ არის დამტკიცებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების საფუძველია. სახელმწიფოში, სადაც არ არსებობს წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა, საერთოდ ეროვნულ უსაფრთხოებაზე საუბარიც კი ზედმეტია[1].

საქართველოს გააჩნია სატრანზიტო პოტენციალი - ეს არის ტრანსკონტინენტური ქვეყანა, რომელიც მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის შეერთების ადგილზე. საქართველოს აქვს სახმელეთო საზღვარი რუსეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან. და თუ გავითვალისწინებთ შავი ზღვის აუზს, ის იძლევა საზღვაო ტრანსპორტით დაკავშირების საშუალებას ბულგარეთთან, რუმინეთთან, უკრაინასთან, თურქეთთან და რუსეთთან. ამასთანავე, ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა აქვთ, ხოლო ჩრდილოეთით კი რუსეთია (არასტაბილური პარტნიორი). ყველაზე მოკლე და ეფექტური გზა აზიასა და ევროპას შორის არის საქართველო.

ძირითადი ნაწილი

სარკინიგზო მაგისტრალი

საქართველო ცდილობს გამოიყენოს თავისი სატრანზიტო ჰაბის ფუნქცია. ამის ნათელი მაგალითია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი. 2007 წლის 7 თებერვალს თბილისში ხელი მოეწერა სამმხრივ შეთანხმებას ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის შესახებ, რომელიც აზერბაიჯანისა და თურქეთის დამაკავშირებელია. ამ მაგისტრალის სიგრძე 826 კმ-ია, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე 254 კმ გადის. 2017 წელს სატესტო სატვირთო მატარებელმა გაიარა ამ გზით, რომელიც კორეადან ევროპაში ჩავიდა, რასაც 15 დღე მოანდომა. აღნიშნული მნიშვნელოვნად ნაკლებია იმ დროსთან შედარებით, რასაც მატარებელი საზღვაო გზით მოანდომებდა დანიშნულების ადგილზე მისასვლელად.

საბჭოთა კავშირის დროს აზერბაიჯანი და თურქეთი სომხეთის გავლით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი რკინიგზით, მაგრამ ამ სახელმწიფოებს შორის საომარი კონფლიქტის შემდეგ ეს გზა დაიკეტა, თუმცა მაინც რჩება საფრთხედ საქართველოსთვის (ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის კონკურენტია). საუბარია აგრეთვე რუსეთისა და ირანის ერთობივ პროექტზე აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც განხორციელების შემთხვევაში აგრეთვე დიდ კონკურენციას გაუწევს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალს.

სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის გადატანა ბევრად უფრო იაფია ავიახაზებთან შედარებით და ბევრად უფრო უსაფრთხო საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებასთან შედარებით, თუმცა საზღვაო ტრანსპორტით ტვირთის შემოტანის შემდეგ შავი ზღვის პორტებიდან ტვირთის ტრანსპორტირება ხდება მატარებლის ვაგონებით, რაც დროისა და დანახარჯების ეკონომიას აკეთებს.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალიდან მიღებული სარგებელი ყველაზე მეტად აზერბაიჯანზე აისახება, რის გამოც ამ პროექტის მშენებლობა მის მიერაა დაფინანსებული, თუმცა საქართველოსთვისაც პრიორიტეტულია ეს პროექტი.

პორტები

მეორე გამოწვევა, სატრანზიტო ინფრასტრუქტურის მხრივ, არის პორტები შავ ზღვაზე. საქართველოს პორტები ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს და მეშვეობით კასპიის ზღვის ნავთობის ექსპორტი წარმოებს. საქართველოს პორტებია: ბათუმის პორტი -მისი სამგზავრო ტევადობა წელიწადში დაახლოებით 180 000 მგზავრია, მშრალი ტვირთის გამტარუნარიანობა წელიწადში დაახლოებით 2 000 000 ტონაა, ხოლო ნავთობპროდუქტების გამტარუნარიანობა წელიწადში 15 მილიონ ტონას შეადგენს[2]. ბათუმის პორტს აქვს უპირატესობა კონკურენტებთან - ოდესის, ილიჩევსკისა და ნოვოროსიისკის პორტებთან შედარებით - მას ყაზახური წარმოების ნავთობისა და ნავთობპროდუქტების 22 დასახელების ტრანსპორტირება შეუძლია უსაფრთხოდ (მისი სანაპიროები არ იყინება ზამთარში და არ იცის ძლიერი ქარი). რაც შეეხება ნავთობის გადაზიდვას უკვე სახმელეთო გზებით, ის ვაგონ-ცისტერნებით ხორციელდება. ფოთის პორტი - დაკავებულია ნავთობპროდუქტების გადატანით აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან. საკმაოდ დიდია მისი ტვირთბრუნვა,

1 პარლამენტი, საქართველოს. ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“. თბილისი.

2 forbes.ge. 04 14, 2022. https://forbes.ge/saqarthvelos.

თუმცა ეს პორტი არ იძლევა მეტად განვითარების საშუალებას, არ ხერხდება მისი დაღრმავება, ხოლო პერიოდულად მისი დასილვა ხდება და საჭიროებს დამატებით გაწმენდით სამუშაოებს. ყულევის პორტი, იგივე „შავი ზღვის ტერმინალი“ - წელიწადში მისი გამტარუნარიანობა 10 მილიონ ტონას შეადგენს. ყულევნის ტერმინალი ნავთობპროდუქტებისა და ქიმიური პროდუქტების გადატანითაა დაკავებული (დატვირთვა-გადატვირთვა). სუფსის ტერმინალი - მისი წლიური გამტარუნარიოანობა 7 მილიონი ტონაა, იგი ბოლო წერტილია ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა. ანაკლიის პორტი - მისი მშენებლობა არ არის დასრულებული, თუმცა ამ პორტს გააჩნია დიდი პოტენციალი მაღალი წყალწყვის გემების მიღებისა, რადგან საქართველოში ყველაზე ღრმაწყლოვან პორტს წარმოადგენს[3].

საავტომობილო გზები

საავტომობილო გზები და მაგისტრალები, რომლებიც აზიის განვითარების ბანკის მიერ არიან დაფინანსებული, ასევე მნიშვნელოვანია სატრანზიტო ინფრასტრუქტურისთვის. ეს მაგისტრალები დამაკავშირებელია იმ სახელმწიფოებთან, რომელთანაც საქართველოს აქვს სახმელეთო საზღვრები. მისი განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ტურიზმისათვის, ასევე წარმოებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისათვის (ექსპორტ-იმპორტი). საავტომობილო გადაზიდვებით განხორციელებული ტვირთბრუნვა შეადგენს 30 747.4 მლნ. ტ. 2017 წლისათვის სახმელეთო გზები და მაგისტრალები მოიცავს: საერთაშორისო მნიშვნელობის გზატკეცილს - 1455 კმ, შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას - 5446 კმ, ადგილობრივი მნიშვნელობის გზას - 15415 კმ, ოთხზოლიან ჩქაროსნულ მაგისტრალს - 80 კმ. ასევეა ხიდები, გვირაბები, თოვლდამცავი გალერეები. ამ ყველაფერს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აკონტროლებს[4].

მილსადენები

საქართველოზე გადის რუსეთისა და სომხეთის დამაკავშირებელი გაზის მილსადენი. ხოლო აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობით, კასპიის ენერგო რესურსების ტრანზიტის მიზნით ჩამოყალიბდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები,როგორებიცაა: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი - რომელიც 1768 კმ სიგრძით მეორეა მსოფლიოში. მისი დანიშნულებაა ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანის კასპიის ნავთობის საბადოდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე. მისი ტვირთბრუნვა შეადგენს 1,2 მლნ ბარელს; ბაქო-სუფსის მილსადენი - რომლის სიგრძე 830 კმ-ია და 4,2 მილიონი ტონა ნედლი ნავთობის გადაზიდვა მოახდინა 2021 წელს. ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენი - რომლიც ცნობილია როგორც სამხრეთ კავკასიური გაზსადენი, სათავეს იღებს აზერბაიჯანში, „შაჰდენიზის“ საბადოდან. მისი მეშვეობით 2023 წელს საქართველოსა და თურქეთში 27 109,8 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიწოდება განხორციელდა[5].

დასკვნა

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება საშუალებას მისცემს საქართველოში ტურიზმის განვითარებას; ტურისტებს საშუალება ექნებათ ევროპიდან და აზიიდან იაფად და კომფორტულად იმგზავრონ. სატრანზიტო მაგისტრალების გაკეთება საშუალებას მისცემს ქართველ ბიზნესმენებს მოიზიდონ ინვესტიციები და გააფართოონ ექსპორტ-იმპორტი სხვა ქვეყნებთან. სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარება, გარდა ეკონომიკური სარგებლისა, ქვეყანას პოლიტიკურ სარგებელსაც მოუტანს. რაც უფრო მეტი ქვეყანა მიიღებს სარგებელს საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურიდან, მით მეტი პოლიტიკური პარტნიორი გაუჩნდება ქვეყანა, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან საქართველოში სტაბილური გარემოს შექმნითა და ეკონომიკური განვითარებით.

გამოყენებული ლიტერატურა

საავტომობილო გზების დეპარტამენტი, http://www.georoad.ge/.

ნატროშვილი, ნინო. www.businessinsider.ge. 09 14, 2023. https://shorturl.at/rKS89.

საქართველოს პარლამენტი. ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“. თბილისი.

ტყეშელაშვილი, გოდერძი. “საქართველოს ტრანსპორტის მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტივა.” 2017.

forbes.ge. 04 14, 2022. https://forbes.ge/saqarthvelos.

3 გოდერძი ტყეშელაშვილი,. “საქართველოს ტრანსპორტის მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტივა.” 2017

4 საავტომობილო გზების დეპარტამენტი, http://www.georoad.ge/.

5 ნ. ნატროშვილი, www.businessinsider.ge. 09 14, 2023. https://shorturl.at/rKS89.

საქართველოს რესურსების ოპტიმიზაცია: ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების გამოყენება საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის

ცოტნე კვარაცხელია
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო პროგრამის
„სახელმწიფო რესურსების მართვის“ მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ნატოსა (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) და ევროკავშირის სტანდარტების სტრატეგიული გამოყენების პერსპექტივები საქართველოს რესურსების ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის. საქართველოს, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე (ევროპისა და აზიის გზაჯვარედინი), აქვს სტრატეგიული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მხრიდან მის მიმართ არსებული დაინტერესების ერთერთი ხელისშემწყობი ფაქტორია. საინტერესოა, რომ საქართველო მუდმივად მიისწრაფვის დასავლური ინსტიტუტებისაკენ, როგორებიცაა ნატო და ევროკავშირი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება და ხაზგასმა, თუ რა სტანდარტებსა და მოცემულობებს უნდა აკმაყოფილებდეს განვითარების გზაზე მდგომი ქვეყანა, რათა მოახერხოს თავისი მიზნისაკენ შეუფერხებელი მოძრაობა.

აღნიშნული ნაშრომი იკვლევს სწორედ ზემოთ ნახსენები ნატოსა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სტანდარტების დანერგვის შემთხვევაში მოსალოდნელ როგორც სარგებელს, ასევე მათთან დაკავშირებულ გამოწვევებს და ხაზს უსვამს იმ დადებით გავლენებს, რაც შესაძლებელია მიღწეულ იქნას მმართველობაში, უსაფრთხოებაში, ეკონომიკასა და სოციალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებით. აქვე აუცილებელია იმის გაანალიზება, თუ როგორ შეუძლია საქართველოს ეფექტურად მოახდინოს თავისი პოლიტიკის, მმართველობის სტრუქტურებისა და საზოგადოების ნორმების ჰარმონიზაცია ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტებთან, რათა ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მდგრად განვითარებას და გააძლიეროს თავისი პოზიციები გლობალურ ასპარეზზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ნორმებისა და სტანდარტების მიღება შეიძლება გახდეს საქართველოს წარმატებული მომავლის საგზაო რუკა, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონულ სტაბილურობას და გაამლიერებს მის ერთგულებას დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების მიმართ.

საკვანძო სიტყვები:
ნატო, ევროკავშირი, რესურსები, სტანდარტები, ოპტიმიზაცია.

Optimizing Georgia’s resources: using NATO and EU standards for sustainable development of Georgia

Tsotne Kvaratskhelia
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Student of the Master’s program ‘’State Resource Management’’

Abstract

The paper discusses the perspectives of strategic use of NATO (North Atlantic Treaty Organization) and EU standards for the optimization of resources and promotion of Georgia for its sustainable development. Georgia, due to its location (at the crossroads of Europe and Asia), has a significant geopolitical importance, which is one of the contributing factors to the interest of international organizations and institutions. It is interesting that Georgia constantly aspires to Western institutions, such as NATO and the European Union. Therefore, it is important to analyse and emphasize what standards and conditions a country on the road to development must meet in order to be able to move smoothly towards its goal. This paper examines both the benefits and associated challenges of implementing the NATO and EU standards and highlights the potential positive impacts on governance, security, economics and social welfare. Here, it is necessary to analyse how Georgia can effectively harmonize its policies, governance structures and societal norms with NATO and EU standards in order to promote the sustainable development of the state and strengthen its position on the global stage. It should be noted, that the adoption of these norms and standards can become a road map for the successful future of Georgia, which will promote regional stability and strengthen its commitment to democratic principles and human rights.

Keywords:
NATO, EU, Resources, Standards, Optimization.

შესავალი

ევროპასა და აზიას შორის მდებარე საქართველო შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიულად გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ქვეყანას წარმოადგენს. საქართველოს მდებარეობა, რომელიც მოქცეულია კავკასიონის მთებსა და შავ ზღვას შორის, უნიკალურ პოზიციას ანიჭებს რეგიონში, რაც ჩვენი ერისთვის, ერთის მხრივ განსაკუთრებული შესაძლებლობაა და მეორეს მხრივ კი გამოწვევა. საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა არა მხოლოდ ენერგეტიკისა და ვაჭრობის სატრანზიტო კვანძის, არამედ ევროპასა და აზიას შორის კომუნიკაციისა და გავლენის დერეფნის როლშია. თავისი გეოგრაფიული პოზიციის გათვალისწინებით, საქართველომ გამოხატა ღრმა მისწრაფებები დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციისა და მისადაგებისაკენ, განსაკუთრებით ნატოსთან (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) და ევროკავშირთან (EU). ეს მისწრაფებები განპირობებულია ამ ორგანიზაციების მიერ დაცული ღირებულებების, პრინციპებისა და სტანდარტების ათვისების სურვილით, რომლებიც განიხილება, როგორც გადამწყვეტი კატალიზატორი ერის ზრდისა და სტაბილურობის გასაძლიერებლად. აღნიშნული ნაშრომის მთავარი მიზანია ნატოსა (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) და ევროკავშირის სტანდარტების შესწავლა საქართველოს რესურსების ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის. გარდა ამისა, ჩვენ ჩავუღრმავდებით იმ გამოწვევებს, რომლებიც ახლავს ამ ინტეგრაციას და შევეცდებით წარმოვადგინოთ დაბალანსებული ხედვა იმ შესაძლებლობებისა და დაბრკოლებების შესახებ, რომლებსაც აწყდება საქართველო თავისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

თემის მნიშვნელობა: აღსანიშნავია, რომ ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების ინტეგრაცია საქართველოსათვის არამხოლოდ არჩევანია, არამედ გადაუდებელი აუცილებლობაა ერის გათანაბრებისათვის მსოფლიოს უდიდეს ნაწილთან, რომელიც ამ დადგენილი ნორმებით მოქმედებს.

ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორიულად უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. შესაბამისად, ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების ინტეგრაცია უაღრესად მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ თავად ქვეყნისთვის, არამედ რეგიონული და საერთაშორისო სტაბილურობისათვის. **აქტუალურობა:** სწრაფად ცვალებად გარემოში ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების ინტეგრაციას სტრატეგიული უპირატესობები გააჩნია, რომელთა გააზრებაც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსათვის საერთაშორისო ასპარეზზე. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური იქნება სახელმწიფოს პოლიტიკის შემქმნელებისთვის, მკვლევარებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის, რომლებიც ინვესტიციებს განახორციელებენ საქართველოს მდგრადი განვითარებისა და გლობალური ინტეგრაციისათვის.

ძირითადი ნაწილი

ნატოს სტანდარტების გააზრება

ნატო, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, არის მრავალმხრივი თავდაცვის ალიანსი, რომელიც დაარსდა 1949 წელს. ორგანიზაცია აგებულია კოლექტიური თავდაცვის პრინციპებზე, სადაც ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ორგანიზაციის ყველა წევრზე თავდასხმად. ნატოს სტანდარტები მოიცავს რეგულაციების, პროცედურებისა და შესაძლებლობების ფართო სპექტრს, რომლებიც შექმნილია წევრ ქვეყნებს შორის თავსებადობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. ეს სტანდარტები მოიცავს მრავალ ასპექტს, როგორიცაა სამხედრო შესაძლებლობები, აღჭურვილობის თავსებადობა, საკომუნიკაციო პროტოკოლები და ოპერატიული პროცედურები. საქართველოსთვის ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობა გადამწყვეტია მისი გეოპოლიტიკური მისწრაფებებისა და რეგიონის უსაფრთხოების დინამიკის გათვალისწინებით. ამ სტანდარტების დაცვით ნატო საქართველოს სთავაზობს სტრუქტურირებულ ჩარჩოს, რათა გააძლიეროს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს ნატოს წევრ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციას[1].

ევროკავშირის სტანდარტების გააზრება

ევროკავშირმა (EU) დაადგინა სტანდარტების ყოვლისმომცველი ნაკრები, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სფეროს, მათ შორის ეკონომიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით და მმართველობის ასპექტებს. ევროკავშირის სტანდარტები წარმოადგენს საერთო ღირებულებებს, რეგულაციებსა და პრაქტიკას, რომელსაც წევრი ქვეყნები უნდა იცავდნენ. ეს სტანდარტები შექმნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს ერთიანობისა და თანმიმდევრულობის მაღალი დონე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. აღნიშნული სტანდარტების მიზანია, რომ ხელი შეუწყოს სტაბილურობას, კეთილდღეობას და სოციალურ ერთიანობას ევროკავშირში. საქართველოსთვის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამწყვეტია, თუ

1 economic cooperation and revitalizing the national defense industry, determinant factors in strengthning the fundamental national interests in the european community and nato. 2015. https://shorturl.at/aptG0 - შემოწმებულია 02.10.2023წ.

გავითვალისწინებთ მის მისწრაფებებს ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირებისა და პოტენციური ინტეგრაციისაკენ. ამ სტანდარტების დაცვა საქართველოს სთავაზობს სტრუქტურირებულ ჩარჩოს მისი ეკონომიკის მოდერნიზებისათვის, მმართველობის გასაძლიერებლად, მისი პოლიტიკისა და კანონმდებლობის ევროკავშირთან შესაბამისობაში მოსაყვანად[2].

საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების მიღებაში და მათი დაძლევის გზები

შეიძლება განვიხილოთ სამი ძირითადი გამოწვევა, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას:

1. საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი გამოწვევაა შეზღუდული რესურსები: ფინანსური, ტექნოლოგიური და ადამიანური. ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს, რათა ქვეყანამ შეძლოს სხვადასხვა სფეროში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და გამოსწორება, რაც თავისთავად მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის რესურსებს, შესაბამისად საქართველოს უპირველეს გამოწვევად სწორედ რესურსების სიმწირე უნდა განვიხილოთ.
2. სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობა და შიდა ერთსულოვნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნატოსა და ევროკავშირთან წარმატებული ინტეგრაციის განსახორციელებლად. აღნიშნული გამოწვევა გულისხმობს იმ პოტენციური შიდა წინააღმდეგობების დაძლევას, რომელსაც საქართველო ზემოთ აღნიშნულ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის პროცესში გადაეყრება, განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიისა და მისწრაფებების მქონე ადამიანთა მხრიდან.
3. მიმდინარე ტერიტორიული კონფლიქტები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში. აღნიშნული გადაუჭრელი კონფლიქტები ხელს უშლის საქართველოს სრულ ინტეგრაციას როგორც ნატოში, ასევე ევროკავშირში, რადგან სტაბილურობა და ტერიტორიული მთლიანობა გაწევრიანების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა[3].

ზემოთ აღნიშნული გამოწვევების დაძლევის საშუალებებს შორის შეიძლება განვიხილოთ შემდეგი შესაძლებლობები:

1. საერთაშორისო თანამშრომლობა და მხარდაჭერა ის ძირითადი საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს უნდა გაუმარტივდეს მის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევა. საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ქვეყნებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობითა და მხარდაჭერით, საქართველოს შეუძლია მიიღოს ტექნიკური და ფინანსური დახმარება, რაც საშუალებას მისცემს ნაწილობრივ ან სრულად აღმოფხვრას მის წინაშე არსებული შეზღუდული რესურსების გამოწვევა.
2. სხვადასხვა მხარდამჭერთა და დონორთა მხარდაჭერით საქართველოში მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა ეკონომიკური პროექტები, რომელთა მიზანსაც ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება წარმოადგენს. აღნიშნული დონაციების ფონზე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს არსებითი რეფორმები, როგორც ეკონომიკურ ასევე სხვა სექტორებში, რაც ხელს შეუწყობს საჭირო სტანდარტების დამკვიდრებას, ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს ინვესტიციების დამატებით მოზიდვასა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. ეკონომიკური ზრდის თვალსაჩინო პროცესი კი ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური თუ სოციალური წინააღმდეგობების დაძლევის საუკეთესო გზა შეიძლება იყოს.
3. ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების ინტეგრაცია და დამკვიდრება ხელს შეუწყობს რეგიონულ სტაბილურობასა და თანამშრომლობას. ისტორიული კონფლიქტების მოგვარების მცდელობითა და მშვიდობიანი ურთიერთობების ხელშეწყობით, რასაც ზემოთ აღნიშნული სტანდარტების ინტეგრაციის პროცესში განახორციელებს, საქართველოს შეუძლია კარგი მაგალითი მისცეს რეგიონში არსებულ სხვა ერებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის გარშემო უფრო მშვიდობიანი და სტაბილური რეგიონის ჩამოყალიბებას[4].

დასკვნა

დასასრულს, როგორც ნაშრომში გამოიკვეთა, საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის და უკეთესი მომავლის ხელშესაწყობად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მიერ წარმატებული საერთაშორისო ორგანიზაციების: ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების გაზიარებას და ინტეგრირებას. ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების დაცვით, საქართველო შეძლებს გააძლიეროს თავისი მმართველობის სტრუქტურები, უსაფრთხოების ზომები, ეკონომიკური პერსპექტივები და

2 Gogolashvili Kakha, Georgia-EU Relations and Future Perspectives, Tbilisi, 2017. https://shorturl.at/kwRZ9 - შემოწმებულია 02.10.2023წ.

3 Lorand Bartels, 39; Human Rights and Sustainable Development Obligations in EU Free Trade Agreements', (2013), 40, Legal Issues of Economic Integration, Issue 4, pp. 297-313. 2013. https://shorturl.at/hvAFX - შემოწმებულია 02.10.2023წ.

4 Jandieri Gigo, A generalized model for assessing and intensifying the recycling of metal-bearing industrial waste: A new approach to the resource policy of manganese industry in Georgia, 2022. https://shorturl.at/eKW47 - შემოწმებულია 02.10.2023წ.

საზოგადოების კეთილდღეობა. გარდა ამისა, აღნიშნულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია ხაზს უსვამს საქართველოს ერთგულებას დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების მიმართ. პრინციპების გათვალისწინება საქართველოს სთავაზობს გაზრდილ უსაფრთხოებას, ეკონომიკურ ზრდას და მისი მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, რასაც საერთო რესურსებზე, გამოცდილებაზე და გლობალურ ბაზარზე წვდომა განაპირობებს[5]. გარდა ამისა, აღნიშნული სტანდარტების ინტეგრაციით, ქვეყანა წარმოაჩენს ერის მისწრაფებას რეგიონული სტაბილურობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის პროცესში და კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს მის, როგორც დემოკრატიული იდეალებისა და ადამიანის უფლებების დამცველ სახელმწიფოს პოზიციას. ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაცია არ არის მხოლოდ სტრატეგიული ნაბიჯი; ეს არის საქართველოს ერთგულების დადასტურება უფრო ნათელი, სტაბილური და აყვავებული მომავლის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

Gogolashvili Kakha, Georgia-EU Relations and Future Perspectives, Tbilisi, 2017.

https://shorturl.at/kwRZ9 - შემოწმებულია 02.10.2023წ.

Jandieri Gigo, A generalized model for assessing and intensifying the recycling of metal-bearing industrial waste: A new approach to the resource policy of manganese industry in Georgia, 2022. https://shorturl.at/eKW47 - შემოწმებულია 02.10.2023წ.

ECONOMIC COOPERATION AND REVITALIZING THE NATIONAL DEFENSE INDUSTRY, DETERMINANT FACTORS IN STRENGTHNING THE FUNDAMENTAL NATIONAL INTERESTS IN THE EUROPEAN COMMUNITY AND NATO. 2015. https://shorturl.at/aptG0 - შემოწმებულია 02.10.2023წ.

Lorand Bartels, 39; Human Rights and Sustainable Development Obligations in EU Free Trade Agreements', (2013), 40, Legal Issues of Economic Integration, Issue 4, pp. 297-313. 2013. https://shorturl.at/hvAFX - შემოწმებულია 02.10.2023წ.

Comparative Economic Research. Central and Eastern Europe 2082-6737De Gruyter Warsaw. 2016. https://shorturl.at/xHLRT შემოწმებულია 02.10.2023წ.

5 Comparative Economic Research. Central and Eastern Europe 2082-6737De Gruyter Warsaw. 2016. https://shorturl.at/xHLRT შემოწმებულია 02.10.2023წ.

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

WEB: www.eta.edu.ge
PHONE: +995 32 2 30 52 85
MOBILE: +995 5 77 19 92 05
E-Mail: nda@mod.gov.ge
CIRCULATION 40

ISBN 978-9941-8-6126-0